

ჰენრი მეოთხე

ისტორიული ქრონიკა

უილიამ შექსპირი



უილიამ შექსპირი - ჰენრი მეოთხე
William Shakespeare - King Henry the Fourth.

ქვეყნდება შპს iBooks-ის მიერ
ვაჟა-ფშაველას მე-3 კვ., მე-7 კ.
0186 თბილისი, საქართველო
[www. iBooks.ge](http://www.iBooks.ge)

ქართული თარგმანი ეკუთვნის ვახტანგ ჭელიძეს.

iBooks© 2017 ყველა უფლება დაცულია.

მოცემული პუბლიკაციის არც ერთი ნაწილი არ შეიძლება იქნას რეპროდუცირებული, გავრცელებული ან გადაცემული ნებისმიერი ფორმითა და ნებისმიერი საშუალებით, მათ შორის ელექტრონული, მექანიკური, კოპირების, სკანირების, ჩაწერის ან რაიმე სხვა გზით გამომცემლის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე. გამოქვეყნების უფლების შესახებ გთხოვთ მოგვმართოთ შემდეგ მისამართზე: info@iBooks.ge

სარჩევი

მოქმედი პირნი
 მოქმედება პირველი
 მოქმედება მეორე
 მოქმედება მესამე
 მოქმედება მეოთხე
 მოქმედება მეხუთე

(ხუთმოქმედებიანი ისტორიული ქრონიკა)

მოქმედი პირნი

მეფე ჰენრი მეოთხე
 ჰენრი, უელსის პრინცი, უფლისწული
 პრინცი ჯონ ლანკასტერი, უფლისწული
 გრაფი უესტმორლენდი
 სერ უოლტერ ბლენტი
 ვუსტერის გრაფი თომას პერსი
 ნორთამბერლენდის გრაფი ჰენრი პერსი
 ჰენრი პერსი, მეტსახელად ჰოტსპერი, მისი ვაჟი
 მარჩის გრაფი ედმუნდ მორტიმერი
 იორკის მთავარეპისკოპოსი სკრუპი
 დუგლასის გრაფი არჩიბალდი
 ოუენ გლენდაუერი
 სერ რიჩარდ ვერნონი
 სერ ჯონ ფოლსტაფი
 სერ მაიკლი, იორკის მთავარეპისკოპოსის მეგობარი
 პოინსი
 გედსჰილი
 პეტო
 ბარდოლფი
 ლედი პერსი, ჰოტსპერის ცოლი, მორტიმერის და
 ლედი მორტიმერი, გლენდაუერის ქალი, მორტიმერის ცოლი
 მისის კუიკლი, ისტჩიპის ფუნდუკის დიასახლისი

ლორდები, ოფიცრები, შერიფი, ფუნდუკის მსახურნი,
მეეტლეები, მოგზაურნი, მხლებელნი

მოქმედების ადგილი - ინგლისი

მოქმედება პირველი

სურათი I. ლონდონი, სასახლე.

შემოდინ მეფე ჰენრი, უესტმორლენდი, სერ უოლტერ ბლენტი და სხვანი.

მეფე ჰენრი. ამდენი შფოთით მოსვენება თუმც დაგვიკარგავს ფერიც მიგვხდია მეტის ზრუნვით... ჩვენ მაინც გვმართებს, დამფრთხალ მშვიდობას ცოტა სული მოვათქმევინოთ, რომ ბრძოლის რისხვა უფრო მძლავრად ჩავბეროთ შემდეგ და უცხო ქვეყნებს შევესიოთ ომის ყიჟინით. ამიერიდან მწყურვალ ტუჩებს მშობელი მიწა შვილების სისხლით აღარასდროს არ შეიღებავს; ვერ გადაგვიხნავს ველებს ომი, ყოვლის მომთხრელი, ვერ გათელავენ მტრის რაშები მინდვრის ყვავილებს, და სისხლხორცეულ ნათესავთა მტრული თვალებიც - ვით მეტეორთა გაელვება საავდრო ცაზე - თუკი უბღვერდნენ აქამომდე ერთიმეორეს და მათა შორის გაშმაგებულ სისხლისღვრას ჰვრეტდნენ, - წარუძღვებიან აწ ერთ მწყობრში დარაზმულ ლაშქარს, რომელიც მუდამ ერთად ივლის შეხმატკბილებით; და ძმა დაშნას ძმაზე არ აღმართავს ამიერიდან; ქარქაშგაცვეთილ ხანჯლის მსგავსად, ომის მახვილი თვისივე პატრონს ვედარასდროს ვედარ დაკოდავს. აწ გავილაშქროთ და მაცხოვრის საფლავი ვიხსნათ, აკი შევრაცხეთ თავი ქრისტეს ჯარისკაცებად

და მისი ჯვრის ქვეშ ფიცი დავდეთ, რომ ვიბრძოლებდით!
ახლავე უნდა გაილაშქრონ ინგლისელებმა,
მათ ხომ მკლავები საშოშივე უკაჟდებოდათ
უწმინდურების აღსაგველად წმიდა მიწიდან,
რომლის ყოველ გოჯს, ამ თოთხმეტი საუკუნის წინ,
მიჰკარებია მაცხოვარის წმიდა ტერფები,
ჯვარზე უწყალოდ მილურსმწული ჩვენი ხსნისათვის.
მაგრამ ეს აკი გადავწყვიტეთ ერთი წლის წინათ
და რა აზრი აქვს, გიჩიჩინოთ ისევ და ისევ,
განა ამისთვის შემეიყრიხართ! ახლა ისა მსურს,
კეთილშობილო ბიძაშვილო უესტმორლენდო,
გვაუწყო, წუხელ ჩვენმა საბჭომ რა გადაწყვიტა,
და ფრთა შეასხა ჩვენს განზრახვას, დიდად სანუკვარს.
უესტმორლენდი. წუხელ, მეფეო, როცა ერთად შეკრებილები
ცხარედ ვდავობდით ამ ლაშქრობის დაჩქარებაზე,
როს აღვწახებთ და დავამტკიცეთ ომის ხარჯებიც,
უცებ მოვიდა უელსიდან ცუდი ამბები;
ყველაზე მძიმე კი ის გახლავთ, რომ მორტიმერი,
რომელიც ველურ გლენდაურის ასალაგმავად
ისე გმირულად წინ წარუძღვა ჰერფორდშირელებს,
იმ ტლანქ და ხეპრე უელსელებს თვით შეუპყრიათ
და ათასამდე ჯარისკაციც მოუკლავთ მისი.
ხოლო უელსელ დედაკაცებს ისე მხეცურად,
ისე უტიფრად შეულანძლავთ მათი გვამები,
მრცხვენია კიდეც, თქვენს წინაშე გავიმეორო.
მეფე ჰენრი. მამ გამოდის, რომ გალაშქრებას, წმიდა მიწისკენ
ჩვენ ეს სისხლისღვრა დაგვიყოვნებს და გადაგვიდებს.

უესტმორლენდი. ესეც და სხვაცა, მოწყალოე უფალო ჩემო:
ჩრდილოეთიდან უარესი ამბები გახლავთ.
ჯვართამაღლებას ჰარი პერსი - გმირი ჰოტსპერი -
და სიმამაცით ქვეყანაზე სახელგანთქმული
შოტლანდიელი არჩიბალდი ერთმანეთს, თურმე,
შეჭიდებიან ჰოლმედონში;
მძიმე ბრძოლაში მთელ ერთ საათს სისხლი უღვრიათ,
თუკი ვერწმუნეთ ზარბაზნების ბათქაბუთქსა და
ფიცხელი ომის სხვა ნიშნებსაც, რაც ჩვენ გვაუწყეს,
რადგანაც მანც ამ ბრძოლისა ცხენს მოხტომია
და ვიდრე ბრძოლა მძვინვარებდა, გამოუქუსლავს,
ასე რომ, ბედი შეტაკების მან არც კი უწყის.
მეფე ჰენრი. აგერა ჩვენი მეგობარი, კარგის მოსურნე
უოლტერ ბლენტი... ხედავთ, ჯერაც ზედვე აჩნია
მთელი გზის მტვერი. მოაგელვა ცხენი ახლახან
და კარგის ამბით გაგვახარა და დაგვამწვიდა:
გრაფი დუგლასი დაამარცხეს, უოლტერს თურმე
თვითონ უნახავს ბრძოლის ველზე სისხლით მოთხვრილი
ათი ათასი გამბედავი შოტლანდიელი
და ოცდაორი დარჩეული მათი რაინდი.
ხოლო ცოცხლადვე შეუპყრია ბრძოლაში ჰოტსპერს
უფროსი ვაჟი დამარცხებულ არჩიბალდისა,
ფაიფის გრაფი მორდეიკი, გრაფი ეთოლი,
გრაფი მერეი, ანგუსიცა და მენტეითიც.
ხომ დიდებული ალაფია, პატივსადები?!
ჯილდოდ ხომ კმარა? ჰა, ძმობილო, შენ რაღას იტყვი?
უესტმორლენდი. პირდაპირ გეტყვით,

ამ გამარჯვებით თვითონ პრინციც იამაყებდა.
 მეფე ჰენრი. შენი სიტყვები გულსაც მიკლავს, ცოდვაშიც
 მაგდებს,
 რადგან მშურს ხოლმე, ვერ დავფიცავ, ნორთამბერლანდის:
 ეგ უნდა იყოს ღირსეული მემკვიდრის მამა,
 მაგის ვაჟიშვილს მოწიწებით იხსენიებდნენ,
 პირზე ეკეროს მთელს ქვეყანას მისი დიდება,
 თანატოლთაგან იმგვარადვე განირჩეოდეს,
 როგორც ჭალაში აშოლტილი წერწეტა ჩქოლა,
 ბედის ნებიერს ქედმაღლურად ეჭიროს თავი!..
 მე კი შორიდან უნდა ვჭვრეტდე მის განდიდებას
 და, გულმოკლული, ჩემი ჰარის შუბლზე ვხედავდე
 უტიფრობის და თავაშვებულ თარეშის ლაქებს.
 ჰოი, რომ მართლაც ამხდომოდა ტკბილი ზღაპარი -
 ჩვენი ბაღლები შეეცვალა ღამით ფერიას,
 მისას რქმეოდა პლანტაგენეტ, ჩემსას კი პერსი!
 იმისი ჰარი გახდებოდა ჩემი მემკვიდრე,
 ჩემი კი იმას ერგებოდა... რაღას ვოცნებობ!..
 რას იტყვი, ძმაო, ჰარი პერსის ქედმაღლობაზე?
 სამხედრო ტყვეებს - ამ ბრძოლაში რაც შეუპყრია -
 საკუთრებად თვლის და თავისთვის იტოვებს თურმე,
 მე კი, ხელმწიფეს, ასე მითვლის - ფაიფის გრაფის
 მორდეიკის მეტს სხვას ვერავის ვერ გარგუნებო.
 უესტმორლენდი. ეგ ბიძამისის ოინია, მან ჩააგონა,
 ისა გმტრობს მუდამ თუ იხელთა, ისა, ვუსტერი!
 გაათავებდა აწ მმისწულიც და ნორჩი ქედი
 მეფის წინაშე ასე მაღლა დააჭერინა.

მეფე ჰენრი. უკვე მოვიხმე, რომ თვითონვე გაგვეცეს პასუხი,
 და ამიტომაც ხელს ავიღებთ ამ მცირე ხნობით
 წმიდა განზრახვით იერუსალიმს გამგზავრებაზე.
 იმ ოთხშაბათს კი, ბიძაშვილო, განზრახული გვაქვს
 საბჭო შევკრიბოთ უინძორში. - აცნობე ლორდებს.
 მაგრამ იჩქარე, რომ მალევე დაბრუნდე უკან:
 საქმეც არ ითმენს და სათქმელიც ბევრი რამ დაგვრჩა,
 რის თქმასაც ახლა ბოდმა გვიშლის, ყელს მობჯენილი.
 უესტმორლენდი. ახლავე წავალ, ხელმწიფეო.
 (გადიან)

სურათი II. ლონდონი. უელსის პრინცის ოთახი.

შემოდინ პრინცი ჰენრი და ფოლსტაფი.

ფოლსტაფი. ჰალ, შენს გაზრდას, რომელი საათია?
 პრინცი ჰენრი. ისე გაგიტკბა ძველი ღვინის წრუპვა, ნავახშმევს
 ქამრის მოშვება, ნასადილევს კიდეც სკამლოგინებზე ხვრინვა,
 რომ ტვინი ქონად გექცა და ახლა აღარც კი გახსოვს, რისი კითხვა
 გსურდა. აბა, რა ჯანდაბა გესაქმება, რომელი საათია? სულ სხვაა,
 საათი რომ ღვინის ფიალებად იქცეს, წუთები - ყვერულებად,
 ისრები - მაჭანკლების ენად, ციფერბლატი - საროსკიპოს აბრად,
 ხოლო თვით კურთხეული მზე - ალისფერ თაფთაში გამოწვეპილ
 მხურვალე, ტურფა გოგოდ გამოგეცხადოს!... ნეტა გამაგებინა,
 რაში გეკითხება, რომელი საათია!
 ფოლსტაფი. თითქოს ჩემს გულში მჯდარხარო, ჰალ; ფულის
 ქისებზე მონადირეებმა მთვარე და ვარსკვლავების ხარგუთან

უნდა ვიკითხოთ, რა ჩვენი საქმეა ვები - ეს „მოხეტიალე რაინდი ტურფა“?! და იცი, რასა გთხოვ, გენაცვალე, მეფე რომ გახდები - ღმერთმა დაიფაროს შენი მოწყალება... - შენი დიდებულება უნდა მეთქვა, რადგან ღვთის წყალობას თავის დღეში ვერ ეღირსები...

პრინცი ჰენრი. რატომაც ვერ ვეღირსები?

ფოლსტაფი. თავს გეფიცები ვერ ეღირსები... ერბო-კვერცხით დანაყრების წინ რომ ლოცვას იტყვიან, იმასაც კი ვერ ეღირსები.

პრინცი ჰენრი. ვთქვათ ეგრე იყოს. მერე? მოკლედ მოსჭერ, მოკლედ მოსჭერ.

ფოლსტაფი. ჰოდა, როცა მეფე გახდები-მეთქი, გენაცვალე, ნებას ნურავის მისცემ, რომ ჩვენ, ღამის რაინდებს დღიური სილამაზის მძარცველები გვიძახონ. დე, ვიყოთ დიანას მეტყვევები, სიბნელის რაინდები, მთვარის საყვარელი ბიჭები; დე, ჩვენზე თქვან - კარგი პატრონის ქვეშევრდომები არიან, ზღვისა არ იყოს, ეგენიც უმანკო ქალბატონ მთვარეს ემორჩილებიან და მისივე მფარველობის წყალობით იპარავენო.

პრინცი ჰენრი. კარგად ამბობ, სრული ჭეშმარიტებაა; ჩვენ ხომ მართლაც მთვარის ხალხი ვართ და ჩვენი დოვლათიც, ზღვის მიქცევა-მოქცევასავით, ხან იკლებს და ხანაც იმატებს. აბა დაუკვირდი: ოქროთი გამოტენილ ქისას ორშაბათ ღამეს საგულდაგულოდ ავწაპნით, ხოლო სამშაბათ დილას უსულგულოდ გავფლანგავთ ხოლმე; აწაპნის დროს შევძახებთ: „აბა, ჩამოყაჭე!“ დახარჯვის დროს კი გავძახებთ - „გადმოალაგე!“ ხან ისეთი სუსტია მოქცევა, კიბის ქვეითა საფეხურს ძლივსა წვდება, ხან კი ისე მოვარდება, რომ სახრჩობელასაც უწევს.

ფოლსტაფი. მართლაც ამბობ, ღმერთმანი. რას იტყვი, ტკბილი ქალი არ არის ამ სასტუმროს დიასახლისი?

პრინცი ჰენრი. ჰიბლას თაფლივით ტკბილი, ძმობილო. კამეჩის ქურთუკზე რაღას იტყვი, ხომ ტკბილი მოსასხამია საპყრობილეში?

ფოლსტაფი. რას ამბობ, კაცო, რას გადამეკიდე. შე უქნარა! რა გუდა-სტვირივით ააწყვე? კამეჩის ქურთუკი რა ჯანდაბად მინდა.

პრინცი ჰენრი. მაშ მე რაღა დოზანად მინდა ჩვენი სასტუმროს დიასახლისი?!

ფოლსტაფი. რა ვიცი, წარამარა კი ეძახი ხოლმე ანგარიშის გასწორების დროს.

პრინცი ჰენრი. შენთვის კი არასოდეს დამიძახნია, შენი წილი გადაიხადე-მეთქი?

ფოლსტაფი. აჰ, არა, ამას ვერ დაგიკარგავ, აქ ყველაფერს შენ იხდი ხოლმე.

პრინცი ჰენრი. აქაც და სხვაგანაც, სადამდეც კი ჩემი გროშები გამწვდომია; საცა გროშები არა მყოფნის - იქ ნისია!

ფოლსტაფი. ვიცი, და ისე გულუხვი ხარ ხოლმე ნისიაზე, რომ ახლა ყველას უფლება აქვს უფლებამოსილ მემკვიდრედ გაღიაროს. მაგრამ ერთი ეს მითხარი, ბიჭიკო, მეფე რომ გახდები, სახრჩობელების მოსპობას არ აპირებ ინგლისში? ნუთუ მამაცი ხალხი ისევ ამ ბებერი მასხარა კანონის დაჟანგებულ ხუნდებში უნდა იტანჯებოდეს? ტახტზე რომ ახვალ, ქურდებს ნუ ჩამოახრჩობ.

პრინცი ჰენრი. მე არა, შენ ჩამოგახრჩობინებ.

ფოლსტაფი. მე ჩამომახრჩობინებ? დიდებულა! ღმერთმანი, მშვენიერი მსაჯული ვიქნები.

პრინცი ჰენრი. უკვე ვეღარა სჯი სწორად: მე გეუბნები, ქურდებს ჩამოგახრჩობინებ-მეთქი, ასე რომ მსაჯული კი არა, დიდებული ჯალათი გახდები.

ფოლსტაფი. კეთილი, ჰალ, ეგრე იყოს. მართალი თუ გინდა, ეგ ხელობა სასახლეში სამსახურზე ნაკლებ როდი მომდის ჭკუაში.

პრინცი ჰენრი. აქაც ტანსაცმელს მიიღებ, არა?

ფოლსტაფი. მაშა, ჩამოხრჩობილის ტანსაცმელი ხომ კანონით მე დამრჩება! ჯალათებს რითი აქვთ ცუდი გარდერობი?! მაგრამ ისე ვარ დამმარებული, როგორც დაკოდილი კატა, ან ურემზე გამობმული დათვი.

პრინცი ჰენრი. ან კიდეც, როგორც დაჩაჩანაკებული ლომი, გინდ შეეყვარებულთა ფანდური.

ფოლსტაფი. ანდა როგორც ლინკოლნშირული სტვირის ჭყვიპინი.

პრინცი ჰენრი. კურდღელს რომ შეგადარო, რაღას იტყვი, ან მურფილდის ჭაობს?

ფოლსტაფი. ჰოი, რა მწარე-მწარე შედარებები გიყვარს! შენისთანა მოხერხებული მუდრეგი... მშვენიერი პრინცი ჯერ არ მინახავს. მაგრამ რასა გთხოვ, ჰალ: ფუჭი საქმეებით ნულარ მაცთუნებ, ღმერთმა ხომ იცის, რომ შენთვისაც და ჩემთვისაც კეთილი სახელის მოხვეჭა მსურს, მაგრამ რომ არ ვიცი, სად იყიდება ეს ძვირფასი საქონელი! გუშინწინ ერთმა მოხუცმა ლორდმა, კარის მრჩეველმა, ქუჩაში გამომთათხა შენი გამოსილობით. ყურიც არ ვათხოვე, მაგრამ ბრძნულად კი ლაპარაკობდა... აინუნშიაც არ ჩამიგდია, თითქოს სულაც არ

დამენახოს... თუმცა ბრძნულად კი ლაპარაკობდა... და ისიც ქუჩაში.

პრინცი ჰენრი. კარგად მოქცეულხარ; ხომ გაგიგონია - სიბრძნე ქუჩაში დალადებს, მაგრამ ყურს არავინ მიუპყრობსო.

ფოლსტაფი. აჰ, რა ჯოჯოხეთურად გიყვარს ეს ქარაგმები! წმიდანის წარყვნასაც კი არ ერიდები. ძალიან ცუდი საქმე მიყავი, ჰალ... ღმერთმა შეგინდოს! მანამ შენ გადაგეყრებოდი, უმანკო ვიყავ, არაფერი გამეგებოდა, ახლა კი მართალი თუ გინდა, ისე გამოვიქექე, წყალწაღებულ მრუმსაც ბევრით აღარ ჩამოვრჩები. გადავწყვიტე, გამოვსწორდე, და გამოვსწორდები კიდეც, ღმერთია მოწმე; თუ არ გამოვსწორდე, არამზადა ვიყო: აბა მეფის ბიჭის გულისთვის სულს ხომ არ წავიწყმედ!

პრინცი ჰენრი. შენ ისა სთქვი, ხვალ ფული სად ვიშოვოთ, ჯეკ?

ფოლსტაფი. საცა გენებოს, ყმაწვილო, მე თანახმა ვარ. თუ არ ვიშოვო, არამზადა მიწოდე და გამომთათხე.

პრინცი ჰენრი. ვხედავ, რომ მართლაც გამოსწორების გზას დასდგომიხარ - ლოცვიდან პირდაპირ

ქისების ასაწაპნად მიემგზავრები.

(შემოდის პოინსი)

ფოლსტაფი. ჩემი ხელობა ხომ ეგ არის, ჰალ; კაცმა რომ თავის ხელობაზე იმუშაოს, განა ცოდვად ჩათვლება!.. აგერ პოინსიც. ახლავე გავიგებთ, რა სეირს გვიმზადებს გედსპილი. ეჰ, ვინ რის ღირსია, იმის მიხედვით რომ უზღავდნენ, ამ გარეწარისთვის ჯოჯოხეთშიაც კი ვერ გამოძებნიდნენ შესაფერ ცხელ ორმოს. მაგისთანა გაქნილ არამზადას მეორეს ვერ შეხვდები.

პრინცი ჰენრი. გამარჯობა, ნედ.

პოინსი. გაგიმარჯოს, ძვირფასო ჰალ; რაო, ბატონი სინდისის ქენჯნა რასა ბრძანებს? სერ ჯონ, შეტკბილებული ღვინო რასა იქმს? ჰა, ჯეკ, ვერაფერს გახდი ეშმაკთან? აი, წარსულ პარასკევს ერთ ფინჯან მადერასა და ცივად მოხარშულ ყვერულის ფეხში სული რომ მიჰყიდე?

პრინცი ჰენრი. ეშმაკი უსათუოდ მიიღებს დანაპირებს, სერ ჯონი სიტყვის კაცია, აბა ანდაზას ხომ არ უღალატებს - თავისი წილი ეშმაკსაც უნდა მიუზღაო.

პოინსი. მაშინ კი მართლაც დაწყევლილი იქნები სულის გაყიდვისათვის.

პრინცი ჰენრი. სულერთია, თუ არ მიჰყიდა, სიტყვის გატეხისათვის იქნება დაწყევლილი.

პოინსი. ახლა რა გახაროთ, ბიჭებო! ხვალ დილით ოთხ საათზე გედსჰილში უნდა ვიყოთ. კენტერბერისკენ მდიდრული შესაწირავებით დატვირთული მლოცველები მიემგზავრებიან, ხოლო ლონდონისაკენ ჯიბეგამოტენილი ვაჭრები მოდიან. ცხენები თქვენი იყოს, ნიღბები მე დაგიმზადეთ. გედსჰილი როჩესტერში ათევს ღამეს, მე კი სახვალთ ვახშამი ისტრიკში დავუკვებთ, ხიფათის შიში ნუ გექნებათ - თუნდაც ლოგინში გძინებოდეთ! წამოხვალთ - ქისებს ფულეებით გამოგიტენით, არ წამოხვალთ - შინ იჯექით და სახრჩობელას ელოდეთ.

ფოლსტაფი. მაშ, ეგეც იცოდე, ედუარდ, თუ შინ დავრჩი და არ გამოგყევი, წასვლისათვის თქვენ ჩამოგახრჩობთ.

პოინსი. მაგას გულით ამბობ, დაკეპილო ხორცო?

ფოლსტაფი. წამოხვალ, ჰალ?

პრინცი ჰენრი. რაო, ძარცვა დავიწყო? ვიქურდო? ნურას უკაცრავად.

ფოლსტაფი. არც სინდისი გაგაჩნია, არც ვაჟკაცობა, არც მეგობრის გამტანობა; რაღა მეფის მემკვიდრე ხარ, ათი შილინგის შოვნაც ვერ გაგიბედავს.

პრინცი ჰენრი. ჯანდაბას, ერთხელ ჩემს სიცოცხლეში მეც გავგიჟდე!

ფოლსტაფი. ეს კი მწამს!

პრინცი ჰენრი. რაც იქნება იქნება, მე შინ დავრჩები.

ფოლსტაფი. შენ რომ ტახტზე ახვალ, ღმერთმანი, გადაგიდგები.

პრინცი ჰენრი. ეგეც მე ვინაღვლო?

პოინსი. სერ ჯონ, გეთაყვა, მე და პრინცი მარტო დაგვტოვე: უნდა დავარწმუნო, რომ წასვლა აუცილებელია.

ფოლსტაფი. აგრე იყოს, ღმერთმა შენ დარწმუნების ნიჭი მოგმადლოს, მაგას კი განუხვნას ყურნი მოსასმენად; შენმა სიტყვებმა გაამხნევოს, ხოლო რასაც თვითონ მოისმენს, იმან დაარწმუნოს, რომ თავის შესაქცევად ნამდვილი პრინციც შეიძლება მოგონილ ქურდად იქცეს; ცოტათი მაინც გავერთოთ ამ ჩვენს მოსაწყენ დროში! აბა მშვიდობით. ისტრიკში შეგხვდებით.

პრინცი ჰენრი. მშვიდობით, ნაგვიანეო გაზაფხულო! მშვიდობით, ბებრის ყვავილობავ!

(ფოლსტაფი გადის)

პოინსი. აბა, ჩემო ტკბილო თაფლის პრინცი, გამოგყევი ხვალ.

ერთი კარგი ოინი მოვიგონე,

მე მარტო არ გამომივა. ჩვენ ისიც გვეყოფა, რომ იმ ხალხის კვალს მივაგენით; ფოლსტაფმა, ბარდოლფმა, პეტომ და გედსჰილმა - გამარცვონ; არც შენ იქნები იქა და არც მე; მაგრამ როგორც კი ჩაიგდებენ ნადავლს ხელში, შენი ხმალი და ჩემი კისერი, თუ მაშინვე მე და შენ არ წავაგლიჯოთ.

პრინცი ჰენრი. გზაში როგორღა ჩამოვშორდებით?

პოინსი. ეგ ადვილია; ან გავასწრებთ, ან უფრო მოგვიანებით წავალთ; შეხვედრის ადგილს დავუნიშნავთ, მაგრამ არ მივალთ დროზე. ისინი უჩვენოდ გაძარცვავენ, და ვერც კი მოასწრებენ გონს მოსვლას, რომ ახლა ჩვენ დავესხმით თავს.

პრინცი ჰენრი. ჰო, მაგრამ ადვილად გვიცნობენ ტანსაცმლით, ცხენებით და სხვა რამეებით.

პოინსი. ეგ არაფერი. ცხენებს ვერც კი დაინახავენ, ტყეში დავაბამ; დავშორდებით თუ არა, ნიღბებს გამოვიცვლით, მუშამბის მოსასხამებიც მაქვს, რომ ტანსაცმელი დაგვიფაროს.

პრინცი ჰენრი. ვაი თუ ვერა ვსძლიოთ.

პოინსი. რა ბრძანებაა! ორი მათგანი წმინდა წყლის ლაჩარია, მამინვე ზურგს გვაჩვენებენ. მესამემაც ხიფათში თუ ჩაიგდოს თავი და იმაზე დიდხანს გაგვიწიოს წინააღმდეგობა, ვიდრე ამას გონივრულად ჩასთვლიდეს, მზადა ვარ, იარაღი ავიყარო. მაგრამ მთავარი სერი ის იქნება, ჩვენი გაბერილი ყალთაბანდი რომ მოხსნის თავს ტყუილების გუდას ვახშმად - სულ ცოტა, ოცდაათ კაცს მაინც შევებრძოლეო, ასე შევეუტიეო, ისე დავარტყეო, თავი გავწიეო! ნამდვილი ოინი კი მაშინ ნახე, როცა მის იშვილბაზობას გავამჟღავნებთ.

პრინცი ჰენრი. კეთილი, გამოგყვები. რაც საჭირო იყოს, ყველაფერი მოიმარაგე და ხვალ საღამოს ისტრიკში მელიოდე. იქ ვივახშმებ. ახლა მშვიდობით.

პოინსი. მშვიდობით, მილორდ. (გადის)

პრინცი ჰენრი. რა შვილიცა ხართ, კარგად გიცნობთ, მაგრამ ჯერ მაინც

ხელს ვუწყობ ამ თქვენს თავაშვებულს ლაზღანდარობას

და ბრწყინვალე მზეს ვბაძავ ამით, რომელიც ზოგჯერ ბნელი ღრუბლების საბურველში გამოეხვევა და მთელს ქვეყანას დაუმალავს თვის სილამაზეს; ხოლო როდესაც მოისურვებს კვლავ გამოჩენას, გააპობს ხოლმე ბილწ და მახინჯ ნისლის საბურველს, რომელიც თითქოს აქამომდე ახრჩობდა იმას, გამოიხედავს და დანატრულ ხალხს გაახარებს. მთელი წელი რომ გადაბმულად იუქმოს ხალხმა, მაშინ გართობაც მოსწყინდებათ მძიმე შრომისებრ, მონატრებული უქმე დღე კი სუყველას ატკობს, გულს იშვიათი სიხარული უფრო ახარებს. ამგვარად, როცა ამ ფუჭს თარეშს თავს დავანებებ და გადავიხდი აქამომდე გადუხდელს ვალსა, რის გადახდასაც ჯერ არავის შევპირებივარ, ხალხს ცუდ მოლოდინს გავუმტყუნებ და ყველას თვალში იმაზე კარგი გამოვჩნდები, ვიდრე ჰგონიათ. აკი ლითონი შავ მიწაში უფრო ელვარებს, მეც, გარდაქმნილი ჩემი ძველი ცოდვების შემდეგ - უფრორე კარგი გამოვჩნდები და ხალხის მზერას სამკაულებზე უფრო მეტად ამით მივიპყრობ. (გადის)

სურათი III. ლონდონი. სასახლე.

შემოდინ მეფე ჰენრი, ნორთამბერლანდ, ვუსტერი, ჰოტსპერი, სერ უოლტერ ბლენტი და სხვები.

მეფე ჰენრი. მეტად წყნარი და თვინიერი კაცი ვიყავი, ასეთი წყნა ცივ სისხლს არც კი ამიჩქროლებდა, თქვენც შემეჩვიეთ, ჩემს ხასიათს ალღო აუღეთ და მოთმინებას მოურიდლად ფეხით მითელავთ. მაგრამ დღეიდან გარდვიქმნები ღირსების კვალად, გავხდები ქუში და გოროზი, შიშის ზარს დაგცემთ; ზეთივით რბილი, ბუმბულივით ნაზი ვიყავი, და ჰა, დავკარგე ამიტომაც პატივისცემა, რადგან ყოველთვის ასე ხდება - თვითონვე ტლანქი პატივისცემით მოექცევა მხოლოდ ქედმაღალს. ვუსტერი. ჩვენს სახლს, ხელმწიფევ, ასე თათხვა არ ეკადრება, მით უფრო, ისეთ აღზევებულ მბრძანებლისაგან, ვის განდიდებას ჩვენ თვითონვე შევუწყვეთ ხელი. ნორთამბერლანდი. მილორდ...

მეფე ჰენრი. თვალთაგან დამეკარგე ახლავე, ვუსტერ, - შენს თვალში ვხედავ ურჩობას და საშინელებას; ჩემთანაც ბედავ თავხედურად კოპების შეკვრას, მაგრამ ხომ იცი, რომ ხელმწიფე მირონცხებული კარისკაცების დაბღვერილ შუბლს ვერ შეიწყნარებს. ჯობს გამეცალო, ამაზე კარგს ვერცა რას იზამ, თუ დამჭირდება შენი რჩევა, ისევ მოგიხმობ. (ვუსტერი გადის)

(ნორთამბერლანდს) თითქოს რაღაცა უნდა გეთქვა...

ნორთამბერლანდი. დიახ, ხელმწიფევ, თქვენ რომ ჰოლმდონში ჰარის მიერ ტყვედ შეპყრობილი ჯარისკაცები მოითხოვეთ, იმათზე ჩემს შვილს უარი თურმე ისე მკვახედ არ გაუბედავს,

როგორც გადმოსცეს თქვენს ხელმწიფურ დიდებულებას. აგერ, თვითონვე ამბობს ამას, და დამნაშავეც ჭორი ან შური უნდა იყოს, არა ჩემი ძე. ჰოტსპერი. განა ტყვეებზე ვთქვი უარი, ჩემო ხელმწიფევ, ახლაც თვალნათლივ მაგონდება, ბრძოლას რომ მოვრჩით, ქანცგაწყვეტილი, სიბრაზისგან პირგამომშრალი, სუნთქვაშეკრული, ხმალს ლასლასით ძლივს ვეყრდნობოდი, როცა მოგვადგა უცებ ერთი პრონწია ლორდი, სასიძოსავით გამოწკეპილ-გამოპრანჭული, ახლახან მომკილ ყანასავით პირგაფხევილი, მეწვრილმანისებრ ნელსაცხებლით აქოთებული; ცერსა და სალოკ თითებ შუა პიწკად ეჭირა პაწია შუშა, დაჩვრეტილი, რაც წარამარა დასაყნოსავად ნესტოებთან მიჰქონდა ხოლმე, და ყოველ ასეთ დაყნოსვაზე მისივე ცხვირი გაბრაზებული აცხინკვებდა და აცხინკვებდა. თან ლაქლაქებდა, თანაც ცმუკვით იკრიჭებოდა, ხოლო როდესაც დამაშვრალმა ჯარისკაცებმა ჩამოატარეს დახოცილთა გვამები იქვე - თქვე გაუთლელი ბრიყვებო, ასე შესძახა, რადგან გაბედეს და უმგვანი, ბილწი ცხედრები მის ბრწყინვალეებას ზედ ცხვირის წინ ჩამოუტარეს. ქალისებური მანჭვა-გრეხით რაღა არ მკითხა, და მერე უცებ ის ტყვეებიც მომთხოვა თქვენთვის. გამწარებულმა უკვე შემხმარ ჭრილობებისგან, ამ სასაცილო თუთიყუშით გაბეზრებულმა და მოთმინებადაკარგულმა, აღარც კი მახსოვს

რა ვუპასუხე, - „ჰო“ თუ „არა“ დაუდევრობით;
 რადგან, ხელმწიფე, ცოტას გაწყდა, არ გამაგიჟეს
 მისმა ბრწყინვალე მორთულობამ, ნელსაცხებლებმა,
 სისხლზე, ბრძოლაზე, ჭრილობებზე, თოფ-ზარბაზნებზე
 სეფე-ქალების შესაფერმა მისმა ტიტინმა.
 ღმერთო მიხსენი! - მარწმუნებდა, რომ კონტუზია
 ყველაზე კარგად სპერმაცეტი იკურნებაო,
 საწუხარ არსო, - თუმც კი მართლაც სამწუხაროა, -
 რომ წიაღიდან ამ უვნებელ დედამიწისა
 თხრიან და თხრიან ყოვლის მომსპობ გვარჯილას უხვად
 რაც მრავალ ვაჟკაცს ბოლოს უღებს მუხანათურად;
 ეს საზიზღარი ზარბაზნები არ იყოს ქვეყნად,
 მაშინ თვითონაც ჯარისკაცი გავხდებოდიო.
 ამ უთავბოლო ყბედობაზე, ჩემო ხელმწიფე,
 მეც აგდებულად ვუპასუხე, გითხარით კიდევ:
 ახლა კი ამას გევედრებით, მისი დასმენა
 საბრალდებულო ნიაღვარად ნუ გადიქცევა,
 ნუ დაგვაცილებს ერთმანეთსა და ჩემს სიყვარულს
 ნუ მოაშორებს თქვენს უმაღლეს დიდებულებას.
 ბლენტი. ჩემო ხელმწიფე, როცა კარგად განვსჯით ყველაფერს,
 თუ ვის მიმართა ჰარი პერსიმ ამგვარ სიტყვებით,
 ან როდის უთხრა, რა ადგილას, რა პირობებში,
 და სხვასაც, აქ თქმულს, თუ ყველაფერს ავწონ-დავწონით,
 მაშინ მოკვდება და არასდროს აღარ აღსდგება
 მის სავენებად და გასაკიცხად იგი სიტყვები;
 აკი თვითონვე უკან მიაქვს თვისი ნათქვამი.
 მეფე ჰენრი. უკან სად მიაქვს, როცა ტყვეებს პირობით გვაძლევს

და იმ ტყვეების სანაცვლოდ კი გვავალდებულებს,
 ბრიყვი ცოლისძმა მორტიმერი გამოვუსყიდოთ,
 ის მორტიმერი, ვინაც ჩვენი ჯარისკაცები,
 გლენდაუერის წინააღმდეგ ბრძოლად გასულნი,
 მუხანათურად გასწირა და გააწყვეტინა,
 თვითონ კი ჯვარი დაიწერა ცოტა ხნის წინათ
 იმ დაწყვეტილი ჯადოქარის ასულზე თურმე!
 მისთვის დავცალო სახელმწიფო სალაროები,
 რომ მოღალატე გამოვიხსნა და შინ მოვუშვა?
 ღალატი ფულით შევისყიდოთ? ანუ ლაჩართან,
 რომელმაც თავი ტყვედ ჩაიგდო და მტერს დანებდა,
 კავშირი შევკრა მეგობრული? არა და არა,
 დაე შიმშილით გასძვრეს სული უდაბურ მთებში!
 არც მას ვიწამებ აღარასდროს ჩემად მეგობრად,
 ვინც აჯანყებულ მორტიმერის გამოსასყიდად
 და შინ მშვიდობით მოსაყვანად თუნდაც გროშს მომთხოვს.
 ჰოტსპერი. აჯანყებული მორტიმერი!
 ხელმწიფე, თქვენგან ის არასდროს არ განდგომილა,
 ამის მიზეზი გახლავთ ომის მუხანათობა,
 და ამ სიმართლეს დადადებენ მისი სისხლმჩქეფი,
 პირდაბრენილი ჭრილობები, რაც მამაცურად
 სწრაფი სევერნის ნაპირებზე მიიღო იმან,
 როს ლელიანში სახელგანთქმულ გლენდაურს შეხვდა
 და შეეჭიდა სიმამაცის გამოსაცდელად;
 მთელი საათი გრძელდებოდა მძვინვარე ბრძოლა,
 სამჯერ შეჩერდნენ წამიერად, სულმოსათქმელად,
 სამჯერ მათივე სისხლიანი თვალებისაგან

დამფრთხალ მდინარეს დაეწაფენ, რომელიც შიშით
 აცახცახებულ ლელიანში მიიძურწოდა
 და ამ მეზრძოლთა სისხლით ნამულ ნაპირების ქვეშ
 ცდილობდა გრუზა ქოჩრიანი თავის დამალვას.
 ბილწი, დამპალი თვალთმაქცობა ასე არასდროს
 მომაკვდინებელ ჭრილობებით თავს არ შეიმკობს.
 არც ღირსებასრულ მორტიმერსა შეეძლო ასე
 მოსაჩვენებლად დაეჩეხა თავისი თავი,
 დე, ნურც შებლავენ მოღალატის სახელით იმას.
 მეფე ჰენრი. შენ სტყუი, პერსი, სტყუი-მეთქი, რადგან არასდროს
 გლენდაუერთან მას პირისპირ არ უბრძოლია.
 იცი, რას გეტყვი,
 იგი ეშმაკთან შეჭიდებას უფრო გაბედავს,
 ვიდრემდე ბრძოლას იმ ოუენ გლენდაუერთან.
 არა გრცხვენია?! მაგრამ მორჩა, ამიერიდან
 კრინტის დაძვრაც კი მორტიმერზე არ გამიბედო;
 გიჯობს ტყვეები გამოგზავნო დაუყოვნებლივ,
 თორემ ისეთი მწარე-მწარე მოგასმენინო,
 აღარ გეჩვენოს სასურველად. - ლორდ ნორთამბერლანდ,
 ნება გემლევა, გამეცალო შენს შვილთან ერთად.
 ჩქარა ტყვეები გამოგზავნეთ, თორემ განანებთ!
 (გადიან მეფე ჰენრი, ბლენტი და ტრეინი)
 ჰოტსპერი. თუნდა ღრიალით თვით ეშმაკი გამომეცხადოს,
 იმ ტყვეებს მაინც არ ვაღირსებ. - გავსდევ და ამას
 პირში მივახლი: გულზე მაინც მომეფონება,
 მერე თავიც რომ წავასაკრო, აღარ დავკეძებ.

ნორთამბერლანდი. ბოლმამ დაგათრო? დაიცადე, სული
 დაითქვი;
 ჰა, ბიძაშენიც.
 (შემოდის ვუსტერი)
 ჰოტსპერი. მორტიმერზე არ დავძრა კრინტი?!
 ჰოი, ჯანდაბა! მაინც მასზე ვილაპარაკებ!
 და წაწყმედილი ვიყო მართლაც სულით-ხორცამდე,
 თუკი არ შევხვდე; ეს ძარღვები გამიხმეს მაშინ,
 სისხლი წვეთ-წვეთად დამედინოს და მტვერი მორწყას,
 თუ დაცემული მორტიმერი არ აღვადგინო
 და იქ არ დავსვა, სადაც ახლა ეს უმადური,
 ეს მანკიერი ბოლინგბროკი წამოჭიმულა.
 ნორთამბერლანდი. ხომ ხედავ, როგორ გაგიცოფა მეფემ
 ძმისწული!
 ვუსტერი. ჩემს არყოფნაში ვინ დაანთო ასეთი ცეცხლი?
 ჰოტსპერი. ასე ინება, მომგვარეო ტყვეები ჩქარა,
 ხოლო როდესაც შევახსენე ჩემი ცოლისძმის
 გამოსასყიდი საფასური, მთლად გადაფითრდა
 და მომამტერა გამგმირავად თვალთა ისარი...
 იმის უბრალო ხსენებაზეც კი ცახცახებდა!
 ვუსტერი. და ვერც დავძრახავ, აკი იგი განსვენებულმა
 მეფე რიჩარდმა თვის მემკვიდრედ გამოაცხადა!
 ნორთამბერლანდი. მეც ჩემის ყურით მოვისმინე, შენ მართალს
 ამბობ,
 ეს მაშინ მოხდა, როცა მეფე, ბედუკულმართი, -
 ღმერთმა შეგვიწოდოს, მის წინაშე რაც ცოდვები გვაქვს! -
 ემზადებოდა ირლანდიას გასალაშქრებლად,

სიდგანაც იგი სულ მალევე დაბრუნდა უკან,
 შემდეგ ტახტიდან ჩამოაგდეს და მოჰკლეს კიდეც.
 ვუსტერი. აკი ჩავცვივდით ხალხის პირში მაგ მკვლელობისთვის
 და მთელი ქვეყნის სალანძღავად გადავიქცით.
 ჰოტსპერი. რაო, რას ამბობთ? თუ ღმერთი გწამთ გამაგებინეთ,
 ჩემი ძმა ედმუნდ მორტიმერი მეფე რიჩარდმა
 ტახტის მემკვიდრედ დაგვიტოვა?
 ნორთამბერლანდი. ჰო, მეც იქ ვიყავი,
 და ჩემის ყურით მოვისმინე მეფის სურვილი.
 ჰოტსპერი. მაშ მეც არ ვძრახავ მის ბიძაშვილს, დღევანდელ
 მეფეს,
 მთაში შიმშილით მოკვდინებას რომ ემუქრება.
 მაგრამ რას ფიქრობთ თქვენ, რომელთაც მეფის გვირგვინი
 თავზე დაადგით კაცს უმადურს და გულმავიწყსა,
 ვისთვისაც მკვლელის სამარცხვინო ლაქას ატარებთ, -
 რას ფიქრობთ-მეთქი, წყევლა-კრულვა გაგიტკბათ განა,
 გსურთ გიწოდებდნენ მის დამქაშებს, ბინძურ იარაღს -
 სახრჩობელას თოკს, ანუ კიბეს, ან თვითონ ჯალათს?!
 ო, მომიტევეთ, რომ ამგვარად დავეშვი დაბლა,
 რათა გაჩვენოთ გაიძვერა ხელმწიფის ხელში
 თქვენი ნამდვილი ადგილი და მდგომარეობა, -
 სირცხვილო, ნუთუ ყველას უნდა ეკეროს პირზე,
 ჟამთაღმწერელმაც ეს გადასცეს შთამომავლობას,
 რომ თქვენისთანა დიდებულნი, ყოვლისშემძლენი
 შეთქმულებაში ჩაგითრიეს და უსამართლოდ, -
 ო, მოგიტევეთ დიდმა ღმერთმა, - მეფე რიჩარდი,
 ეს ტკბილი ვარდი ამოგლიჯეთ ძირფესვიანად,

რათა ეკალი ბოლინგბროკი დაგერგათ ნაცვლად?!
 ნუთუ იმასაც შეურიგდით, ჰოი, შერცხვენავ,
 რომ კვლავ ეს ჰქონდეთ სალაქლაქოდ - ვით გაგაწბილათ,
 გაგასულელათ, მოგიშორათ მერე თავიდან
 სწორედ იმ კაცმა, რომლისთვისაც ამ სირცხვილს ზიდავთ?
 არა, არ არის ჯერაც გვიან, რომ დაკარგული
 პატიოსნება დაიბრუნოთ და ქვეყნის თვალში
 ძველი დიდება-სათნოება კვლავ აღიდგინოთ.
 შური იძიეთ ზიზღისა და დაცინვისათვის
 გაგოროზეულ ხელმწიფეზე, რომელიც მუდამ,
 დღისით და ღამით, იმას ცდილობს ვალში არ დაგრჩეთ
 და მკვლელობისთვის სისხლით გიზღათ სამაგიერო.
 მიტომაც ვამბობ...
 ვუსტერი. კმარა. ჩუმად, ჩემო ძმისწულო,
 მე შენ ახლავე საიდუმლო წიგნს გადაგიშლი,
 რათა პასუხად მაგ ნაჩქარევ წყრომა-ტუქსვისა
 შიგ წაგაკითხო მეტად ღრმა და საშიში საქმე.
 რასაც სჭირდება უფრო დიდი თავის განწირვა,
 ვიდრემდის წვრილი შუბით გავლას აქოთქოთებულს
 და აბორგებულს ნიაღვარზე!
 ჰოტსპერი. ჯანი გავარდეს!
 თუ ჩავცვივდებით, დე ჩავცვივდეთ! ბოლოს და ბოლოს.
 ან ჩავგძირავს და ან გავცურავთ. დაე დაიძრას
 საშიშროება აღმოსავლით დასავლეთისკენ,
 მას გადაჰკვეთავს გზად შემხვედრი პატიოსნება,
 ჩრდილოეთიდან წამოსული სამხრეთისაკენ,
 დე, შეეჭიდონ ერთმანეთსა! კურდღლების დევნას

ლომთან ჭიდილი მირჩვენია - სისხლს ამიჩქროლებს.
 ნორთამბერლანდი. მარტო ფიქრიც კი ასეთ გამირულ
 შემართებაზე
 მას მოთმინებას უკარგავს და ბრძოლად აღაგზნებს.
 ჰოტსპერი. ზეცასა ვფიცავ, არად მიჩანს მთვარეზე ავხტე
 და ავგაღიჯო სათნოება მკრთალი სახიდან;
 ანდა ჩავყვინთო ზღვის უფსკრულში, - რასაც საზომად
 საძირავი ქვაც ვერა სწვდება, - და კულულებით
 ამოვართო ჩაძირული პატიოსნება,
 რომელსაც მხოლოდ იმ პირობით დავიხსნი ახლა
 თუ მე დამრჩება და არავინ შემეცილება,
 რადგან არ მიყვარს საზიარო მე არაფერი.
 ვუსტერი. რაღას არ ხედავს ოცნებაში, მაგრამ ერთადერთს
 იმას ვერ ამჩნევს, რასაც უნდა ხედავდეს იგი!..
 ორიოდ სიტყვა მათქმევინე, ჩემო ძმისწულო.
 ჰოტსპერი. ო, შემბრალებ...
 ვუსტერი. წარჩინებულ შოტლანდიელებს,
 რომლებიც ტყვედ გყავს ჩაგდებული...
 ჰოტსპერი. ჩემთვის ვიტოვებ,
 ერთ ჯარისკაცსაც არ დავუთმობ, ღმერთს გეფიცებით;
 თუნდ მისი სულის ხსნა შეეძლოს ერთ შოტლანდიელს,
 მარჯვენას ვფიცავ, არ დავუთმობ.
 ვუსტერი. ისევ დაიწყო
 და როგორც ვატყობ არც აპირებს მათხოვოს ყური.
 ტყვეები შენთვის დაიტოვე...
 ჰოტსპერი. ვიტოვებ კიდეც!
 არ მსურსო, ამბობს, გამოსყიდვა მორტიმერისა,

მე მეუბნება - მორტიმერზე კრინტს ნუ დასძრავო;
 მაგრამ როგორც კი ვიხელთებ და მძინარეს ვნახავ,
 ყურში ჩავმახებ მორტიმერის სახელს ხმამაღლა.
 არა, ამასაც არ ვაკმარებ, შოშიას გავწვრთნი,
 მხოლოდ ერთ სიტყვას შევასწავლი, მხოლოდ „მორტიმერს“,
 და მას მივუძღვნი, რომ მუდამ დღე გულზე სკდებოდეს.
 ვუსტერი. მეც მათქმევინე ერთი სიტყვა, ჩემო ძმისწულო.
 ჰოტსპერი. საქვეყნოდ ვამბობ, რომ ხელს ვიღებ ყველა საქმეზე
 და დღეის შემდეგ მუდამ იმის ცდაში ვიქნები,
 ვჩხვლიტო და ვგესლო ბოლინგბროკი, გულზე გავხეთქო;
 იმ ლოთიფოთსა და ჩხუბისთავს უელსის პრინცსაც
 ლუდში საწამლავს გავურევდი, მაგრამ მე მგონი
 მზე აგრერიგად არ ამოსდის ხელმწიფეს შვილზე,
 და ფათერაკს თუ გადაეყარა, მოილხენს კიდეც.
 ვუსტერი. მშვიდობით იყავ; საუბარი მაშინ განვაგრძოთ,
 როცა მოსმენის გუნებაზე იქნები, შვილო,
 ნორთამბერლანდი. გაგიჟდი? ბზიკის ნაკბენივით რამ გაგამწარა?
 დედაკაცივით რას გახელდი და გაკაპასდი!
 სხვას აღარც უსმენ და ყურს უგდებ შენივე ლაქლაქს!
 ჰოტსპერი. ასე მგონია მწკეპლავენო, ჭინჭრით მცემენო...
 ჭიანჭველები მკბენენ თითქოს - როდესაც ვუსმენ
 ამ გაიძვერა ბოლინგბროკსა.
 რიჩარდის დროში... - დამაცადეთ, რა ციხეაო?
 ჭირმა წაიღოს, რა ციხე დგას გლოსტერშირიში!
 იქ დამთხვეული ბიძამისი ბატონკაცობდა,
 აი, ჰერცოგი იორკისა, - მაშინ პირველად
 მუხლი მოვდრიკე ამ ჭყანია მეფის წინაშე.

ოჰ, ჯანდაბას... ენაზე მადგას!
 რევენსპერგიდან რომ დაბრუნდა ის თქვენთან ერთად.
 ნორთამბერლანდი. ბარკლის ციხეში...
 ჰოტსპერი. ჰო, ბარკლის ციხე... შაქრად დადნა, თავაზად იქცა,
 კუდის ქიციანით მელაქუცა ეს ძალი მაშინ!
 „გაიზარდოსო ჯერ ეგ ჩემი ყმაწვილი ბედი...“
 „ო, ჩემო კარგო ჰარი პერსი. ჩემო ძმობილო“.
 ეშმაკმა იმმოს მაგისტანა გაიმვერები!..
 ღმერთო შემინდე!... - აჰა, გისმენ, მე მოვრჩი, ძია.
 ვუსტერი. რატომ? განაგრძე, თუკი დაგრჩა სათქმელი რამე,
 დაგელოდებით.
 ჰოტსპერი. არა, მოვრჩი, თავს გეფიცებით.
 ვუსტერი. მაშ შოტლანდიელ ტყვეებისგან დავიწყოთ ისევ,
 ყველა გაუშვი, გამოსყიდვას ნულარ მოითხოვ
 და მაშინ შვილი დუგლასისა დაგეხმარება
 შოტლანდიაში ჯარისკაცებს შეგაკრებინებს.
 მჯერა იოლად მოგვარდება სუყველაფერი,
 და რატომ ვფიქრობ ამას ასე, წერილით გამცნობ.
 (ნორთამბერლანდს) მილორდ, ვიდრემდე თქვენი შვილი
 შოტლანდიაში
 მოაგვარებდეს თავის საქმეს, უნდა იმარჯვოთ
 და ყველასაგან საყვარელის, კეთილშობილის
 ეპისკოპოსის გული უნდა მოინადიროთ.
 ჰოტსპერი. ეპისკოპოსი იორკისა?
 ვუსტერი. დიახ, იორკის,
 რომელმაც მეფეს აქნობამდე ვერ მიუტევა
 ბრისტოლში მოკვლა თავისის ძმის ლორდის სკრუპისა.

მე რასაც ვამბობ, არ მიიღოთ ლიტონ სიტყვებად
 და არც ჩემს პირად ვარაუდად; წინასწარვეა
 აწონ-დაწონილ, მოფიქრებულ-გადაწყვეტილი;
 აწ ისლა გემართებს - დაველოდოთ მარჯვე შემთხვევას
 და შევასრულოთ ყველაფერი, რაც განგვიზრახავს.
 ჰოტსპერი. წინასწარვე ვგრძნობ, ჩვენი საქმე ალჩუზე მოვა.
 ნორთამბერლანდი. ძალებს ნუ უსევ, მანამ ნადირს
 წამოაგდებდე.
 ჰოტსპერი. უკეთეს გეგმას, გეფიცებით, ვერც ვინატრებდი;
 შოტლანდიელებს და იორკელთ შეუერთდება
 თვით მორტიმერიც! ხომ ასეა?
 ვუსტერი. ასეა სწორედ.
 ჰოტსპერი. ღმერთს გეფიცებით, ჩინებულად მოგიფიქრიათ.
 ვუსტერი. დიდი სიჩქარე გემართებს მაინც, ნუ დაივიწყებთ,
 რომ მისი თავის წაცლით ვიხსნით საკუთარ თავებს,
 რადგან თუნდ ასე მორჩილებით ვეახლოთ ყველგან,
 მაინც მუდამჟამს ეხსომება, არ დაივიწყებთ,
 რომ ჩვენი ვალი ჯერაც არ აქვს გასტუმრებული,
 გულს აკლიათო, მუდამ ასე მოეჩვენება,
 ვიდრე იხელთებს და იმ ქვეყნად არ გაგვისტუმრებს.
 ხედავთ, ღიმილიც დაგვიძვირა თანდათანობით.
 ჰოტსპერი. და ამიტომაც ყველას გემართებს ვიძიოთ შური.
 ვუსტერი. მშვიდობით, შვილო; იმაზე მეტს ნულარ შესტოპავ,
 რასაც წერილით არ მოგწერ და არ დაგარიგებ.
 როცა დრო მოვა, ეს კი მალე იქნება ახლა, -
 ლორდ მორტიმერს და გლენდაუერს მივეახლები.
 იქ კი შენსა და დუგლასის ჯარს, - ისე მოვაწყობ, -

დაუყოვნებლივ შეუერთდეს ჩვენი მხედრობაც.
 და ჩვენს ბედ-იღბალს, ცახცახით რომ გვიჭირავს ახლა,
 უფრო ღონივრად ჩავეჭიდოთ ჩვენივე ხელით.
 ნორთამბერლანდი. მშვიდობით, ძმავო, იმედი მაქვს, რომ
 გავიმარჯვებთ.
 ჰოტსპერი. მშვიდობით, ძია, სული მიმდის, ვერ ვდგები შინა,
 ვიდრე ძალუმად დაიქუხებს ბრძოლის ყიჟინა.
 (გადიან)

მოქმედება მეორე

სურათი I. როჩესტერი. სასტუმროს ეზო.

შემოდის 1-ლი მეეტლე, ხელში ფანარი უჭირავს.

1-ლი მეეტლე. ჰეი-ჰეი! თავსა ვდებ ჩამოსახრჩობად, თუ დილის
 ოთხი საათი არ იყოს; დიდი ხარგუთანი უკვე ახალ საწვიმარ
 მიღს გაუსწორდა, ამათ კი ჯერაც არ აუკიდნიათ საპალნე
 ცხენებისათვის. ჰეი, მეჯინიბევ!

მეჯინიბე. (გარედან) მოვდივარ, მოვდივარ!

1-ლი მეეტლე. ტომ, შენი ჭირიმე, კუდა-ცხენს კეხი მოხადე და
 კოტის ქვეშ ცოტაოდენი ქეჩის ნაჭრები შემოუწყვე, თორემ
 საბრალო ჯაგლაგს ფაფართან ტყავი უწყალოდ გადაყვლეფია.

(შემოდის მე-2 მეეტლე)

მე-2 მეეტლე. ცერცვი და მუხუდო ერთიანად დამპალია,
 საბრალო ცხენებს მატლებს გაუჩენს მუცელში; რაც მეჯინიბე
 რობინი მოკვდა, ამ სახლში ყველაფერი თავდაყირა დგას.

1-ლი მეეტლე. საწყალი! შვრია რომ გაძვირდა, მას უკან
 გადიმებული აღარ მინახავს; და გადაყვა კიდეც იმის ჯავრს.

მე-2 მეეტლე. ამისთანა სამინელ ფუნდუკს მეორეს ვერ ნახავ
 მთელს ლონდონის გზაზე - რწყილებითაა სავსე; ისე დამკბინეს,
 სულ კაპარჭინასავით ამაჭრელეს.

1-ლი მეეტლე. კაპარჭინაო! მე კიდეც პირველი მამლის ყვილის
 შემდეგ ისე მაგრად დამკბინეს, რომ წირვის მადლმა, არც ერთი
 ქრისტიანი მეფე არ იქნება ჩემსავით დაკბენილი.

მე-2 მეეტლე. დაგვბენენ, მა რა მოგივა, დამის ჭურჭელს რომ არ გაღირსებენ; მეტი რაღა ჩარაა, პირდაპირ ბუხარში უნდა მიუშვა; სწორედ მაგისგან მრავლდებიან რწყილები გოჭალებივით.

1-ლი მეეტლე. მეჯინიბევ! არ გეყურება?! ჩქარა გამოდი, შენი ჩამოხრჩობა ვნახე! ჩქარა-მეთქი!

მე-2 მეეტლე. დაშაშხული ბარკალი და ორი საპალნე ილი მიმაქვს ჩარინგ-კროსში.

1-ლი მეეტლე. ღმერთო, ჩემი ინდაურები შიმშილით იხოცებიან კალათში. - ჰეი, მეჯინიბევ! რა ჭირი გეცა! დაბრმავდი? დაყრუვდი? გათახსირებული კაცი დამიძახეთ, თუ მაგის მიტყეპვა ისეთივე მადლი არ იყოს, როგორც კაი გამობრუჟვა. გამოდი, შე ძელზე ჩამოსაკიდო! ღმერთი აღარა გყავს?

(შემოდის გედსპილი)

გედსპილი. გამარჯობა, მეეტლეებო; რომელი საათია?

მე-2 მეეტლე. ორი საათი იქნება.

გედსპილი. თუ ძმა ხარ, ფანარი მათხოვე, ჩემს ლაფშას დავხედავ საჯინიბოში.

1-ლი მეეტლე. აჰ, რასა ბრძანებ, ვინც გაგიცურებია, ახლაც ის გააცურე.

გედსპილი. მაშ შენ მათხოვე, თუ კაცი ხარ.

მე-2 მეეტლე. რატომაც არა, მაგრამ როდის? აბა გამოიცანი! მათხოვეო, ხომ? ჯერ ვნახო, როგორ ჩამოგახრჩობენ!

გედსპილი. ეს მაინც მითხარი, შე ხეპრე მეეტლევე, რა დროისთვის ფიქრობთ ლონდონს ჩასვლას.

მე-2 მეეტლე. რა დროისთვის და, ლონდონს რომ ჩავალთ, სანთლის ანთება დაგჭირდება. წამოდი, ჩემო მეზობელო მეგს,

ბატონები გავადვიდოთ, იმდენი ბარგიბარხანა აქვთ, რომ ერთად მგზავრობას არჩევენ.

გედსპილი. ჰეი, ბიჭო!

მსახური. (გარედან) ემ საათში, ჯიბგირებისა არ იყოს.

გედსპილი. რაღა ჯიბგირს მივარდი, ბარემ გეთქვა - ფუნდუკის მსახურისა არ იყოსო; თქვენი საქმე ვის გაუყვია - შენ ასწავლი, ის კი იპარავს.

(შემოდის მსახური)

მსახური. დილა მშვიდობისა, მისტერ გედსპილი. რაც წუხელ მოგახსენეთ, ყველაფერი გამართლდა: ჩვენთან დგას ერთი კენტელი მემამულე, სამასი ოქრო მიაქვს თან, ჩემი ყურით გავიგონე, წუხელ ვახშამზე ეუბნებოდა თავის თანამგზავს; ეს მეორე კი ოდიტორი უნდა იყოს, მაგასაც კაი ძალი ბარგიბარხანა მოაქვს, ოღონდ ღმერთმა იცის, რა საქონელი უყრია შიგ. უკვე ადგნენ და კვერცხი და კარაქი მოითხოვეს. საცაა, გაუდგებიან კიდევაც გზას.

გედსპილი. შენი ხმალი და ჩემი კისერი, თუ ეგენი წმიდა ნიკოლასის ბიჭებს არ გადაეყარონ.

მსახური. ნეტა რა ჯანდაბად მინდა შენი კისერი, ისა სჯობია გაუფრთხილდე და ჯალათს შეუნახო მარყუჟში გასაყოფად, რადგან შენც ისე სცემ პატივს წმიდა ნიკოლასს, როგორც ყველა ყალთაბანდი და გაიძვერა.

გედსპილი. ჯალათი რა მოსატანია? გინდა მე ჩამოუხრჩვივარ და გინდა წყვილი ჩასუქებული კაცი. ეგ სულ ერთია, რადგან მე თუ ჩამომკიდეს, ჩემთან ერთად ბებერ სერ ჯონსაც გააყოფინებენ ყულფში თავს; ხოლო ჯონი რომ შიმშილით ჩამომხმარი არ არის, ეს შენც კარგად მოგეხსენება! რას ამბობ, კაცო! ისეთი

ვაჟბატონები არიან ჩვენთან, რომ სიზმარშიაც არ მოგელანდებან; უბრალოდ, გართობის ხათრით სწყალობენ ჩვენს ხელობას; ასე რომ, თუ ვინმემ ეჭვი აიღო ჩვენზე, არხეინად ბრძანდებოდე, ის ჩვენი ვაჟბატონები თავისივე თავის ხათრით ყველაფერს მოაგვარებენ. ქუჩის მაწანწალებთან როდი ვარ დაკავშირებული, არც ხელჯობიან არამზადებთან ვმეგობრობ, ერთი გროშისთვის რომ თავს გაგიტეხენ! არც იმ უღვამა ცხვირწაწითლებულ დამთხვეულ ლოთებთან! ნურას უკაცრავად! ჩემი მეგობრები კეთილშობილი და დარჩეული ხალხია, სულ ბურგომისტრები და დიდ-დიდი ვინმეები, თავს არავის დააჩაგვრინებენ, ცარიელა ლაქლაქს დარტყმას ამჯობინებენ, დალევას - ლაქლაქი უჯობთ, ხოლო ლოცვას ისევ დალევა ურჩევნიათ; თუმცა ეს რა ვთქვი, ეშმაკმა დალახვროს, შემემალა -

მუდამ ლოცვა-ვედრებაში არ არიან! თავიანთ წმიდანზე - ხაზინაზე - ლოცულობენ; არა, კი არ ლოცულობენ, ზედ დააჯირითებენ, მაგრად თელავენ, როგორც საკუთარ წაღებს.

მსახური. რაო, სახელმწიფო ხაზინა მათი წაღებიაო? მერე და ცუდ გზაზე რომ მოხვდნენ, წყალს დაიჭერს?

გედსპილი. დაიჭერს, დაიჭერს; მართლმსაჯულებით არის გაპოხილი. ჩვენ უხიფათო ქურდობა გვიყვარს, თითქოს ციხე-კომპში ვიყოთ გამოკეტილი უშიშრად. გვიმრისფრად ვართ შეღებილები და უხილავად დავდივართ.

მსახური. მე კი მგონია, ღამე უფრო გიფარავთ, ვიდრე გვიმრისფერი.

გედსპილი. ხელი მომეცი: შენც გიდევეს წილი ჩვენს ნადავლში, პატროსანი კაცის სახელს გეფიცები.

მსახური. სჯობს გაიძვერა ქურდის სახელი დაიფიცო, უფრო დაგიჯერებ.

გედსპილი. კარგია ერთი; კაცი კაცია, ყველას ერთი სახელი აქვს - homo. გასწი, მეჯინიბეს უთხარი,

ჩემი ჯაგლაგი გამოიყვანოს. მშვიდობით, შე ჭუჭყიანო არამზადა.

(გადიან)

სურათი II. გზა გედსპილის მახლობლად.

შემოდინ პრინცი ჰენრი და პოინსი; ბარდოლფი და პეტო მოშორებით ჩანან.

პოინსი. ჩქარა, დაიმაღეთ! დაიმაღეთ! ფოლსტაფს ცხენი მოვპარე და ახლა გახამებული ხვერდივით დაფარფატებს თვითონ.

პრინცი ჰენრი. აქვე გვერდზე მივდგეთ. (გვერდზე მიდგებიან)

(შემოდის ფოლსტაფი)

ფოლსტაფი. პოინს! პოინს! შე ჩამოსახრჩობო! პოინს!

პრინცი ჰენრი. (წინ წამოდგება) ხმა ჩაიკმიდე, შე გაბერილო არამზადა! რა გაღრიალებს?!

ფოლსტაფი. პოინსი სად წავიდა, ჰალ?

პრინცი ჰენრი. ამ გორაკზე ავიდა, წავალ, მოვებნი.

(ისევ მიიმალება)

ფოლსტაფი. ნეტა ასე ვინ დამწყევლა, რომ ამ ბაცაცასთან ერთად მიწერია ხალხის ძარცვა; არამზადამ ჩემი ცხენი სადღაც გალალა, ეშმაკმა უწყის, სად მიაბა, ოთხიოდ ნაბიჯი რომ გადავდგა კიდე,

მეტი არც მინდა - სული გამვარდება. თუ ღმერთმა ქნა და სახრჩობელას გადავრჩი ამ გაიმვერას მოკვლისათვის, მერე რა მიჭირს, პატიოსანი კაცის სიკვდილით მოვკვდები; აგერ ოცდაორი წელიწადია დღე ისე არ დადამდება, საათი ისე არ გაივლის, რომ არ დავიფიცო - ჩამოვცილდები-მეთქი, მაგრამ რა გამოვიდა, თითქოს მონუსხული ვყავდე, მაინც ვერ ვშორდები ამ ყალთაბანდს. ახლავე ჩამომახრჩონ, თუ ამ არამზადას სამსალა არ შემოეპარებინოს ჩემთვის. ნამდვილად სიყვარულის სამსალა დამალევიანა. პოინს! ჰალ! ჰირი გეცათ ერთსაც და მეორესაც! - ბარდოლფ! პეტო! - მორჩა. შიმშილით რომ მხდებოდეს სული, აქედან ფეხის მომცვლელი არა ვარ. არა, უნდა ჩამოვშორდე ამ არამზადებს და პატიოსანი კაცი გავხდე: ეგ თუ ღვინის ყლოურწვასავით კარგი საქმე არ იყოს, უკანასკნელი ყალთაბანდი დამიძახონ. რაღა სამოცდაათი მილი გზის ფეხით გავლა და რაღა ამ ოღროჩოღროებში რვა ნაბიჯის გადადგმა, ჩემთვის სულერთია. განა ამ გულქვა არამზადებმა კი არ იციან ეგა! ჰირი მაგათ! გაგონილა, ქურდმა ქურდს უღალატოს! ფუჰ! ჰირი გეცათ! ჩემი ცხენი მომგვარეთ, არამზადებო! მომგვარეთ ჩემი ცხენი და თქვენ თუნდა ჯანდაბამდის გზა გქონიათ!

პრინცი ჰენრი. (წინ გამოდის) შენ ეი, ჰიპა, ხმა ჩაიკმდე! ახლავე პირქვე დაემხვე და ყურით მიწას გაეკარ, ნახე მგზავრების ფეხის ხმა ხომ არ ისმის.

ფოლსტაფი. მერე ბერკეტი გაქვთ, რომ პირქვე დამხოვილი ისევ ფეხზე წამომაყენოთ? ეშმაკმა დალაზვროს! მორჩა, თუნდა მამაშენის მთელი ხაზინა მაჩუქონ, ამ სიშორეს მაინც აღარ წამოვიღებ ჩემს ღიჰს. მაგრამ ერთი მითხარი, ჩემს ცხენს რაღა ეშველება?

პრინცი ჰენრი. ცხენს რა უჭირს, შენ შენი იკითხე, შენ რა გეშველება!

ფოლსტაფი. გემუდარები, ჩემო კარგო პრინცო ჰალ, კაი ხელმწიფის შვილო, მომამებნინე ჩემი ცხენი.

პრინცი ჰენრი. ამ ყალთაბანდს ვერ უყურებ! მე რა შენი მეჯინიბე მნახე?!

ფოლსტაფი. წადი, წადი და შენს სამემკვიდრო წვივსაკრავზე თავი ჩამოიხრჩვე. ფიქრი ნუ გაქვს, მე თუ ჩავვარდი, თქვენც გაგცემთ. ღვინით სავსე ფიალა შხამად მექცეს, თუ ლექსები არ შევთხზა შენზე და ხალხი ბინძურ კილოზე არ ვამღერო! ვერ ვიტან ხოლმე ხუმრობაში ასე შორს შეტოპვას. და ისიც ფეხით!

(შემოდის გედსპილი)

გედსპილი. შესდექი!

ფოლსტაფი. ძალიანაც არ მინდა, რომ ვიდგე, მაგრამ რა ვქნა, ვდგევარ და ეგ არის.

პოინსი. ო, ეს ხომ ჩვენი მეძებარია, ხმაზედა ვცნობ (წინ წამოდგება ბარდოლფსა და პეტოსთან ერთად)

ბარდოლფი. ახალს რას იტყვით?

გედსპილი. სახე დამალეთ. სახე დამალეთ. ნიღბები გაიკეთეთ, გორაკიდან საცაა მეფის ფულეები ჩამოცურდება და მეფისავე ხაზინისაკენ გასრიალდება.

ფოლსტაფი. სტყუი, არამზადა! მეფის სამიკიტნოსკენ გასრიალდება.

გედსპილი. გვეყოფა კიდევ...

ფოლსტაფი. სახრჩობელაში თავგასაყოფად კი.

პრინცი ჰენრი. ბატონებო, პირველად თქვენ ოთხი დახვდებით ვიწრო მოსახვევში; ნედი, პოინსი და მე ქვემოთ ჩავინაცვლებთ; თუ გაგეცათ, ჩვენ წამოგვადგებიან თავზე.

პეტო. სულ რამდენი იქნებიან?

გედსპილი. რვა თუ ათი.

ფოლსტაფი. ეშმაკმა დალახვროს, თვითონვე კი არ გაგვმარცვონ! პრინცი ჰენრი. აი, შე გულდედალო სერ ჯონ ჭიპა!

ფოლსტაფი. მართალია, ტანწერწეტი პაპაშენი გონტი არა ვარ, მაგრამ გულდედალი მაინც არ ითქმის ჩემზე.

პრინცი ჰენრი. ამასაც ვნახავთ.

პოინსი. შენი ცხენი თუ დაგჭირდეს, ჯეკ, ღობის გადაღმა ნახავ. ახლა მშვიდობით, მაგრად დადექ.

ფოლსტაფი. ვაი რომ ახლა ვერც შემოგვრავ, თუნდა ჩამომახრჩონ.

პრინცი ჰენრი. (ჩუმად პოინსს) ჩვენი მოსახამეზი სად არის, ნედ? პოინსი (ჩუმად პრინცს) აქვეა ახლოს. დავიმალეთ.

(გადიან პრინცი და პოინსი)

ფოლსტაფი. აბა ბატონებო, ღმერთმა ხელი მოგიმართოთ! ადგილებზე!

(შემოდიან მგზავრები)

1-ლი მგზავრი. წამოდი, ჩემო მეზობელო, ცხენებს ბიჭი ჩამოიყვანს გორაკიდან, ჩვენ კი ცოტა გავიაროთ, მუხლი გავმართოთ.

ქურდები. შესდექით!

მგზავრები. ღმერთო შენ გვიშველე!

ფოლსტაფი. მიდი, მისცხე, სული გააფრთხოვინე, ყელი გამოლადრე მაგ არამზადებს, მაგათ! საზიზღარი მუხლუხები! ლორით დასუქებული არამზადები! დასანახადაც ვერ გვიტანენ ჩვენ - ახალგაზრდებს. მიდით და სულ გაატყავეთ!

მგზავრები. მორჩა, დავილუპეთ ჩვენცა და მთელი ჩვენი მოდგმაც!

ფოლსტაფი. ჩამოხრჩობის ღირსი ხართ, თქვე ფაშვიანო არამზადებო! რაო, დაილუპეთ? ვაი რომ ასე არ არის, თქვე ქონით გატენილო წუწურაქებო! ნეტა მთელი ავლა-დიდება თანა გქონდეთ! მოუსვით, ქონის გუნდებო, მოუსვით! ახ, თქვე თაღლითებო! ახალგაზრდებს ცხოვრება აღარ გვინდა? რაო? ნაფიცი მსაჯულები ხართ? ჰა? ისე გაგსაჯოთ რომ... (მარცვავენ მგზავრებს და შეკრულები გაჰყავთ)

(შემოდიან პრინცი და პოინსი გადაცმულები)

პრინცი ჰენრი. ქურდებმა პატიოსანი ხალხი შებოჭეს. ჩვენ რომ ეს ქურდები გავმარცვოთ და მხიარულად დავბრუნდეთ ლონდონს, სალაპარაკო მთელი კვირისა გვექნება, სასაცილო - მთელი თვისა, ხოლო სალაღობო მოსაგონებელი სამარის კარამდე გვეყოფა.

პოინსი. დავიმალეთ, მოდიან... (დაიმალებიან)

(შემოდიან ქურდები)

ფოლსტაფი. აბა, ჩქარა, ბატონებო, ნადავლი გავინაწილოთ და სანამ ინათებდეს, ცხენებს მოვახტეთ; თუ პრინცი და პოინსი პირწავარდნილი ლაჩრები არ იყვნენ, მაშინ ქვეყნად სამართალი აღარ ყოფილა და ეგ არის. რაღა პოინსი და რაღა გარეული ბატი, სიმამაცეში ერთმანეთს ვერ გაეცევიან.

პრინცი ჰენრი. ფულები ჩამოყაჭეთ!

პოინსი. არამზადები!

(ფულის განაწილებაში გართულ ქურდებს თავს წაადგებიან პრინცი და პოინსი. ქურდები გაიქცევიან. ფოლსტაფიც, ერთი-ორი დარტყმის შემდეგ, გაიქცევა, ნადავლს იქვე დატოვებს) პრინცი ჰენრი. იოლად ვიგდეთ ხელთ ნადავლი. ცხენებზე მარდად!

ისე დაფეთდნენ, რომ სუყველას თავგზა აებნა, დაიფანტნენ და ვერც ბედავენ - ერთმანეთს შეხვდნენ, ჯარისკაცებად ეჩვენებათ თვისი მოძმენი. აბა გავსწიოთ, ძვირფასო ნედ. საბრალო ფოლსტაფს ისე დაასხა ჭირის ოფლმა, რომ მწირ ნიადაგს, თან მიცუნცრუკებს, თანაც ოფლით აპოხიერებს. შევიბრალებდი, სასაცილო არ ყოფილიყო. პოინსი. როგორ ბლაოდა არამზადა! (გადიან)

სურათი III. უორკორთის ციხე-სიმაგრე.

შემოდის ჰოტსპერი, წერილს კითხულობს.

ჰოტსპერი. „...მაგრამ ისეთი სიყვარული მაქვს თქვენი სახლისა, მილორდ, რომ მე პირადად მოხარული ვიქნებოდი, თქვენთან ვყოფილიყავი“... - მოხარული იქნებოდა! მაშ რაღა უშლის ხელს? ჩვენი სახლის სიყვარული! ზედვე არ ეტყობა, რომ ჩვენს სახლს თავისი საბძელი ურჩევნია! აბა ქვემოთ ვნახოთ: „მეტად საშიშარ საქმეს მოსჭიდებიხართ“. რაღა თქმა უნდა! ასევე საშიშია გაცივება, ძილი, დაღევა; მაგრამ უნდა მოგახსენოთ, ჩერჩეტო

მილორდ, რომ ამ ჭინჭრიდან, რასაც საშიშროებას ეძახიან, ჩვენ უშიშროებად ხმოზილ ყვავილებს დავკრევთ. „მეტად საშიშარ საქმეს მოსჭიდებიხართ; თქვენ რომ თანამზრახველებს ასახელებთ, სანდონი არ არიან; დრო - შესაფერი არ არის; და საერთოდ მთელი თქვენი გეგმა ზერელებად არის მოფიქრებული, ასეთი ძლიერი მტრის წინააღმდეგ არ გამოდგება“. ვითომ? ასე გგონიათ? მე კი გაგიმეორებთ, რომ თქვენ ქარაფშუტა და ლაჩარი ბრძანდებით. და სტყუით კიდეც! უტვინო! ღმერთმა ხომ იცის, რომ ასეთი კარგი გეგმა ჯერ არავის მოუფიქრებია, თანამზრახველები ერთგულნი და სანდონი არიან; კარგი გეგმა, კარგი თანამზრახველები, კარგი იმედები!... შესანიშნავი გეგმა, ძალიან კარგი თანამზრახველები! უსულგულო არამზადა! მაშ იორკის მთავარეპისკოპოსს რატომ მოსწონს ჩვენი გეგმაცა და მთელი ჩვენი მოქმედებაც! ოჰ, ერთი აქ მომცა ეს არამზადა, თავისივე ქალბატონის მარათი გამოვუბერტყავდი ტვინს თავიდან. ბოლოს და ბოლოს, მამაჩემი, ბიძაჩემი, მე თვითონ... ამ შეთქმულების მონაწილენი არა ვართ?! ახლა ლორდ ედმუნდ მორტიმერი? იორკის მთავარეპისკოპოსი? ოუენ გლენდაუერი? დუგლასიც ხომ ჩვენთან არის? აგერ არა მაქვს მათი წერილები - იმ თვის ათში აბჯარასხმულებს გველოდეთო?! ზოგიერთი ხომ დაიდრა კიდეც ჩვენსკენ! ეს რა ურჯულო არამზადა ყოფილა! უწმინდური! ჰა! ნახე თუ ეს ცივისსხლიანი ლაჩარი მეფესთან არ მივიდეს და მთელი ჩვენი განზრახვა არ ჩაუკაკლოს! ო, რომ შეიძლებოდეს შუაზე გავიყო და ჩემივე თავს სილა გავაწნა; ამ დოცლაპიას ასეთი დიდი საქმე როგორ გავანდე! ჯანდაბამდის გზა ჰქონია! უთხრას მეფეს - ჩვენ ხომ მზადა ვართ! ამაღამვე დავიძრები.

(შემოდის ლედი პერსი)

შენა ხარ, კეიტ? კიდევ ორი საათი და გაგზორდები.
 ლედი პერსი. ჩემო ძვირფასო, რატომ ხარ განმარტოებით?
 ეს ორი კვირა მიტოვებულ დედაკაცივით
 ჩემს ჰარის საწოლს რად ვარ ასე მოშორებული?
 მითხარი, ჩემო საყვარელო, რა მოგივიდა,
 რამ დაგიკარგა ოქროს ძილი, მადა, სიამე?
 გამუდმებულად მიწას რისთვის ჩაშტერებიხარ?
 მარტო რომ ზიხარ, ხშირად რატომ შეკრთები ხოლმე?
 მჩქეფარე სისხლი რამ გაგიქრო მაგ ღაწვებიდან?
 შენ ხომ ჩემი ხარ, და ეგ ჩემი ტკბილი საუნჯე
 წყეულ სევდას და მძიმე ფიქრებს რისთვის დაუთმე?
 ოდნავ რომ წათვლემ - იქვე ვჩნდები და გითვალთვალებ, -
 შენ რკინის ომზე გაცხარებით მოჰყვები ბუტბუტს;
 თითქოს შენს მერანს მიაგელვებ თავგამოდებით,
 ყვირი - „გამხნევდით! მტერს ეკვეთეთ!“ . რას არ ახსენებ:
 სანგრებს, შეტევას, კარვებსა და უკან დახევას,
 მიწაყრილებსა და ღობურებს, ალყის შემორტყმას,
 ბასილისკოსა და კულვერნის პირქუშ ზარბაზნებს,
 მოკლულ მეომრებს და ფულს, ტყვეთა გამოსასყიდად...
 ყველაფერს, რაც კი გაფიცებულ ბრძოლას თანა სდევს.
 და იმგვარად ხარ ომის ცეცხლით გულანთებული,
 ბრძოლებზე ფიქრი ძილსაც ისე გიშფოთებს მუდამ,
 რომ შუბლზე ცვარად სიმწრის ოფლი დაგასხამს ხოლმე,
 ვით აბორგებულ ნიაღვარზე ბუშტები წყლისა;
 სახის იერიც უცნაურად გამოგეცვალა -
 როგორც ხიფათის მოლოდინში სუნთქვაშეკრულებს;

გამაგებინე, ეს რას ნიშნავს, რას მოასწავებს?
 მეუღლეს ჩემსას რაღაც მძიმე საქმე აწუხებს
 და თუ ფუყვარვარ, მეც გამანდობს წუხილის მიზეზს.
 ჰოტსპერი. ჰეი,

(შემოდის მსახური)

პაკეტი ჯილიამსმა წაიღო უკვე?

მსახური. დიახ, წაიღო, საათია, მას შემდეგ, მილორდ.

ჰოტსპერი. ბატლერს ცხენები შერიფისგან არ მოუგვრია?

მსახური. ეს წუთი არის, ერთი ცხენი მოგგვარათ, მილორდ.

ჰოტსპერი. ის ყურგაჭრილი ლურჯა ცხენი?

მსახური. დიახ, ბატონო.

ჰოტსპერი. ეგ ლურჯა - ბურჯად გადიქცევა, ტახტზე ამიყვანს.

წავალ, ახლავე მოვახტები; ოი, esperance

ბატლერს უბრძანე, მომიყვანოს პირდაპირ ბაღში.

(მსახური გადის)

ლედი პერსი. მე არ მომისმენ?

ჰოტსპერი. რას მიბრძანებ, ჩემო მეუღლე?

ლედი პერსი. რა გაიძულეხს, რას მიყევხარ შინიდან, ჰარი?!

ჰოტსპერი. ცხენს, რა თქმა უნდა, ცხენს მიყვავარ, ჩემო ძვირფასო.

ლედი პერსი. ეჰ, დამთხვეულო მაიმუნო! დედოფალასაც

არ აქვს ამდენი ხუსტური და უცნაურობა!...

მაგრამ, ვიფიცავ, ჩემო ჰარი, გულით მწადიან

გავიგო შენი საიდუმლო, ნუ დამიმალავ.

ვაჰ თუ ჩემმა ძმამ მორტიმერმა მოიწადინა

ძველი უფლების აღდგინება და შენცა გთხოვა,

რომ შეუერთდე აჯანყებულთ! იქ თუ წახვედი...

ჰოტსპერი. ფეხით? ასე შორს, ჩემო კარგო?! ხომ დავიქანცე!

ლედი პერსი. კმარა, გეყოფა, თუთიყუშო, ის გირჩევნია ჩემს შეკითხვაზე პირდაპირი პასუხი მომცე; ჰარი, იცოდე, ნეკს მოგამტვრევ, ღმერთს გეფიცები, მთელი სიმართლე ამ საქმისა თუ არ გამანდე. ჰოტსპერი. კარგი, გეყოფა, ნუ გიჟმაჟობ! სიყვარულიო? როდის მიყვარხარ! შენთვის ახლა აღარ მცალია. ვილასა სცხელა ტიკინებთან თავშესაქცევად, ანუ ტუჩების სავარჯიშოდ; აწ თავის ჩეხვა და სისხლის დენა ცხვირპირიდან! ო, ცხენი, ჩქარა! – რას ამბობ, კეიტ? რა გსურს ჩემგან, ერთი მითხარი! ლედი პერსი. აღარ გიყვარვარ? მართლა აღარ? შენი ნებაა, მეც, მითუმეტეს, ჩემი თავი არ მეყვარება! მამ არ გიყვარვარ? მართალს ამბობ თუ მეხუმრები? ჰოტსპერი. წამოდი, არ გსურს დამინახო, როგორ გავქუსლავ? როდესაც ცხენზე ავმხედრდები, მაშინ შეგფიცავ, მიყვარხარ-მეთქი შენ უსაზღვროდ... მისმინე კეიტ, ნულარა მკითხავ, სად მივდივარ, ან რა საქმეზე; უნდა წავიდე, და მივდივარ! მოკლედ რომ მოვჭრა, ამაღამ უნდა მიგატოვო, ძვირფასო კეიტ, განა არ ვიცი - ჭკვიანი ხარ, თუმც ჰარის ცოლზე უფრო ჭკვიანი არ იქნები; ვიცი მტკიცე ხარ, მაგრამ ქალი ხარ, რაგინდ იყოს, თუმცა ქალთაგან შენებრ ვერავინ საიდუმლოს ვერ შეინახავს; მიტომაც მჯერა: რაც არ იცი, იმას არც იტყვი: შენი ნდობა მაქვს მეც ამდენად, ძვირფასო კეიტ. ლედი პერსი. მხოლოდ ამდენად? ჰოტსპერი. არც ერთი გოჯით მეტად არა. მისმინე, კეიტ:

საცა მივდივარ - შენც იქითკენ უნდა წახვიდე: მივემგზავრები მე ამაღამ, ხვალ შენ წამოხვალ. ახლაც არა ხარ კმაყოფილი? ლედი პერსი. მეტი რა გზა მაქვს. (გადის)

სურათი IV. ისტრიპი. ტრაქტირი „ტახის თავი“

შემოდის პრინცი ჰენრი.

პრინცი ჰენრი. ნედ, თუ კაცი ხარ, გამოდი მაგ გაზინთული ოთახიდან და ცოტა გამამხიარულე.

(შემოდის პოინსი)

პოინსი. სად ყოფილხარ, ჰალ?

პრინცი ჰენრი. სამ თუ ოთხ მუხის კუნძისთავა ვაჟბატონთან ერთად სამოც თუ ოთხმოც მუხის კასრზე დროს ვატარებდი. უკვე ფსკერზე დავეშვი, მდაბიობთან, და ყველაზე ქვეითა სიმს შევეხე: მიკიტნების მთელი ხროვა ძმად გავიხადე; შემიძლია ყველას ნათლობის სახელი გითხრა - ტომ, დიკ, ფრენსის. სულსა ჰფიცავენ: მართალია, ჯერ ტახტზე არ ასულხარ, მხოლოდ უელსის პრინცი ბრძანდები, მაგრამ ნამდვილი თავაზიანობის მეფე ხარო; პირდაპირ მეუბნებიან - ფოლსტაფივით გაბლენძილი კი არ დადიხარ, ნამდვილი კორინთელი ხარ - ჩვენი ბიჭო, სწორედ ასე მეძახიან, ღმერთმანი, - ინგლისის მეფედ რომ გაკურთხებენ, მთელი ისტრიპის კაი ბიჭები შენს სამსახურში გვიგულეო; ღვინის სმას გაჭარხლებას ეძახიან; სმის დროს თუ ცოტათი სული მოითქვი, „აბა-აბაო“, მოგამახებენ და ბოლომდე

დაგაცლევინებენ ფიალას. მოკლედ, თხუთმეტ წუთში ისე გავიწაფე, რომ ახლა არ გამიჭირდება მთელი ჩემი სიცოცხლე ვინმე თოქმაჩთან ვილოთო და მისივე ენაზე ვესაუბრო. ბევრი პატივი და დიდება დაგაკლდა, თან რომ არ მახლდი. მაგრამ, ჩემო ტკბილო ნედ, - კიდევ უფრო ტკბილი რომ გახდეს შენი სახელი, აჰა, ერთი კვნიტი შეაქარი; სწორედ ახლა მომაჩეჩა ხელში მსახურმა ბიჭმა, ერთმა იმათგანმა, რომელთაც ინგლისურად მხოლოდ რამდენიმე სიტყვა იციან - „რვა შილინგი და ექვსი პენი“, ანდა „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება“, და მაშინვე დაუმატებენ წრიპინით: „ეხლავე, ეხლავე, სერ! ერთი პინტი ტკბილი ღვინო ნახევარ-მთვარის ოთახში“... - მაგრამ-მეთქი, ნედ, ფოლსტაფის მოსვლამდე დრო რომ მოვკლათ, ადექი და მეზობელ ოთახში შედი, მე კი მანამდე მსახურ ბიჭს გამოვკითხავ, რამ მოუხუსტურა, ეს შეაქარი რომ მომცა; ამასობაში შენ იმაზე და იმაზე - „ფრენსის“, ჩემთვის პასუხის მოცემას ნულარ დააცლი, სულ „ეხლავე“ და „ეხლავე“ აყვირე. აბა წადი, გასწავლი, როგორ უნდა მოიქცე.

(გადის პოინსი)

პოინსი. (შიგნიდან) ფრენსის!

პრინცი ჰენრი. დიდებულია.

პოინსი. (შიგნიდან) ფრენსის!

(შემოდის ფრენსისი)

ფრენსისი. ეხლავე, ეხლავე, სერ. - ბროწეულის ოთახს მიხედე, რაღა.

პრინცი ჰენრი. აქ მოდი, ფრენსის.

ფრენსისი. რას მიბრძანებთ, მილორდ?

პრინცი ჰენრი. კიდევ რამდენი წელი უნდა იმსახურო, ფრენსის?

ფრენსისი. ხუთი წელი, სწორედ იმდენი, რამდენიც...

პოინსი. (შიგნიდან) ფრენსის!

ფრენსისი. ეხლავე, ეხლავე, სერ.

პრინცი ჰენრი. ხუთი წელი! ღვთიშობელს ვფიცავ, კიდევ ბევრი დრო დაგრჩენია ქვაბების საჩხრიალოდ. მაგრამ ეს მითხარი, ფრენსის, იმდენ მამაცობას თუ გამოიჩენ, რომ ლაჩრის როლი გაითამაშო, შენს დამქირავებელს ზურგი აქციო და გაექცე? ფრენსისი. ღმერთო ჩემო, რასა ბრძანებთ, ბატონო, რაც ინგლისში ბიბლია მოიძებნება, ყველაზე დავიფიცავ, რომ მაგის მამაცობა მე...

პოინსი. (შიგნიდან) ფრენსის!

ფრენსისი. ეხლავე, ეხლავე, სერ.

პრინცი ჰენრი. რამდენი წლისა ხარ, ფრენსის?

ფრენსისი. დამაცათ, გამოვთვალო... მომავალ მიქელობას გავხდები...

პოინსი. (შიგნიდან) ფრენსის!

ფრენსისი. ეხლავე, სერ. - ცოტა ხანს დამიცადეთ, მილორდ.

პრინცი ჰენრი. კეთილი, მაგრამ იცი, რა გითხრა, ფრენსის, შენ რომ შეაქარი მომეცი, აკი ერთი პენი ღირს.

ფრენსისი. ეჰ, ღმერთო ჩემო, ნეტა ორი ღირდეს სერ.

პრინცი ჰენრი. ათას გირვანქას მოგცემ იმ შეაქარში, შენ მხოლოდ მითხარი, როდის გინდა და მაშინვე მიიღებ.

პოინსი. (შიგნიდან) ფრენსის!

ფრენსისი. ეხლავე, ეხლავე.

პრინცი ჰენრი. ეხლავე, ფრენსის? არა, ფრენსის, ხვალისათვის გადავდოთ ან ხუთშაბათს, ფრენსის. ერთი სიტყვით, როცა შენ მოიგუნებებ, ფრენსის; მაგრამ, ფრენსის...

ფრენსისი. რას მიბრძანებთ, მილორდ?

პრინცი ჰენრი. იმ ტყავის ქურთუკიან კაცს თუ გაქურდავ, აი მინის ღილებიანს, თმაშეკრეჭილს, აგათის ბეჭედი რომ უკეთია თითზე, ნაცრისფერი წინდები აცვია, შალის ბაფთის წვივსაკრავი, ან ენალაქუცას, აი, ესპანური ქისა რომ ჰკიდა...

ფრენსისი. ო, ღმერთო ჩემო, ვისზე მეუბნებით, მილორდ.

პრინცი ჰენრი. მაშ, ამ შეტკბილებული წითელი ღვინის გარდა არაფერი გაქვთ სასმელი?! ფრთხილად, ფრენსის, ეგ თეთრი ქურთუკი არ გაისვაროთ. არა, ბატონო, ბერბერიში ამას არავინ იზამს.

ფრენსისი. რასა, სერ?

პოინსი. (შიგნიდან) ფრენსის!

პრინცი ჰენრი. აბა მოუსვი, არამზადავ, არ გესმის, რომ გეძახიან? (პრინციცა და პოინსიც ერთდროულად დაუწყებენ ძახილს. ფრენსისი გაოგნებული დგას, ვეღარ გადაუწყვეტია, საით წავიდეს. შემოდის მეზუფეტე)

მეზუფეტე. რას გაშტერებულხარ, არ გესმის, რომ გეძახიან? აბა, იმ ოთახში მიხედე სტუმრებს.

(ფრენსისი გადის)

მილორდ, ბებერი სერ ჯონი დგას კარებთან, ექვსიოდე კაცი ახლავს; შემოვუშვა?

პრინცი ჰენრი. ჯერ აყურყუტე და მერე შემოუშვი.

(მეზუფეტე გადის)

პოინს!

(შემოდის პოინსი)

პოინსი. ეხლავე, ეხლავე, სერ.

პრინცი ჰენრი. ფოლსტაფი და დანარჩენი ბაცაცები კარებთან დგანან. რას მოვილხენტ!

პოინსი. ჭრიჭინასავით მოვილხენტ. ეს რა ოინი უყავი იმ ლაწირაკს! რითი გათავდა?

პრინცი ჰენრი. ისეთი ოინები მიტრიალებს თავში, როგორც ჯერ არავის დასიზმრებია ადამის დროიდან მოკიდებული ამ შუალამის თორმეტ საათამდე. რომელი საათია, ფრენსის?

ფრენსისი. (შიგნიდან) ეხლავე, ეხლავე, სერ.

პრინცი ჰენრი. გაგონილა, ყმაწვილმა კაცმა იმდენი სიტყვაც კი არ იცოდეს, რაც თუთიყუშს დაუზეპირებია, და მაინც ქალის ნაშობად თვლიდნენ! მთელი საქმე მაგისა კიბეებზე აღმა-დაღმა სირბილია, მაგისი მჭევრმეტყველება - ანგარიშის მოთხოვნა...

ჯერ კიდევ ვერ დავემსგავსე პერსის, ამ ჩრდილოეთის ცხელ შუბს; ვითომც არაფერიო, გაჟუჟავს ექვს-შვიდ დუჟინ შოტლანდიელს საუზმის წინ, ხელს დაიბანს და ცოლს ეუბნება -

„ფუჰ, შევარცხვინე ამისთანა მშვიდობიანი ცხოვრება; მომწყინდა უსაქმოზა!“ „ო, ჩემო ძვირფასო ჰარი, - მიმართავს ცოლი, - რამდენი მოჰკალი დღეს?“ „ლურჯას წყალი დააღვევინეთ“ - იტყვის იგი; - თოთხმეტამდე!“ და ერთი საათის შემდეგ დასძენს -

„ცუდუბრალოდ მიდის დრო!“ ერთი, თუ ღმერთი გწამს, ფოლსტაფს გასძახე. მე პერსი უნდა წარმოვადგინო, მაგ ქონის გუნდამ კი ლედი მორტიმერი, პერსის ცოლი. „Rivo!“ ლოთებისა არ იყოს! გასძახე მაგ ქონის გუნდას!

(შემოდის ფოლსტაფი, გედსპილი, ბარდოლფი და პეტო. მათ შემოყვება ფრენსისი, რომელსაც ღვინო მოაქვს)

პოინსი. გამარჯობა ჯეკ, სად ყოფილხარ.

ფოლსტაფი. ჭირი, რაც ქვეყანაზე ლაჩრებია! ჭირი და გაწყვეტა! ამინ! მითქვამს და ასეც იქნება! ერთი ჭიქა ღვინო დამალევიწე, ბიჭო. ამისთანა ცხოვრებას, როგორ არ მირჩევნია დავჯდე, და წინდები ვქსოვო, დაგლეჯილი ადგილები გამოვკემსო, ტერფი გამოვაკერო! ჭირმა გაწყვიტოს, რაც ქვეყანაზე ლაჩრებია! ერთი ჭიქა ღვინო-მეთქი, არამზადა. სათნო ხალხი სულ გადაშენდა! (სვამს ღვინოს)

პრინცი ჰენრი. არ გინახავთ ტიტანი („ის გულმონწყალე ტიტანი!“) როგორა კოცნის და ალერსიანი ზღაპრებით ადნობს თეფშზე კარაქს? თუ არ გინახავთ, ამ ქონის გუნდას შეხედეთ.

ფოლსტაფი. აჰ, შე თაღლითო! კიდევ კირი გაურევია ღვინოში! თაღლითობის მეტს რას უნდა მოე-ლოდე გაიმგერა კაცისაგან... მაგრამ ლაჩარს ისევ კირგარეული ღვინო მირჩევნია. საზიზღარი ლაჩარი! შენი გზით იარე, ბებერო ჯეკ; როცა მოგეხუსტუროს, მოკვდი. გამოშიგნული ქაშაყი ვიყო, თუ ვაჟკაცობას, ნამდვილ ვაჟკაცობას, კიდევ ჰქონდეს რამე ფასი ქვეყანაზე. მთელი ინგლისი რომ შემოიარო, სამ პატიოსან კაცს ვერ ნახავ ჩამოუხრჩობს; და იმათგანაც ერთს სიმსუქნე და სიბერე შეეპარა. ღმერთო, შენ მოუმართე ხელი! არა, მითქვამს და ვიტყვი, რომ სულ გათახსირდა ხალხი. ნეტა ფეიქარი მაინც ვიყო, ფსალმუნების გალობას გადავავოლებდი გულს. ჭირმა გაჟუჟოს ლაჩრები! მითქვამს და ვიტყვი კიდევ!

პრინცი ჰენრი. რა იყო. მატყლის ბარდანავ, რას დუდღუნებ?

ფოლსტაფი. უფლისწულს დამიხედეთ! ქოსა ვიყო, თუ ხისაგან გამოჩორქნილი ხანჯლით არ დაგიფრინოთ გარეული ბატებივით შენცა და მთელი შენი ქვეშევრდომებიც. უელსის პრინცს დამიხედეთ!

პრინცი ჰენრი. რა იყო, შე ჩატიტკნილო ნაბუშარო, აღარ იტყვი, რა მოგივიდა?

ფოლსტაფი. ლაჩარი არა ხარ? არა, მიპასუხე. არც პოინსი ჩამოგრჩება!

პოინსი. ჰაი, ჭიპა, თუ კიდევ გაგიბედავს ლაჩრის დამახება, ღმერთს გეფიცები, ხანჯლით გამოგშიგნავ.

ფოლსტაფი. მე დაგიძახე ლაჩარი? უმაღლესს წავიწყემდე, ვიდრე მე ლაჩარს დაგიძახებდე. მაგრამ ნეტა შენისთანა სირბილი ვიცოდე და ათასი გირვანქა ვალი მქონდეს! კაი მხარბეჭიანი ბიჭი ხარ და ზურგის შექცევა არ გერცხვინება. ამას ეძახი შენ ზურგის გამაგრებას? ღმერთმა შეარცხვინოს მაგისთანა ზურგის გამაგრება! აბა ერთი თვალი გამისწოროს ვინმემ! ღვინო დამისხი! გათახსირებული კაცი ვიყო, ერთი წვეთი ღვინო თუ ჩამეშვას პირში დღეს.

პრინცი ჰენრი. აი შე თაღლითო! ისევ ტუჩზე გაჩნია ღვინო.

ფოლსტაფი. სულერთი არ არის! (სვამს) ჭირმა გასწყვიტოს ლაჩრები! მითქვამს და ვამბობ.

პრინცი ჰენრი. აღარ იტყვი, რა მოხდა?

ფოლსტაფი. რა მოხდა! რა მოხდა და, ოთხმა აქ მყოფმა დღეს დილით ათასი გირვანქა ჩავიგდეთ ხელში.

პრინცი ჰენრი. მერე სად წაიღეთ, ჯეკ, სად წაიღეთ?

ფოლსტაფი. სად წაიღეთ! ჩვენ კი არ წავიღეთ და ჩვენგან წაიღეს: ასი მაინც დაგვესხა თავს ამ ოთხ საწყალ კაცს.

პრინცი ჰენრი. რას ამბობ, ასი კაცი?!

ფოლსტაფი. ბარე ორი საათი ვუმკლავდებოდი ჩემი ხმლით მთელს დუჟინს; გარეწარი ვიყო, თუ ვტყუოდე. სასწაულია ჩემი

გადარჩენა! რვა ადგილას მაქვს ქურთუკი გახვრეტილი, შარვალი - ოთხგან, ფარი სულ დამიცხრილეს, ხმალს პირი აღარ შერჩა, ხერხად იქცა. აჰა, ecce signum! რაც თავი მოვიყარე, ასე მაგრად არ მიზრძოლია. მაგრამ რა გამოვიდა?! ჭირმა გაჟუჟოს, რაც ქვეყანაზე ლაჩრებია! ამათ კითხე თუ გინდა: თუ მოუმატონ, ან დააკლონ რამე, არამზადები და ჯოჯოხეთის მოციქულები იყვნენ.

პრინცი ჰენრი. გვიამბეთ, ბატონებო, როგორ მოხდა?

გედსპილი. ჩვენ ოთხნი ვიყავით, და თორმეტამდე კაცს დავესხით...

ფოლსტაფი. თექვსმეტი მაინც იქნებოდა, მილორდ!

გედსპილი. გავკოჭეთ.

პეტო. რას ამბობ, როდის გავკოჭეთ?!

ფოლსტაფი. როგორ არ გავკოჭეთ, არამზადა, ყველა გავკოჭეთ.

ურია ვიყო, თუ არ გაგვეკოჭოს, ურჯულო ურია ვიყო!

გედსპილი. ის იყო, ნადავლის გაყოფა დავიწყეთ, რომ ექვსი თუ შვიდი სხვა დაგვესხა...

ფოლსტაფი. მაშინვე მიცვივდნენ გაკოჭილებს და ხელ-ფეხი გაუხსნეს. ამასობაში სხვებიც მიეშველნენ...

პრინცი ჰენრი. მერე, ყველას შეეზრძოლეთ?

ფოლსტაფი. ყველასო! არ ვიცი, ყველას რას ეძახი, მაგრამ ბოლოკის კონად დამსახეთ, თუ მარტო მე ორმოცდაათ კაცს არ შევზრძოლებოდი. კაციშვილი არ ვიყო, თუ საბრალო ბებერი ჯგუკი ორმოცდათორმეტ, ორმოცდაცამეტ კაცს არ გამკლავებოდეს.

პრინცი ჰენრი. ღმერთმა ნუ ქნას, რომ ვინმე შემოგკვდომოდეს!

ფოლსტაფი. ღმერთი რაღას უშველის, ორი მათგანი წიწაკასავით გავსრისე... იცოცხლე, ორს გავუსწორე ანგარიში... მოსასხამში

გახვეულ ორ არამზადას. იცი რას გეტყვი, ჰალ, თუ ვტყუოდე, სახეში შემაფურთხე, ჭაკი მიწოდე. შენ ხომ იცი, როგორ ვხმარობ ხმალს - ასე დავდექი, ასე შევუტეე. ოთხი მოსასხამიანი არამზადა გამოვარდა...

პრინცი ჰენრი. ოთხი? აკი ორიო!

ფოლსტაფი. ოთხი, ჰალ, ოთხი გითხარი.

პოინსი. კი, კი, ნამდვილად ოთხი თქვა.

ფოლსტაფი. ერთბაშად დამესხნენ ოთხივენი, წინიდან. მეც ბევრი წილადობილა არ დამიწყია, შვიდივეს დარტყმა აი ასე მოვიგერიე, ფარით.

პრინცი ჰენრი. შვიდი? ამ წუთში არ ამბობდი ოთხიო!

ფოლსტაფი. მოსასხამებიანი?

პრინცი ჰენრი. ჰო, კაცო, მოსასხამმოხვეული ოთხი კაციო!

ფოლსტაფი. შვიდი, ამ ხმლის ვადას გეფიცები! არამზადა ვიყო, თუ ვტყუოდე.

პრინცი ჰენრი. კარგი, ნუ უშლი; კიდევ მოიმატებს.

ფოლსტაფი. არ მისმენ, ჰალ?

პრინცი ჰენრი. გისმენ და მერე როგორ, ჯგუკ.

ფოლსტაფი. ჰო, მისმინე, ღირს კიდევ მოსმენად. ერთი სიტყვით, ამ ცხრა მოსასხამიანს...

პრინცი ჰენრი. ასე უცებ მოემატა ორი?

ფოლსტაფი. გადაუტყდათ თუ არა ხმლები...

პოინსი. შარვლებიც ჩასძვრათ.

ფოლსტაფი. უკან დახევა იწყეს. მაგრამ რას მოვეშვებოდი! ფეხდაფეხ მივსდიე და თვალის დახამხამებაში, თერთმეტიდან შვიდს გავუსწორდი.

პრინცი ჰენრი. პირდაპირ სასწაულია; ორიდან - უცებ თერთმეტი მოსასხამიანი გახდა!

ფოლსტაფი. მაგრამ ეშმაკს არ ეძინა. უცებ უკანიდან სამი არამზადა ნაბუმარი მომვარდა. კენდალური მწვანე შალის ქურთუკები ეცვათ! რა უნდა მექნა, ისე ბნელოდა, ჰალ, რომ თვალთან თითს ვერ მიიტანდი...

პრინცი ჰენრი. ეს ტყუილი კი თავისივე შემქმნელ მამასა ჰგავს: მასავით გაბერილია, მოკლეფეხება და აშკარა - მაშინვე თვალში გეცემა. აი, შე თიხით თავგამოტენილო, დამთხვეულო, ნაბუმარო, უტიფარო, ჭუჭყიანი ქონის გუდავ...

ფოლსტაფი. რა მოგივიდა? გაგიჟდი? ჭკუიდან შეიშალე? თუ სიმართლეს ფასი დაეკარგა!

პრინცი ჰენრი. არა, თუ კი ისე ბნელოდა, რომ თვალში თითს ვერ მიიტანდი, კენდალური მწვანე შალი როგორღა დაინახე! ჰა, აგვიხსენი, რიგორღა დაინახე-მეთქი?

პოინსი. ჰო, აგვიხსენი, ჯეკ, აგვიხსენი.

ფოლსტაფი. ძალით გნებავთ მათქმევინოთ? ვერ მოგართვით! ჯვარზეც რომ მაცვათ და მაწამოთ, ძალათი მაინც ვერ მათქმევინებთ. ძალათი გნებავთ მათქმევინოთ! მაყვალვიით თავზე საყარი რომ მქონდეს სათქმელი, ძალათი მაინც ვერ მათქმევინებთ.

პრინცი ჰენრი. არც მიფიქრია ამისთანა ცოდვის ჩადენა; შე ღაჟღაჟა ლაჩარო, შე ნაცარქექია, ხორცის გორავ, ცხენის ზურგის ჩამტეხელო...

ფოლსტაფი. კარგი, გეყოფა, შე ჭნავო, თევზის ქეცედო, გამხმარო ძროხის ენავ, ხარის კუდო, გამომშრალი ვირთევზავ... სულმოუთქმელად რა კაცმა უნდა ჩამოთვალოს ყველა შენი

სახელი!.. შე თერძის არშინო, ცარიელა ქარქაშო, კაპარჭო, დაბლაგვებულო დაშნავ...

პრინცი ჰენრი. დაიცა, სული დაითქვი და ისევ განაგრძე; ხოლო როცა ამ ცარიელა ბრაზა-ბრუხით

დაიდალო, მე მომისმინე.

პოინსი. მოუსმინე, ჯეკ.

პრინცი ჰენრი. ჩვენ ორნი გითვალთვალეზბდით, როგორ დაესხით თქვენ ოთხნი იმ ოთხს, როგორ გაკოჭეთ და მერე მთელს იმათ ავლა-დიდებას დაეპატრონეთ. აბა ნახე, ჩემმა უბრალო ნაამბობმა როგორ ჩამოგხსნათ ნილაბი. მერე ჩვენ ორი თქვენ ოთხს დაგესხით, ციმციმ დაგაყრევინეთ ნადავლი და წამოვიღეთ. მაშა! თუ გნებავთ, ახლავე გაჩვენებთ; შენ კი, ფოლსტაფ, ისე მარდად გააქანე შენი ღიპი, ღრიალითა და შეწყალუბის მუდართით - ისე გარბოდი და ბლაოდი, რომ ღმერთმა შეარცხვინოს კუნტრუშა ხბო. ლაჩარი მონა ხომ არა ხარ, ხმლის პირი დაგიბლაგვებია და ახლა ჩვენ გვარწმუნებ ბრძოლაში გაცვდაო! ნეტა რა ფანდს მოიგონებ, რა ხრიკს, რა ოინს, რომ ამ აშკარა და ნამდვილ შერცხვენას თავი დააღწიო.

პოინსი. აბა, გისმენთ, ჯეკ. რა ოინი მოიგონე?

ფოლსტაფი. ღმერთმანი, მაშინვე გიცანით, საკუთარი მამა ვერ გიცნობდათ ისე უცებ! მაგრამ ერთი ესეც იფიქრეთ, ვაჟბატონებო, ტახტის მემკვიდრეს მოვკლავდი?! ნამდვილ უფლისწულს შევებრძოლებოდი?! ყველა-ყველა და შენ მაინც ხომ იცი, რომ სიმამაცეში ჰერკულესსაც არ დავუდებ ტოლს, მაგრამ ალღოს რა დაუდგება?! ლომი რომ ლომია, ისიც კი არ შეებრძოლება ნამდვილ უფლისწულს. ეხუმრები ალღოს! სწორედ ალღომ გამალაჩრა. მანამ პირში სული მიდგია, საამაყოდ მექნება რომ

უშიშარი ლომის ალლომ არ მიმტყუნა და ნამდვილი უფლისწული მაშინვე შემაცნობინა. ისე კი, ღმერთმანი, მიხარია, ბიჭებო, რომ ფული თქვენთან არის. დიასახლისო, კარი დაკეტილი იქონიე, - ღამით იფხიზლე, დღისით ილოცე! - გმირებო, ბიჭებო, ჯეელებო, ოქროს გულებო!. აღარ ვიცი, რა სახელებით შეგამკოთ! რაც არ უნდა კაი სახელი მოვიგონო, თქვენზე უპრიანი იქნება, ჩემო მეგობრებო. არ გავმხიარულდეთ? სახელდახელოდ რამე კომედია არ გავითამაშოთ?

პრინცი ჰენრი. ყაბულსა ვარ... შენი გაქცევის ამბავი გავითამაშოთ.

ფოლსტაფი. აჰ, მაგას ნუღარ მიხსენებ, თუ გიყვარდე, ჰალ!
(შემოდის დიასახლისი)

დიასახლისი. ოი, იესო მაცხოვარო! მილორდ პრინცი!..

პრინცი ჰენრი. რაო, მილედი დიასახლისო! ახალს რას გვეტყვი?
დიასახლისი. მილორდ, ვილაც კარისკაცს თქვენი ნახვა სურს, ასე იმახის მამამისმა გამომგზავნა, უნდა მოველაპარაკო.

პრინცი ჰენრი. მაშ დირსების კვალობაზე უთავაზე და უკანვე გააბრუნე, დედაჩემთან.

ფოლსტაფი. მაინც როგორი კაცია?

დიასახლისი. ბერიკაცია.

ფოლსტაფი. მერედა, დარბაისელი კაცი შუალამისას ლოგინიდან რამ წამოახტუნა? მე ხომ არ ვუპასუხო?

პრინცი ჰენრი. კარგს იზამ, ჯეე.

ფოლსტაფი. მაშ, მე ვიცი, საცა გავგზავნი.

(გადის)

პრინცი ჰენრი. ბატონებო, ღვთისმშობელს ვფიცავ. დიდებულად იბრძოლეთ, თქვენზე ვამბობ, პეტო და ბარდოლფ; თქვენც

ლომები ყოფილხართ: ალლომ არ გიმტყუნათ და მოჰკურცხლეთ, ნამდვილ პრინცს ხელი არ ახლეთ. ფუი, სირცხვილი!

ბარდოლფი. რა უნდა მექნა, სხვები გარბოდნენ, მეც ავდექი და გავიქეცი.

პრინცი ჰენრი. ეგ მაინც მითხარით, ფოლსტაფის ხმალი ასე რამ დააბლაგვა?

პეტო. თავისივე ხანჯალზე დააბლაგვა და დიდის ამბით განაცხადა - თუნდაც მთელი სიმართლის განდევნა მომიხდეს ინგლისიდან, არ მოვეშვები, სულ ვიფიცებ და ვიფიცებ, მანამ პრინცს არ დავარწმუნებ, რომ ბრძოლაში დამიჩლუნგდაო. თქვენც ასე მოიქეცითო, გვარიგებდა.

ბარდოლფი. მერე ისიც გვითხრა - ცხვირპირი ეკლით დაიჩხვლიტეთ და სისხლი დაიდინეთო, ტანსაცმელიც მოითხვარეთ და დაიფიცეთ, თითქოს დახოცილთა სისხლი იყოსო. ისეთი საქმე მომივიდა, რაც ამ შვიდ წელიწადში ერთხელაც არ მომსვლია - მაგის თაღლითურ სიტყვებს რომ ვისმენდი, გავწითლდი.

პრინცი ჰენრი. არამზადავ, რაც ამ თვრამეტი წლის წინათ ერთი ჭიქა ღვინო მოიპარე და ქურდობაზე წაგასწრეს, სულ ასე გადაჟღაჟებულ-გაწითლებული დადიხარ, სახეზე თითქოს ცეცხლი გიკიდიასო; ეს ცეცხლი და მახვილი თან გქონდა და მაინც გაიქეცი; ნეტა ვიცოდე, რა ალლოს დააბრალებ?

ბრდოლფი. (თავის ცხვირ-პირზე აჩვენებს) ამ მეტეორებსა და განთიადის სიკამუკაშეს ხომ არ გულისხმობთ?

პრინცი ჰენრი. მაშა.

ბარდოლფი. მერე როგორა გგონიათ, რისი ნიშანია?

პრინცი ჰენრი. ცხელი ღვიძლისა და ცივი ქისისა.

ბარდოლფი. მართალი თუ გნებავთ, ფიცხელი ხასიათის ნიშანია, მილორდ.

პრინცი ჰენრი. უფრო მართალი თუ გინდა, სახრჩობელას ნიშანია, - აგერ ჩამომხმარი ჯეკიც მოდის, ძვალ-ტყავა ჯეკი.

(შემოდის ფოლსტაფი)

რაო, ჩემო გაბერილო! რამდენი ხანი იქნება, ჯეკ, საკუთარი მუხლისთავეები არ გინახავს?

ფოლსტაფი. საკუთარი მუხლის თავეები? შენოდენა რომ ვიყავი, ჰალ, ჩემი წელი არწივის კლანჭის სიმსხოც კი არ ყოფილა. მამასახლისის ცერის ბეჭედში გავძვრებოდი; დარდი და ოხვრა დასწყევლოს ღმერთმა! ბუმტივით გაბერავს ხოლმე კაცს!... ცუდი მახარობელი ვარ: სერ ჯონ ბრესი გამოუგზავნია მამაშენს, სასახლეში უნდა მიხვიდე ხვალ დილით. ისევ ის დამთხვეული ჩრდილოელი პერსი და უელსელი... აი ამამონს რომ კეტი სთხლიშა თავში, ლიუციფერს რომ რქები დაადგა და ეშმაკს უელსური აფთის ჯვარზე ქვეშევრდომობის ფიცი დაადებინა... რა ჰქვია, ეშმაკმა დალახვროს.

პრინსი. გლენდაუერი!

ფოლსტაფი. ოუენი, ოუენი, მართალი ხარ, მისი სიძვე მორტიმერი; ბებერი ნორთამბერლანდიც. ის მარდი პირწავარდნილი შოტლანდიელი დუგლასიც. აი ციცაბო კლდეზე ცხენით რომ ადის...

პრინცი ჰენრი. გაქანებული ცხენიდან რომ გაფრენილ ბელურასა ჰკლავს.

ფოლსტაფი. სწორედ ნიშანში მოახვედრე.

პრინცი ჰენრი. უფრო მარჯვედ, ვიდრე იგი ბელურას ახვედრებს, არა?!

ფოლსტაფი. კაი გულადი ბიჭი კია ის არამზადა, ფეხს ვერ მოაცვლევიანებ ადგილიდან.

პრინცი ჰენრი. შენ თვითონ არამზადავ, ახლა სწორედ სიმარდესა და სირბილს უქებდი!

ფოლსტაფი. შენც კაი გუგული ბრძანდები! ცხენით დაჰქრის-მეთქი, ფეხით ერთ ნაბიჯსაც ვერ გადაადგმევინებ.

პრინცი ჰენრი. ესეც ალღოს კარნახით ალბათ.

ფოლსტაფი. თუნდაც ასე იყოს, ალღოს კარნახით. ერთი სიტყვით, ისიც მათთან არის, ერთი ვიდაც მორდეიკიც და კიდეც ათასი მაგათთანა ლურჯქუდა. ვუსტერი წუხელ გაპარულა. მამაშენს წვერი გაუთეთრა ამ ამბავმა; მიწები ახლა აყროლებული თევზის ფასად გაიყიდება.

პრინცი ჰენრი. მაშ, თუ ივნისში სიცხეები დაიჭირა და ეს ძმათა ცემა-ტყეპაც გაგრძელდა, ქალწულებს ნალის ლურსმნის ფასად ვიყიდით.

ფოლსტაფი. მართალს ამბობ, სახარების მადლმა, და კაი ვაჭრობაც გვექნება, მაგრამ ნუ დამიძალავ, ჰალ, ხომ მაგრად შეგეშინდა? მთელი ქვეყანა რომ გადააქოთოს, ტახტის მემკვიდრე სამ ამისთანა მეტოქეს მაინც ვერ გამოჩხრეკს! ეხუმრები - ეშმაკი დუგლასი, ქაჯი პერსი და ავი სული გლენდაუერი! ჰა, ხომ შეგეშინდა? ხომ გაგეყინა სისხლი?!

პრინცი ჰენრი. სულაც არა. ეტყობა, შენი ალღო მაკლია.

ფოლსტაფი. აგრე იყოს, მაგრამ კაი მაგარ-მაგარს კი მიიღებ ხვალ დილით, მამაშენს რომ გამოეცხადები. თუ გიყვარდე, პასუხი ახლავე მოამზადე.

პრინცი ჰენრი. მოდი, შენ მამა იყავი ჩემი, და გამომკითხე მთელი ასავალ-დასავალი.

ფოლსტაფი. კეთილი და პატიოსანი. ეს სკამი ჩემი ტახტი იყოს, ხანჯალი - სამეფო კვერთხი, ხოლო ეს ბალიში - გვირგვინი.

პრინცი ჰენრი. მამ ასე, დასაკეცი სკამი - შენი ტახტი იქნება, ტყვიის ხანჯალი - ოქროს კვერთხი, ხოლო შენი გამელოტებული თავის კოტორი - პატიოსანი თვლებით შემკული გვირგვინი.

ფოლსტაფი. თუ კიდევ შეგრჩენია კეთილშობილების ნაპერწკალი, იცოდე, რომ გუნებას აგიმღვრევ. ერთი ჭიქა ღვინო დამალევიწინეთ, რომ თვალები გამიწითლდეს და ნამტირალევი გამოვჩნდე, რადგან მგზნებარედ უნდა ვილაპარაკო, კამბიზ მეფესავით. (დალევს)

პრინცი ჰენრი. აჰა, ვიჩოქებ.

ფოლსტაფი. მე კიდევ ვიწყებ. დიდებულნო, გვერდზე მიდექით. დიასახლისი. მაცხოვრის მადლმა, დიდებული სანახავია.

ფოლსტაფი. „ამაოდ ნუ ღვრი, დედოფალო, მდულარე ცრემლებს“.

დიასახლისი. ზედგამოჭრილი მამაა! რა სახე ადევს!

ფოლსტაფი. „გაჰყევით, ლორდნო, თუ ღმერთი გწამთ, მწუხარ დედოფალს, რადგან ცრემლებით აღვსებია თვალის რაბები“.

დიასახლისი. იესო მაცხოვარო, რა კარგად გამოსდის, ასე მგონია მოხეტიალე მსახიობებს ვუყურებდე.

ფოლსტაფი. გაჩუმდი სალუდე ჯამო; გაჩუმდი, წინწანაქარო, ჰარი, მარტო ის როდი მიკვირს, თუ სად დადიხარ, მე ისიც მაწუხებს, ვისთან ატარებ დროს. მართალია, გვირილას რაც მეტს თელავენ, მით უფრო კარგად ხარობს, მაგრამ ახალგაზრდობა სულ სხვაა - რასაც მეტს ფლანგავ, მით უფრო მალე ცვდება. ჩემი შვილი რომ ხარ, ეს ნაწილობრივ დედაშენისგან გამიგონია და ნაწილობრივ ჩემი საკუთარი მოსაზრებებითაც ვიცი; მაგრამ

ყველაზე უფრო ამის საბუთად გამოდგება შენი ავაზაკური გამოხედვა და სულელურად ჩამოშვებული ლაში. ჰოდა, თუ ნამდვილად ჩემი შვილი ხარ, - და მთავარიც ეგ არის, - რაღა მაინცადამაინც ჩემი შვილი უნდა იყოს ჩავარდნილი ქვეყნის ყბაში?! განა შეიძლება კურთხეული მზე მთელი დღე დაყიალობდეს და მაყვალსა სჭამდეს?! ამისი კითხვაც კი უხერხულია; შეიძლება ინგლისის უფლისწული ქურდი იყოს და ქისებზე დაძვრებოდეს?! ამისი კითხვა კი მართლაც ღირს. არის ერთი რაღაც, რაც შენ ხშირად გაგიგონია, ჰარი, ჩვენში მას კუპრს ეძახიან; ძველი მწერლების გადმოცემით, კუპრი ყველაფერსა სვრის. ასეთივე თვისებისაა ის ხალხი, რომელთანაც შენ მეგობრობ. ამას რომ გეუბნები, კი არ მილხინს, ჰარი, მიმიძმს; ღვინით კი არა მაქვს პირი სავსე, ცრემლები მახრჩობს; მარტო სიტყვები კი არ ამოდის პირიდან, ოხვრაც თან მოჰყვება... თუმცა ერთი სათნო კაცი კი შემინიშნავს შენს მეგობრებში, მაგრამ სახელი როდი ვიცი.

პრინცი ჰენრი. როგორი კაცია, იქნებ გვიბრძანოთ, თქვენო უდიდებულესობავ.

ფოლსტაფი. წარმოსადეგი კაცია, ვერ დავფიცავ, ბრგე ვაჰკაცი; სახე უღიმის, თვალები უციმციმებს, მიხვრა-მოხვრა მეტისმეტად კეთილშობილური აქვს; ჩემის ვარაუდით, ორმოცდაათი წლისა იქნება, ან ასე სამოცამდე; ჰო, მომაგონდა, ფოლსტაფი ჰქვიან; თუ ეს კაციც გარყვნილებას მისდევს, ძალიან შევმცდარვარ, რადგან მის თვალებში მე სათნოებსა ვხედავ. თუკი ხე ნაყოფით იცნობა, ხოლო ნაყოფი ხით, მაშინ უყოყმანოდ შეიძლება ითქვას, რომ ფოლსტაფი მართლაც სათნო ადამიანია.

იმეგობრე მასთან, ხოლო სხვები - თავიდან მოიცილე. ახლა კი ეს მითხარი, უქნარავ, სად დაწანწალებ მთელი თვე?

პრინცი ჰენრი. ეს არის მეფური ლაპარაკი? აბა ჩემს ადგილზე დადექი და მამას მე თვითონვე წარმოვადგენ.

ფოლსტაფი. ტახტიდან გადმოგდებას მიპირებ? შენ თუ ამის ნახევარს მოახერხებ დარბაისლურ

ლაპარაკსა და მიხვრა-მოხვრას, ფეხებით დამკიდეთ გასაყიდი კურდღელივით.

პრინცი ჰენრი. აჰა, უკვე დავჯექი.

ფოლსტაფი. მე კი ვდგევარ. თქვენ განსაჯეთ, ბატონებო.

პრინცი ჰენრი. აბა, მოგვახსენე, ჰარი, საიდან მოდიხარ?

ფოლსტაფი. ისტჩიპიდან, ბატონო.

პრინცი ჰენრი. მეტად დამაღონებელი საჩივრები მომდის შენზე.

ფოლსტაფი. ღმერთს გეფიცებით, სულ ტყუილი მონაჩმახია, მილორდ. - დამაცადე რა პრინცი გაჩვენო!

პრინცი ჰენრი. იფიცავ კიდევ, სამაგელო ბიჭო? თვალთაგან დამეკარგე. შენ აგაცდინეს ჭეშმარიტების გზას, ეშმა აგდევნებია, რომელსაც გაბერილი ბერიკაცის სახე აქვს მიღებული. შენი მეგობარი ორფეხა კასრია და სხვა არაფერი. ნეტა ვიცოდე, სალაპარაკოს რას ნახულობ ამ ყოველგვარი ხარახურის სკივრთან, პირუტყვობის საკუჭნაოსთან, გაბერილ წყალმანკთან, უზარმაზარ ღვინის ტიკთან, შიგნეულით გამოტენილ ტომარასთან, გამოუშოგნავად შემწვარ მენინგტრულ ხართან, ამ ყოვლად საპატიო მანკიერებასთან, გათეთრებულ უღმერთობასთან, ბებერ არამზადასთან, დაჩაჩანაკებულ ამაოებასთან?! რის მაქნისია? ღვინის წრუპვის მეტი რა იცის? რა სიფაქიზე და სიწმინდე მოეკითხება? ყვერულების გახლეჩისა და

ჩახეთქვის მეტი არაფერი. რისი უნარი აქვს? მხოლოდ სიცრუისა. რაშია მარჯვე? თაღლითობაში. რითია საზიზღარი? ყველაფრით. რა ღირსება აქვს? არაფერი.

ფოლსტაფი. მეც გამაგებინეთ, ჩემო მოწყალებავ, ვისზედ ბრძანებთ, ხელმწიფევ?

პრინცი ჰენრი. ვისზე და ახალგაზრდობის გამრყენელსა და გამფუჭებელს მრუშ ფოლსტაფზე, იმ დაჩაჩანაკებულ თეთრწვერა სატანაზე.

ფოლსტაფი. მე ვიცნობ იმ კაცს, ხელმწიფეო.

პრინცი ჰენრი. ვიცი, რომ იცნობ.

ფოლსტაფი. რომ მოგახსენოთ ჩემზე უფრო ცოდვილია-მეთქი, ტყუილი მონაჩმახი იქნება. მისი ჭადარაც მოწმობს, რომ მოხუცია (ვაი, რომ ეს ასეა!) მაგრამ, უკაცრავად პასუხია, თითქოს მრუში იყოს, ამას თავგამოდებით უარვყოფ. შაქრიანი ღვინის წრუპვა თუ ცოდვად ითვლება - ღმერთმა შეუნდოს ცოდვილებს! ბერიკაცისათვის მხიარულება თუ ცოდვაა, მაშინ ბევრი ჩემი ნაცნობი მიკიტანი მოხვდება ჯოჯოხეთში; თუ სიმსუქნეა შესაზიზღებელი, გამოდის, რომ ფარაონის მჭლე ძროხები უნდა შევიყვაროთ. არა, ხელმწიფევ, გააძევე პეტო, გააძევე ბარდოლფი, გააძევე პოინსი, მაგრამ ჩემს ტკბილ ჯეკ ფოლსტაფს, კეთილ ჯეკ ფოლსტაფს, ალალ ჯეკ ფოლსტაფს, მამაც ჯეკ ფოლსტაფს და ათასჯერაც მამაცს, რადგან იგი უკვე მოხუცია, ნუ მოაშორებ შენს ჰარის; ნუ ჩამოაშორებ შენს ჰარის; თუნდა მსუქანი ჯეკი გაგიწირავს, და თუნდა მთელი ქვეყნიერება.

პრინცი ჰენრი. უნდა ჩამოვაშორო, ჩამოვაშორებ.

(ისმის კაკუნი; გადიან დიასახლისი, ფრენსისი და ბარდოლფი. ცოტა ხნის შემდეგ შემორბის ბარდოლფი)

ბარდოლფი. მილორდ, მილორდ! შერიფი მოვიდა. საშინელი დარაჯები ახლავს.

ფოლსტაფი. გაეთრიე, არამზადა! ბოლომდე გავითამაშოთ პიესა. კიდევ ბევრი რამა მაქვს სათქმელი ფოლსტაფის დასაცავად.

(ფაციფუციტ შემოდის დიასახლისი)

დიასახლისი. ღმერთო, გვიშველე! მილორდ, მილორდ!

პრინცი ჰენრი. ჰეი, ჰეი, ეშმაკი ქამანით მოთოხარიკდა!... რაო, რა ამბავია?

დიასახლისი. შერიფს მთელი რაზმი მოუყენებია კარებზე. სახლი უნდა გავჩხრიკოთო! შემოვუშვა?

ფოლსტაფი. გეყურება, ჰალ? ნამდვილი ოქროს ფული არასოდეს არ უნდა მიიჩნიო ყალბად. წმინდა წყლის გიჟი ხარ, ოღონდ ეგ არის, არ გეტყობა.

პრინცი ჰენრი. შენ კიდევ ლაჩრად დაბადებულხარ და ალღოც არ დაგყოლია.

ფოლსტაფი. მთავარ ბრალდებას უკანვე გიბრუნებ, ოღონდ შენც უკანვე უნდა გააბრუნო შერიფი. არა და, შემოუშვი; თუ სხვებზე ცუდად დავიჭირო თავი, როცა ფურგონით სახრჩობელასკენ წამაბრძანებენ, ღმერთმა დასწყევლოს ჩემი გაზრდილობა! იმედი მაქვს, მეც სხვებივით მალე წამახრჩობს ყულფი.

პრინცი ჰენრი. წადი და კედლის ხალიჩას ამოეფარე; დანარჩენები მალა აიკრიფონ. პატიოსანი კაცის სახე მიიღეთ, თითქოს სულაც არ გაწუხებდეთ სინდისი.

ფოლსტაფი. სინდისიც მქონდა და პატიოსნებაც, მაგრამ ყავლი გაუვიდა; ისევ ისა სჯობს, დავიმალო.

პრინცი ჰენრი. შერიფს დაუძახეთ.

(პრინცისა და პოინსის გარდა ყველანი გადიან. შემოდის შერიფი და მეეტლე)

აბა, შერიფო, მომახსენე, რა გნებავს ჩემგან.

შერიფი. ჩემო ბატონო, მომიტევეთ, მაგრამ ამ სახლში ვიღაცები შემოცვივდნენ აურზაურით.

პრინცი ჰენრი. მაინც ვინ?

შერიფი. ერთ იმ კაცთაგანს ყველა იცნობს - მსუქანს, ჩატიტკნილს.

მეეტლე. ქონის გუნდას ჰგავს.

პრინცი ჰენრი. ამ სახლში იმ კაცს ვერ იპოვნით, მე დამერწმუნეთ, სწორედ ახლახან გავაგზავნე რაღაც საქმეზე.

სახვალიოდ კი, სიტყვას გაძლევე, სადილობის ჟამს,

გამოვაგზავნი ანუ შენთან, ან ვისთანც გინდა,

და გაარკვიეთ, თუ რაიმე ბრალი მიუძღვის.

ასე რომ ახლა შეგიძლიათ უკან გაბრუნდეთ.

შერიფი. ახლავე, მილორდ, მაგრამ ორი ჯენტლმენი ჩივის:

თურმე წაგლიჯეს, თავდასხმის დროს, სამასი მარკა.

პრინცი ჰენრი. თუკი ეს ხალხი მართლაც იმან გაძარცვა გზაში,

პასუხი უნდა აგებინოთ. ახლა მშვიდობით.

შერიფი. ღამე მშვიდობის, ჩემო კეთილო მილორდ.

პრინცი ჰენრი. მშვიდობის დილა რომ მისურვო, მგონი აჯობებს.

შერიფი. მართალსა ბრძანებთ, ვგონებ ორი საათიც არის.

(გადიან შერიფი და მეეტლე)

პრინცი ჰენრი. პავლეს ტაძარი არ არის ისე ცნობილი, როგორც ეს ქონის გუნდა ავაზაკი. წადი, დაუძახე.

პოინსი. ფოლსტაფ! გემრიელად დაუძინია ხალიჩის უკან და ცხენივით ფშვინავს.

პრინცი ჰენრი. ხედავ, რა მძიმედ სუნთქავს? აბა ერთი ჯიბეები გაუსინჯე.

(პოინსი ჯიბეებს უჩხრეკს და რაღაც ქაღალდებს ამოაცლის) რა იპოვნე?

პოინსი. ქაღალდების მეტი არაფერი, მილორდ.

პრინცი ჰენრი. აბა, წაიკითხე, რა ქაღალდებია.

პოინსი. (კითხულობს) ერთი ც ყვერული - ორი შილინგი და ორი პენი, ერთი ც სოუსი - ოთხი პენი. ორი გალონი ღვინოც - ხუთი შილინგი და რვა პენი, ვახშმის უკან კიდე ღვინო და ანჩოუსი - ორი შილინგი და 6 პენი, პურიც - ნახევარი პენი.

პრინცი ჰენრი. ნამდვილი ურჩხული არ არის! ამდენ ღვინოზე ნახევარი პენის პური! დანარჩენი ქაღალდებიც კარგად შეინახე, როცა მოვიცლით, წავიკითხოთ. აქვე ეძინოს, მანამ გათენდებოდეს. დილით სასახლეში უნდა მივიდე. მალე ომში წასვლა მოგვიწევს და შენ საპატიო თანამდებობა გელის. ამ ქონის გუნდას ქვეით ჯარში მოვაწყობ. ვიცი, ორასი ნაბიჯის გადადგმა მაგისტვის სიკვდილია. ნაძარცვი ფული გადამეტებით უნდა დაეუბრუნოთ. ხვალ ადრინად მოდი, ახლა კი მშვიდობით, პოინს.

პოინსი. მშვიდობით, მილორდ.

(გადიან)

მოქმედება მესამე

სურათი I. ბანგორი. მთავარდიაკონის სახლი.

შემოდინან ჰოტსპერი, ვუსტერი, მორტიმერი და გლენდაუერი

მორტიმერი. ძმებო, ყველასგან უყოყმანო თანხმობა მოგვდის - და როგორც ვატყობ, კარგი პირი უჩანს ჩვენს საქმეს.

ჰოტსპერი. ლორდო მორტიმერ. ბიძაშვილო გლენდაუერო...

იქნებ დაბრძანდეთ!... თქვენც, მია ვუსტერ, თქვენც დაბრძანდით. ჰოი, დალაზვროს!

დამვიწყებია აკი რუკა!

გლენდაუერი. არა, აქა მაქვს.

დაჯექი, პერსი... ბიძაშვილო ჰოტსპერ... დაჯექი.

რამდენს ახსენებს ლანკასტერი შენს სახელს, ძმაო, იმდენს გადაჰკრავს ფერი მკვდრისა და ამოხვნივით

გისურვებს ხოლმე გამგზავრებას მალა ზეცაში.

ჰოტსპერი. ხოლო როდესაც გლენდაუერს ახსენებს ვინმე,

იგი მაშინვე ჯოჯოხეთის გზას დაგილოცავს.

გლენდაუერი. ვერც კი დავძრახავ: როდესაც მე ვიბადებოდი,

მწველი ცეცხლით და ჩირაღდნებით ცა დაიფარა,

და როცა გავჩნდი, საძირკველი დედამიწისა,

გულჯაბანივით აცახცახდა.

ჰოტსპერი. სულერთია, დედაშენის კატასაც რომ დაეყარა იმ დროს ცინდლები, ხოლო შენ სულაც არ დაბადებულყავი, მაინც ასე მოხდებოდა.

გლენდაუერი. მე გეუბნებით, როცა გავჩნდი, მიწა შეირყა!

ჰოტსპერი. მე კიდევ ვამბობ - მიწა სულაც არ მგვანებია, თუკი ნამდვილად შეაშინა შენმა გაჩენამ.
 გლენდაუერი. ცა ცეცხლის ალში გაეხვია, მიწა შეტოკდა.
 ჰოტსპერი. ცეცხლმოდებულმა ცამ დააფრთხო ალბათ ეს მიწა და არა შენმა დაბადებამ.
 სწეულ ბუნებას ხშირად მოსდის ასეთი რყევა, ორსულ მიწასაც კრუნჩხვა-გვრემა აწამებს ხოლმე, რადგან საშოში მომწყვდეული, თავაწყვეტილი ქარები გარეთ გამოხეთქვას ესწრაფებიან და მძლავრი რყევით ბებერ მიწას აზანზარებენ. მაშინ იმსხვრევა ცათაწვდილი სამრეკლოები, და ხავსმოდებულ ძველ კომპებსაც ეღებათ ბოლო. ალბათ მაშინაც, შენ რომ გაჩნდი, ბებია მიწას ეს კრუნჩხვა ჰქონდა და მიტომაც შეირყა ძლიერ.
 გლენდაუერი. ყველას არ ვუთმენ, ბიძაშვილო, კადნიერებას! ნება მიბოძე, ერთხელ კიდევ გაგიმეორო, რომ ზეცას ცეცხლი წაეკიდა, როცა მე გავჩნდი; თხები მთებიდან გამოქანდნენ; შიშით მოცული მინდორ-ველები გააყრუა ჯოგის ბლავილმა. ხედავთ, როგორი უცნაური ნიშნებით გავჩნდი, და მას შემდეგაც დაამტკიცა ჩემმა ცხოვრებამ, რომ არ ვშობილვარ ჩვეულებრივ ადამიანად. აბა შშფოთვარე ზღვით განბანილ რომელ ნაპირზე - გინდა ინგლისში, უელსში თუ შოტლანდიაში - სად ნახავთ-მეთქი მეხორციელს, რომელსაც ჩემთვის ესწავლებინოს, ანუ წიგნი გადაეფურცლოს?! მეცნიერების ხლართულ გზაზე ვინ გამომყვება?

ქალის ნაშობი, ვინ იქნება, გვერდში დამიდგეს და ჩემებრ ჩასწვდეს ხელოვნების იდუმალებას?!
 ჰოტსპერი. მეც არავინ მეგულება ისეთი, უელსურს რომ შენსავით უქცევდეს. ეჰ, წავიდე, ვისადილო.
 მორტიმერი. გეყოფა, პერსი; რატომ გინდა ჭკვიდან შეშალო!
 გლენდაუერი. მე ძალი შემწევს, ქვესკნელიდან მოვუხმო სულელებს.
 ჰოტსპერი. ნეტა ვიცოდე, ვის არ შესწევს მოხმობის ძალი! მაგრამ ისა სთქვი - მოვლენ კია შენს მოხმობაზე?!
 გლენდაუერი. გინდა, ეშმაკზე მბრძანებლობა გასწავლო, ძმაო?
 ჰოტსპერი. მე კი გასწავლი, სიმართლის თქმით ეშმას შერცხვენას;
 იტყვი სიმართლეს და ეშმაკიც შერცხვენილია!
 თუ მართლა ძაღვიძს ავი სულის გამოძახება, ვფიცავ, აქედან გაწბილებულს გავაძუნძულებ. მანამ ცოცხალ ხარ, ნუ იცრუებ, სიმართლით ვლიდე, და ავი სულიც შერცხვენილი იქნება მუდამ.
 მორტიმერი. კმარა, გეყოფათ! რით ვერ მორჩით უაზრო ლაქლაქს!
 გლენდაუერი. სამჯერ დაიძრა ბოლინგბროკი ჩემს დასალაშქრად, მაგრამ უაის და სევერნის ნაპირებიდან სამჯერვე უკან გავაბრუნე თავსხმა წვიმაში - მობუზული და პირში ჩალა გამოვლებული.
 ჰოტსპერი. და სველი ჩალის გამოვლებამ არც კი აწყინა? საოცარია, ძაღლის ბედი ჰქონია მართლაც!
 გლენდაუერი. კმარა, ავიღოთ ახლა რუკა და ეს ქვეყანა,

როგორც შევთანხმდით, სამ თანაბარ ნაწილად გავყოთ. მორტიმერი. ჩვენმა მთავარმა დიაკონმა ის უკვე გაჰყო და თანაბარი მიწა-წყალი გვარგუნა ყველას. მთელი ინგლისი - ტრენტისა და სევერნის აქეთ - აღმოსავლეთით და სამხრეთით - მე მერგო წილად; დასავლეთისკენ, სევერნ-გაღმა მთელი უელსი, ნაყოფიერი ნიადაგით განთქმული მხარე, გლენდაურს შეხვდა; შენ კი, ჰოტსპერ, ძვირფასო ძმაო, - რაც კი რამ დარჩა ტრენტ გადაღმა - სულ შენ გარგუნეს. სამ პირად არის დაწერილი ეს შეთანხმება, და ისღა დარჩა, რომ ბეჭდებით დავადასტუროთ, - მოვასწრებთ კიდეც ამაღამვე ბეჭდების დასმას, - ხვალ კი სამივე - ლორდ ვუსტერი, მე და შენ, პერსი, გავემგზავრებით შრუსბერიში, როგორც შევთანხმდით, და იქ შევხვდებით მამაშენს და შოტლანდიელებს; ჩემი სიმამრი გლენდაური ჯერ მზად არ არის, არც დაგვჭირდება მისი შველა ამ ორ კვირაში; (გლენდაურს) ამასობაში, თქვენც მოასწრებთ ქვეშევრდომების, მეგობრების და მეზობლების შეგროვებასა. გლენდაური. არა, ლორდებო, უფრო ადრეც მოგეშველებით და იქვე მოგვკრით მეუღლეებს; ახლა ის გიჯობთ, ცოლებს სახლიდან გაეპაროთ, თორემ მე ვიცი, განშორებისას ცრემლების ზღვას დააყენებენ. ჰოტსპერი. მე როგორც ვატყობ, ჩრდილო მხარე - ბერტონს გადაღმა, თქვენ რომ მარგუნეთ, არცერთის წილს არ შეედრება. შეხეთ, მდინარე ჩემკენ როგორ დაკლაკვნით უხვევს, -

თითქოს აკეთებს უშველებელ ნახევარ მთვარეს, საუკეთესო მამულებს კი მაჭრის და მტაცებს. მაგრამ მდინარეს ამ ადგილას მე ზღვარს დავუდებ და ანკარა ტრენტს - ვერცხლისფერად აქაფებულსა - ამიერიდან ლარივით სწორ არხში მივუშვებ, რომ კვლავაც აღარ დაიკლაკნოს და არ წამგლიჯოს ჩემი მდიდრულად გადაშლილი მინდორ-ველები. გლენდაური. არ დაიკლაკნოს? კვლავაც ასე დაკლაკვნით ივლის. მორტიმერი. ჰო, კარგი, მაგრამ აქაც შეხედე, როგორ უხვევს, როგორ გამირბის! გინაზღაურებს თითქო იმას, ზევით რომ გართმევს და იმდენსავე მიწებს მაჭრის ჩემი წილიდან. ვუსტერი. აქ კი ნამდვილად სულ პატარა ზღუდე ეყოფა და ჩრდილოეთით რომ კონცხი დევს, იმას მოვიგებთ, მერე სწორი გზით, სულ ვაკეზე, ივლის მდინარე. ჰოტსპერი. მეც ასე ვიზამ; ბევრი მაინც არ დამიჯდება. გლენდაური. წინააღმდეგი ვარ ამისი. ჰოტსპერი. აჰ, არ გასურს ასე? გლენდაური. არა. და ვერც შენ გააკეთებ! ჰოტსპერი. მე ვინ დამიშლის? გლენდაური. რაღა თქმა უნდა, მე დაგიშლი. ჰოტსპერი. მაშ გირჩევნია, უელსურად თქვა - ვერ გავიგებ მაშინ შენს ნათქვამს. გლენდაური. მე შენზე ცუდად ინგლისურსაც არ ვლაპარაკობ, რადგან აღზრდილი ვარ ინგლისის სამეფო კარზე, ჭაბუკობაში ინგლისური საგალობელიც

ბევრი შემითხზავს ქნარისათვის, რითაც თქვენს ენას
 შნო და ლაზათი კიდევ უფრო შემატებია...
 ამის ნიჭი კი შენთვის არვის შეუმჩნევია.
 ჰოტსპერი. მადლობა ღმერთს, რომ მართლაც არ მაქვს ამის
 უნარი!
 მე მირჩევნია ცინდლად ვიქცე, კნავილი მოვრთო,
 ოღონდ სიმღერის მთხველობისგან დამიხსნას ღმერთმა!
 მოშლილი შანდლის ღრჭიალს ვარჩევ; გაუსაპნავი
 ლილვის ჭრაჭუნნი მირჩევნია, და არაფერიც
 ისე არ მომკვეთს ხოლმე კბილებს, როგორც მოსმენა
 მანჭვით და გრეხით წარმოთქმული სიმღერებისა;
 ეს იგივეა, რომ ჯაგლაგი ოთხით ატარო.
 გლენდაუერი. კარგი, ყაბულს ვარ, შეუცვალე ტრენტს კალაპოტი.
 ჰოტსპერი. განა მშურს რამე, სამჯერაც მეტ მიწას დავეუთობ
 ერთეულ მეგობარს; მაგრამ თუკი გაყოფა ჰქვია,
 ეს იცოდეთ, რომ ბეწვის მეცხრედს არვის შევარჩენ.
 პირობის წიგნი დაამზადეთ? გვაქვს წასვლის ნება?
 გლენდაუერი. წასვლა ღამითაც შეიძლება, მთვარე ანათებს;
 სჯობს, რომ შევიდე, დავაჩქარო გადამწერელი
 და თქვენს ცოლებსაც თქვენი წასვლა მივუსამძიმრო.
 მე იმას ვშიშობ, ქალიშვილი არ გამიგიჟდეს -
 ერთი წუთითაც ვერ იშორებს თავის მორტიმერს.
 (გადის)
 მორტიმერი. არა გრცხვენია, რა კრიჭაში უდგებარ, კაცო!
 ჰოტსპერი. სხვაგვარად თუ არ შემიძლია! შენი სიმამრი...
 ხანდახან ისე გამომიყვანს მოთმინებიდან.
 მოჰყვება ხოლმე თხუნელის და ჭინჭველის არაკს,

გრძნეულ მერლინის წინაგრძნობებს ჩამომიყაჭავს,
 გააბამს ზღაპარს ურჩხულებზე, უფარფლო თევზზე,
 უფრთო ყორანზე, გრიფონებზე, მძინარე ლომზე,
 შეპარვით მავალ კატებსა და ათას რამეზე...
 ლამის თავისი აბდა-უბდით მომიდნოს კაცი.
 ეს არაფერი, წუხელ დამსვა და მთელს ცხრა საათს
 მიჩიჩინებდა იმ ეშმაკთა წყეულ სახელებს,
 რომლებიც თითქოს მორჩილებით მას მსახურებენ;
 მეც ვზივარ ჩემთვის და ხანდახან შეეძახებ ხოლმე:
 „ჰოი, რას ამბობ!“ „მერე, მერე, განაგრძე ბარემ!“
 მაგრამ ნამდვილად სიტყვაც კი არ მომისმენია.
 დაღლილი ცხენი, ანჩხლი ცოლი რა არის მასთან!
 და შევარცხვინე ქოხიც, კვამლით გამოვსებული!..
 მიჯობს, წისქვილში ყველს და ნიორს ვლოღნიდე საწყლად,
 ვიდრე ტკბილ ნამცხვრებს მივირთმევდე სრა-სასახლეში
 და თან მის გულისგამწყალებელ ბაასს ვისმენდე.
 მორტიმერი. უნდა გამოვტყდეთ, ღირსეული კაცია ფრიად,
 მეცნიერებას ღრმად ჩამწვდარი, დიდად ნაკითხი,
 თავაზიანი, სიმამაცით ლომის სადარი,
 ისევე უხვი, ვით წიადი ინდოეთისა.
 და გინდა გითხრა? შენი დიდი პატივისცემით
 ცდილობს მოთოკოს თავისივე ფიცხი ბუნება,
 როცა შენ ასე ედავები გამოჯობრებით;
 ასეა-მეთქი, პირჯვრის მადლმა და დამერწმუნე,
 ქვეყნად ვერ ნახავ ძეხორციელს, რომელსაც იგი
 ამდენ დაცინვას მოუთმენდა; ამიტომაც გთხოვ,
 ბოროტად ნუღარ ისარგებლებ მის მოთმინებით.

ვუსტერი. მართლაც ღირსი ხარ გაკიცხვისა, ბატონო ჩემო:
 რაც ჩამოხვედი, აღარ იქნა, არ მოასვენე,
 მანამდე კაცმა მოთმინება სულ არ დაკარგა.
 უნდა ეცადო და ეს ნაკლი გამოასწორო;
 ეს თვისებები შენს სიდიდეს, გამბედაობას
 და სისხლის კეთილშობილებას აჩვენებს ზოგჯერ, -
 ხოლო ამითი მართლაც ძვირფას სამსახურს გიწევს, -
 მაგრამ ხშირად კი ნიშანია იგი სიტლანქის,
 გაუთლელიობის, თავაწყვეტის, ამპარტავნობის,
 მოყვასთა ზიზღის, დიდგულობის, ყოყლოჩინობის.
 და წარჩინებულს თუ შენიშნეს ასეთი ნაკლი
 თუნდ ერთი ბეწოც, სულერთია ხალხი მაშინვე
 გულს აიცრუებს ამგვარ კაცზე და შეიძულეებს.
 ჰოტსპერი. კმარა, გავნათლდი! გაუმარჯოს ქვეყნად
 ზრდილობას!
 აჰა ცოლებიც! უკვე დროა, გამოვეთხოვოთ.
 (შემოდინან გლენდაუერი, ლედი მორტიმერი და ლედი პერსი)
 მორტიმერი. არ ვიცი, რა ვქნა, ლამის ბოლმამ დამახრჩოს კაცი; -
 ცოლი ინგლისურს ვერ ეწყობა, მე კი - უელსურს.
 გლენდაუერი. ჩემი ასული მწარედ სტირის, შენ ვერ ეთმობი:
 ასე იძახის, ჯარისკაცად წავალო ომში.
 მორტიმერი. უთხარით, მამა, რომ მაგას და ლედი პერსისაც
 თქვენ წამოიყვანთ სულ მალევე, ჩვენს წასვლის შემდეგ.
 (გლენდაუერი რაღაცას ეუბნება თავის ქალს უელსურად, ქალიც
 უელსურად უპასუხებს)

გლენდაუერი. ლამის თავ-გზა დაკარგოს ამ ჭირვეულმა და
 თავნება არამზადა გოგომ! რაც გინდა დაარიგო, სულერთია,
 მგლის თავზე სახარების კითხვასა ჰგავს.
 (ქალი უელსურად ამბობს რაღაცას)
 მორტიმერი. თვალეში გატყობ, რასაც ამბობ; მაგ კარგ
 უელსურს,
 ნაკადულივით რომ ჩამოდის დაბერილ ციდან,
 მე ჩინებულად ვხვდები უკვე, და არ მრცხვენოდეს,
 მაგ ენაზევე მოგიგებდი, ძვირფასო, პასუხს.
 (ლედი მორტიმერი გვლავ უელსურად იტყვის რაღაცას)
 ჩვენ კოცნით გვესმის ერთმანეთის და ამიტომაც
 მუდამ ასეთი მღელვარეა ჩვენი ბაასი.
 მაგრამ მე მაინც, ჩემო კარგო, ვერ მოვისვენებ,
 ვიდრე შენს ენას ჩინებულად არ შევისწავლი
 შენგან ნაუბნი უელსური ისე ტკბილია,
 როგორც სიმღერა, სატრფიალო, რომელსაც ტყეში
 ტურფა ფერია მღერის ჩანგთან ხმაშეწყობილად.
 გლენდაუერი. გამაგრდი, თორემ, თუ მოეშვი, მთლად
 გაგიჟდება.
 (ლედი მორტიმერი კვლავ უელსურად მიმართავს ქმარს)
 მორტიმერი. რა ვქნა, ამ ენის ინჩი-ბინჩი არ გამეგება.
 გლენდაუერი. ფაფუკ ლერწმებზე დაწეპიო, ასე მოგმართავს,
 და თავი ნაზად მოასვენე ჩემს კალთაზეო!.
 იგი გიმღერებს ისეთ ტკბილ და საამურ ჰანგებს,
 რომ ძილის ღმერთი დაგიხუჭავს მაგ ქუთუთოებს,
 და სისხლსაც თვლემა, საამური, მოგიჯადოებს;
 მაშინ სიფხიზლე ძილს ისევე დაემსგავსება,

როგორც დღე - დამეს განთიადის ფერმკრთალ ბინდ-ბუნდში.
ვიდრე ციური ოქროს ეტლი აღმოსავლეთით
დაიდროდეს და დაიწყებდეს დღიურ მგზავრობას.
მორტიმერი. სულით და გულით მე მოვისმენ იმის სიმღერას,
ამასობაში შეთანხმებაც დაიწერება.
გლენდაუერი. მამ ჩამოჯექი,
მუსიკოსები, რომელთაც თქვენ უნდა გიმღერონ.
ათასი მილის დაშორებით, ჰაერში ფრენენ.
მაგრამ ახლავე, დამერწმუნე, აქ გაჩნდებიან.
აბა, დაჯექ და მოემზადე ყურის საგდებად.
ჰოტსპერი. მოდი, კეიტ, დაწოლაში შენ ვინ შეგედრება: აბა, ჩქარა,
ჩქარა წამოწევი, რომ კალთაში თავი ჩაგიდო.
ლედი პერსი. მომეშვი, ერთი, ბატის ტვინავ!
(ისმის მუსიკა)
ჰოტსპერი. მე როგორც ვატყობ, უელსური ემმაკს სცოდნია:
სულაც არ მიკვირს, რომ ასეთი ჟინიანია;
ღვთიშობელს ვფიცავ, ჩინებული მომღერალია.
ლედი პერსი. თუ ასეა, შენზე მუსიკოსი ვინდა იქნება, ხუსტურში
ბადალი არა გყავს. წყნარად, ბაცაცო, უსმინე, როგორა მღერის ლედი
უელსურად.
ჰოტსპერი. მე მირჩევნია ჩემი ძუკნა ლედის ირლანდიური ყმუილი
მოვისმინო.
ლედი პერსი. თავის გატეხა ხომ არ მოგენატრა?
ჰოტსპერი. აჰ, არა.
ლედი პერსი. მამ ჩუმი იყავ!
ჰოტსპერი. არ გავჩუმდები.
ლედი პერსი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

ჰოტსპერი. უელსელი ქალის ლოგინში.
ლედი პერსი. რაო, რაო?
ჰოტსპერი. ჩუმი! მღერის!
(ლედი მორტიმერი უელსურად მღერის)
შენც მიმღერე, კეიტ.
ლედი პერსი. მაგას ვერ ეღირსები, შენ არ მომიკვდე.
ჰოტსპერი. „ვერ ეღირსები, შენ არ მომიკვდე.“ რა მეწვრილმანის
ცოლივით ჰფიცავ, ჩემო საყვარელო! ვერ ეღირსები, შენ არ მომიკვდე.
ბარემ ასე თქვი - „მართალს ვამბობ, მიწა არ გამისკდეს!“, „ღმერთი
გამიწყრეს“, „ჩემმა მზემ“ ...
აბრეშუმით იფიცები, ასე გგონია
შენს დღეში ფეხი ფინსბურიდან არ მოგეცვალოს,
გემრიელად და მადლიანად; „შენ არ მომიკვდე“
და მაგისთანა დაშაქრული ფიცი დაუთმე
კვირა დღეობით მოსეირნე პრანჭია ქალებს.
აბა, იმღერე.
ლედი პერსი. არ ვიმღერებ.
ჰოტსპერი. გემინია, თერძი ან გულწითელას გამწვრთნელი არ
შეგარქვან? პირობის წიგნს შეადგენენ და ორ საათში გავემგზავრები
კიდევ. თუ გინდა, მოდი ჩემთან.
(გადის)
გლენდაუერი. წამო წავიდეთ, ლორდ მორტიმერ; რამდენად პერსის
მოჰკიდებია ომის ცეცხლი, იმდენად, შვილო,
შენ აქ ზოზინებ. პირობის წიგნს უკვე დასწერდნენ,
დავბეჭდოთ ბარემ და მყისვე ცხენებს მოახტით.
მორტიმერი. სულით და გულით მიხარია.
(გადიან)

სურათი II. ლონდონი. სასახლე.

შემოდინან მეფე ჰენრი, პრინცი ჰენრი და ლორდები.

მეფე ჰენრი. მარტო დაგვტოვეთ, ბატონებო, მინდა, რომ ცალკე მოვესაუბრო უელსის პრინცს, შორს არ წახვიდეთ, აქვე იყავით ახლომახლო; მალე მოგიხმობთ.

(ლორდები გადიან)

არ ვიცი ღმერთმა რად დამსაჯა, რით განვარისხე, რომ იდუმალი ბედისწერით, ჩვენივე სისხლიდან მან მომივლინა ეს ჭირი და შურისძიება.

შენ მაიძულე მთელი შენი ქცევით, ცხოვრებით, დაგსახო მწარე შურისგებად, უბედურებად, რითაც ვისჯები ჩემი ძველი ცოდვებისათვის.

მაშ რაღას უნდა მივაწერო ეს თავაშვება,

ეს უწმინდური, უტიფარი და მდაბიური

მოქცევა შენი, დროსტარება თავაწყვეტილი,

ასეთი ტლანქი მეგობრები, რომელთაც, თითქოს,

თანშეზრდიხარო, ვერ შორდები ერთის წუთითაც!..

თუ ჩემს სასჯელად არ შობილხარ, ეს ყველაფერი შენს კეთილშობილ სისხლსა და სულს ვით უთავსდება?!

პრინცი ჰენრი. ნეტა შემემლოს ყველაფერში ვიმართლო თავი, წმიდა ვარ-მეთქი, ხელმწიფეო, სულით ხორცამდე!

მაგრამ ვერ რამეს, რასაც ახლა ჩირქადა მცხებენ,

ეჭვი არ არის, უსათუოდ ჩამოვირეცხდი...

და მაინც ვარჩევ პატიება გამოვითხოვო,

მიუხედავად ცოდვებისა, რომელსაც უხვად

თხზავენ ჭყანია მლიქვნელები და მეჭორენი,

რათა ხელმწიფე აიძულონ - ყური მიუპყრას;

ჩემი გულწრფელი მორჩილებით და სინანულით

შენდობასა გთხოვთ ყმაწვილური თავაშვებისთვის.

მეფე ჰენრი. ღმერთმა შეგინდოს!... მაგრამ, ჰარი, მე მაინც მიკვირს,

შენმა ხუსტურმა ამ უცხო გზით სად გაგაფრინა,

როცა წინაპრებს აღმაფრენა სხვაგვარი ჰქონდათ!

სამეფო ბჭობას არ ესწრები დაუდევრობით,

და იქ შენს ადგილს უმცროსი მძა დაეპატრონა;

მთელი სასახლის კარისათვის უცხო შეიქენ,

უცხო შექმნილხარ ყველა ჩვენი ახლობელისთვის,

იმედები და მოლოდინი სულ დაგვიმსხვრიე

და გულთმისნურად შენს დაცემას ჰკრეტენ ყველანი.

მეც ხალხში ასე გათქვეფილი რომ ვყოფილიყავ,

ასე ჰქონოდა შეჩვეული ბრბოს ჩემზე თვალი,

ასე იაფად გამეხადა თავი ყველასთვის,

მაშინ იცოდე, ქვეყნის აზრი, რამაც მიშველა

სამეფო ტახტის და გვირგვინის ხელში ჩაგდება,

ისევ და ისევ ძველს ხელმწიფეს უერთგულებდა;

მე კი ვით უღირსს, მეფობისთვის შეუფერებელს,

კვლავ მამყოფებდა განდევნილსა და დამცირებულს.

ხალხს დაუშვრიე ჩემი თავი და თუ მნახავდნენ,

თვალს მომაპყრობდნენ გამტერებით, როგორც კომეტას.

მორთავდნენ ჩურჩულს ერთმანეთში - „აბა სად არის?

რომელიაო ბოლინგბროკი, გვაჩვენეთ, ერთი!“

ბავშვებსაც ჩემზე უთითებდნენ - „აგერ, მოდისო“.

ცის ნიავევით შევიქენი ალერსიანი, -
 გარშევიმოსე თავმდაბლობის შესამოსელით...
 ასე მოვწყვიტე ერთგულება მე ხალხის გულეზს,
 ხოლო ბაგეებს - მისალმების შემახილები;
 და ეს ხდებოდა გვირგვინოსან ხელმწიფის თვალწინ.
 ამგვარად მივსწვდი ჩემს საწადელს - ქვეშევრდომთათვის
 ბოლომდე დავრჩი სასურველი და სანატრელი.
 ჩემს გამოჩენას, ისე როგორც პაპის სამოსელს,
 მთელი ქვეყანა აღტაცებით ეგებებოდა;
 მხედავდნენ მეტად იშვიათად, მაგრამ ყოველთვის
 ღირსეული და საზეიმო იერი მქონდა,
 მელოდნენ ისე, ვით იშვიათ ზეიმს ელიან.
 ცუნცრუკა მეფე აღმა-დაღმა დაკუნტრუშობდა
 და გათქვეფილი ქარაფშუტა მასხარა ხალხში,
 რომელთ ხუმრობა გამოფიტულს ფიჩხსა ჰგავს ხოლმე, -
 აბრიალდება და ერთბაშად ჩაიფშუტება, -
 იგი კარგავდა დღე-დღეობით მეფურს ღირსებას;
 ბრიყვთა ფერხულში ჩათრეული, იმავე ბრიყვებს
 აბილწვინებდა უმოწყალოდ თავის დიდ სახელს,
 მეფურ ღირსებას სამასხაროდ აგდებინებდა
 ცინგლიან ბიჭებს, და სამიზნეს წარმოადგენდა
 ყველა უსაქმურ, მოქილიკე ქოსებისათვის.
 ხალხის გულეზში დამკვიდრებას ლამობდა ხოლმე
 ის ქუჩა-ქუჩა მოყაყანე ბრბოში გარევით;
 ეჩხირებოდა ყველას თვალში და თაფლის მსგავსად,
 რაც გულს გვიყირჭებს, თუნდ ვიგემოთ ოდნავ ზედმეტი,
 მუდამდღე მზერით - მოცილილ ხალხსაც თავს აბეზრებდა.

მისი გამოსვლა გუგულს ჰგავდა ივნისის თვეში -
 ხმა გესმის, მაგრამ ვერა ხედავ. მას შეჰყურებდნენ
 არა ისეთის აღტაცებით, ვით მზის დარ მეფეს, -
 რომელიც ხალხში იშვიათად გამოამუქებს, -
 არამედ ზანტად, მოთენთილად, გულმოყირჭებით,
 წამწამდაშვებულთ თვალზე რული ეკიდებოდათ,
 ეძინათ თითქოს, და უზღვევდნენ ისე ამრეხით,
 ვით მტერს უზღვევრი, რომელთანაც ყოფნას ვერ იტან
 და გულს გიწვრილებს, ილაჯს გიწყვეტს მისი დანახვა.
 ახლა კი, ჰარი, შენც იმ მეფის გზას დასდგომიხარ,
 ამ სამარცხვინო მეგობრობით მთლად დაგიკარგავს
 შენი მეფური წარჩინება; ჩემს გარდა ყველას
 მოჰყირჭებია შენი ნახვა და მე ერთს მხოლოდ
 მომნატრებია, შვილო, შენთვის თვალის შეველება;
 თავს ვებრძვი, მაგრამ არ გამომდის, ველარ ვერევი;
 ამ სულელურმა გულჩვილობამ მთლად დამაბრმავა.
 პრინცი ჰენრი. სამგზის ნეტარო ხელმწიფეო, ამიერიდან
 დავემსგავსები უფრო მეტად საკუთარ თავსა.
 მეფე ჰენრი. რაც შენ ხარ ახლა, ქვეყნის თვალში ის იყო რიჩარდ,
 რევენსპერგში რომ გადმოვედი საფრანგეთიდან;
 ჩემს იმდროინდელს ჭაბუკობას პერსი მაგონებს,
 და ამ სამეფო კვერთხის მადლმა, ჩემმა სიცოცხლემ,
 სამეფო ტახტიც მისთვის უფრო უპრიანია,
 ვიდრემდე შენთვის - ჭემმარტი მემკვიდრის ჩრდილო;
 სულ უუფლებომ ველ-მინდვრები ჩვენი ქვეყნისა
 ლამის გაავსოს ძლეული მტრის აბჯარ-საჭურვლით,
 არ ეპუება, თვალს უსწორებს ლომს - პირდაპრინილს

და, შენი ტოლი, წინ მიუძღვის სისხლისმღვრელ ომში უძველეს ლორდებს და ღირსეულ ეპისკოპოსებს. მარტო ის რად ღირს, რომ სახელი, მარად უკვდავი, მან მოიხვეჭა დიდებასრულ დუგლასის ძლევიტ, რომელსაც ფიცხელ შეტევაში, შემართებაში, ჯარის მართვაში ქვეყანაზე ბადალი არ ჰყავს, და ჯარისკაცნიც უპირველეს მეომრად თვლიან! სამჯერ ამ ჩვრებში გახვეულმა მარსმა - ჰოტსპერმა, რძეშეუმშრალმა მეომარმა, ღირსეულ დუგლასს სულერთიანად აუწეწა ომის გეგმები; ჯერ ტყვედ შეიპყრო, მერე მისცა თავისუფლება და საბოლოოდ მეგობრადაც შეიკავშირა, რათა ძველ მტრობას საფუძველი მოშლოდა ამით და ჩვენი ტახტის სიმშვიდე კი შერყეულიყო. ნეტა ამაზე რაღას იტყვი? - პერსის, მორტიმერს, დუგლასს, იორკის ეპისკოპოსს და ნორთამბერლანდს პირი შეუკრავთ, აღჭურვილან ჩვენს წინააღმდეგ!.. მეც ავმდგარვარ და მტრების ამბავს შენ გიმხელ ახლა, შენ - ჩემს პირველ მტერს - უახლოესს და უძვირფასესს! შენგან ხომ კაცი სუყველაფერს უნდა ელოდეს - მონური შიშით ანდა ბილწი ზრახვით შეპყრობილს, ანუ შავ ნაღველ მოწოლილსა, შენ სულ ადვილად დაგიქირავენს ჩემი მტერი ჩემს წინააღმდეგ, პერსის წინაშე შენ დაიწყებ ძალივით ლაქუსს, განრისხებულის საამებლად ჰყანვას მოჰყვები, რომ დაამტკიცო შენი სრული გადაგვარება. პრინცი ჰენრი. ეს არ მოხდება, ნურც იფიქრებთ, ხელმწიფევ, ასე;

ღმერთმა შეუნდოს, ვისაც თქვენი გულმოწყალება ამა ზომამდე აღუზნია ჩემს წინააღმდეგ! მაგრამ ყველაფერს პერსის თავით გამოვისყიდი და ერთ ბრწყინვალე დღის დასასრულს გავბედავ გითხრა - რომ მე ვარ შენი ჭეშმარიტი ძე და მემკვიდრე; სისხლით მექნება შეღებილი აბჯარი მაშინ, სისხლი დაჰფარავს, რაც კი დღემდე მე შემიცოდავს, და სისხლთან ერთად ჩამოვირეცხ ჩემს შერცხვენასაც. ამ დღეს, - იცოდე, გათენდება ეს დღეც სულ მალე, - ქება-დიდების ნებიერი შვილი - ჰოტსპერი, ეს ყველასათვის საყვარელი მარჯვე რაინდი, თქვენს ყველასაგან დავიწყებულს ჰარის შეხვდება. დე, მის მუზარადს უფრო მეტი ქება ამკობდეს, მე კი შერცხვენა ორჯერ მეტად თავს მიმძიმებდეს! დადგება ჟამი, ვაიძულეზ ჩრდილოელ ჭაბუკს - თვისი პატივი შერცხვენაზე მე გამიცვალოს; პერსი, ხელმწიფევ, თითქოს იყოს მსახური ჩემი - ის ჩემთვის იხვეჭს სახელსა და ქება-დიდებას; და ანგარიშსაც ისე მკაცრად წარვუდგენ ბოლოს, რომ მთელს დიდებას სათითაოდ ჩამომიყაჭავს, დიახ, სულ მცირე პატივსაც კი, ახლა რომ იხვეჭს; ან თვითონ დათმობს, ან გულიდან ძალით ამოგვლეჯ, მითქვამს და კიდევ შევასრულეზ, ღმერთს გეფიცები. თუ ზეციერმა ინება და ეს გამიმართლდა, მაშინ შენს გულსაც, ღრმად დასერილს ჩემი წყალობით, ეს წარმატება, ხელმწიფეო, მალამოს მოსცხებს. თუ არ ინება - ფიცს დაარღვევს ჩემი სიკვდილი;

რადგან ის მიჯობს - ასი ათას სიკვდილით მოვკვდე,
ვიდრე ოდნავად დავარღვიო ეს ჩემი ალთქმა.
მეფე ჰენრი. ასი ათასჯერ მოკვდებიან აჯანყებულნი!
დღეს შენ უმაღლეს უფლებას და ნდობას განიჭებ.
(შემოდის სერ უოლტერ ბლენტი)
აბა რას გვეტყვი, ძვირფასო ბლენტ? თვალებში გატყობ,
სასწრაფო საქმე უნდა გქონდეს!
ბლენტი. დიახ, ხელმწიფევე.
შოტლანდიელმა მორტიმერმა შემოგიტვალათ,
რომ დუგლასი და ინგლისელი აჯანყებულნი
თერთმეტს ამა თვეს შრუსბერიში შეხვდნენ ერთმანეთს:
მეტად მძლავრი და საშიშია მხედრობა მტრისა
და თუ ამგვარი ურღვევი აქვთ მათ შეთანხმებაც,
ასე მრისხანე მტერი მაშინ ჯერ არც გვყოლია.
მეფე ჰენრი. ჩვენ ეს ამბავი ხუთი დღის წინ შეგვატყობინეს;
დღეს გაემგზავრა ბრძოლის ველზე უესტმორლენდი
და მასთან ერთად ჩემი შვილი ლორდ ლანკასტერიც.
იმ ოთხშაბათს კი შენი ჯერიც დადგება, ჰარი,
ხოლო ხუთშაბათს ჩვენ თვითონვე გამოვსწევთ თქვენკენ.
ერთურთს ბრიჯნორთში უნდა შევხვდეთ; შენ, შვილო ჰარი,
გაემართები შენის ლაშქრით გლოსტერშირისკენ...
ვფიქრობ, მოვასწრებთ თორმეტ დღეში ბრიჯნორთში შეყრას;
ქვეყნის საქმე გვაქვს დაგროვილი, გავსწიოთ ბარემ,
რადგან ზედმეტი დაყოვნებით მტერს გავახარებთ.
(გადიან)

სურათი III. ისტჩიპი. „ტახის თავის“ ფუნდუკი

შემოდინ ფოლსტაფი და ბარდოლფი.

ფოლსტაფი. ბარდოლფ, ერთი მითხარი, იმ ბოლო ამბების
შემდეგ ძალიან არ შევიფერთხე? ვერა ხედავ, როგორ ჩამოვხმნი?!
როგორ დავილიე! ლამის დედაბრის ფარფაშა კაბასავით
ჩამომეკიდოს კანი. შემწვარი ვაშლივით ჩამოვჭკნი. არა,
უსათუოდ უნდა მოვიწინაო, ახლავე, მანამ სულ არ დამიკარგავს
კაცის იერი, თორემ სულით რომ დავეცემი, გვიანდა იქნება,
მონანიების ღონეც აღარ შემრჩება. წიწაკის გული ვიყო,
ლუდსახდელის ჯაგლაგი ვიყო, ის თუ მახსოვდეს, ეკლესია
შიგნით როგორ არის მოხატული! ეჰ, სულ ჩემი ამფსონების
საქმეა, ცუდ ხალხში ვტრიალებ და იმან მომიღო ბოლო.
ბარდოლფი. სერ ჯონ, ისე გაგტეხია გული, რომ დიდხანს ვეღარ
იცოცხლებ.

ფოლსტაფი. მეც ეგ არა მკლავს?! მოდი, უწმაწური რამე მაინც
მიმღერე, გული გამიმხიარულე. იყო დრო, სათნოებაში არც ერთ
აზნაურიშვილს ტოლს არ დავუდებდი. თავზე გადამდიოდა
პატიოსნება: ათასში ერთხელ თუ ვილოცებდი, კვირაში
შვიდჯერ მეტად კამათელს არ გავაგორებდი; საროსკიპოში
შევირბენდი ხოლმე ყოველ თხუთმეტ წუთში, მეტად არა;
ნასესხები ფული სულ სამჯერ-ოთხჯერ თუ ჩამისესხებია;
კარგად ვცხოვრობდი, წრეს არ გადავდიოდი. ახლა კი
ყოველგვარ წრესა და საზღვარს გადავედი.

ბარდოლფი. ნურც გიკვირს, სერ ჯონ, ამოდენა ღიპი რა წრეში
უნდა ჩასტიო?! ვინ შემოხაზავს მაგოდენა წრეს?!

ფოლსტაფი. ჯერ შენს სიფათს შეხედე და მერე მელაპარაკე; შენ ხომ საადმირალო ხომალდი ხარ: ფანარი ზედ ხომალდის ჭვინტზე გაქვს გამოკიდებული და ეს ფანარი შენი საკუთარი ცხვირი გახლავს. ანთებული ლამპრის რაინდი ბრძანდები.

ბარდოლფი. ნეტა ვიცოდე, სერ ჯონ, ჩემი სახე რას გიშავებს!

ფოლსტაფი. რას ამბობ, პირიქით! მართალი თუ გინდა, ისეთივე სარგებლობა მოაქვს ჩემთვის, როგორც სხვებისთვის თავის ქალის ან „memento mori“-ის დანახვას: რამდენს შემოგხედავ, იმდენი ჯოჯოხეთის გენია გამახსენდება, ანდა ის მდიდარი, რომელიც მუდამ წითლად ირთვებოდა ხოლმე. აგერ, მოუსხამს თავისი მოსასხამი და იწვის, იწვის!.. ერთი ბეწო სათნოება მაინც რომ გქონდეს, მუდამ შენს სახელს დავიფიცავდი; ასე ვიტყვოდი: ამ აღმოდებულ ანგელოზს ვფიცავ-მეთქი. მაგრამ შენ ხომ ხელიდან წასული ხარ! კიდევ ეს ანთებული ცხვირი გშველის, თორემ წყვდიადის ნაშიერი იქნებოდი. ჩემს დღეში სულ ქისაგახვრეტილი ვიარო, თუ ignis fatuus-ი, ანდა ცეცხლის ბურთი არ მგონებოდი, როცა ჩემს ცხენს დასდევდი იმ ღამეს გედსჰილზე. რას ამბობ, შენ ხომ ჩაუქრობელი კოცონი ხარ, ჩვენი მუდმივი ზეიმ-ზარი! ვინ იცის, რამდენი მარკის ჩირაღდანი და ფანარი დამიზოგავს, როცა შენთან ერთად ფუნდუკ-ფუნდუკ დაყვიალობდი ხოლმე ღამით. მაგრამ რა გამოვიდა, სამაგიეროდ იმდენი ღვინო ჩაგიხეთქავს ჩემს ხარჯზე, რომ იმ ფულით, რაც ყველაზე ძვირი სანთლებია ევროპაში, ერთბაშად შევიძენდი. აგერ ოცდათორმეტი წელი გადის, ამ სალამანდრაში ცეცხლს ვინახავ. ღმერთმა წყალობა ნუ მომაკლოს სამაგიეროდ.

ბარდოლფი. ეშმაკმა დალაზვროს, ნეტა ჩემი სახე შენს მუცელში ჩამადებინა.

ფოლსტაფი. ღმერთმა დაიფაროს! ხომ მომკლა გულის წვამ! (შემოდის დიასახლისი)

ახალს რას იტყვი, ჩემო დედალო! ვერ გამიგე, ვინ გამისუფთავა ჯიბე?

დიასახლისი. როგორ გეკადრებათ, სერ ჯონ, ნეტა რას ამბობთ! სახლში ქურდებს გავაჩერებ?! მეცა და ჩემმა ქმარმაც იმდენი ვემიეთ, გამოვიკითხეთ, სათითაოდ ყველა გავსინჯეთ - კაცი არ დაგვიტოვებია, ბიჭი არ დაგვიტოვებია, მსახური არ დაგვიტოვებია... ბეწვი რა არი, ბეწვი არ დაკარგულა ჩემს სახლში.

ფოლსტაფი. სტყუი, დიასახლისო! ბარდოლფი იპარსებოდა აქა და კარგა ბლომად ბეწვი დაჰკარგა; თუ გინდა, დავიფიცებ, რომ პირწმინდად გაწმინდეთ ჩემი ჯიბე. წადი ერთი, რა უნდა გელაპარაკო, დედაკაცი ხარ!

დიასახლისი. ვინა, მე? არაფერიც. ვერ მოგართვეს. ღვთის მადლმა, ჯერ არავის უკადრებია ამისთანა სიტყვები ჩემს საკუთარ სახლში.

ფოლსტაფი. წადი, წადი, გიცნობ, რა შვილიცა ბრძანდები!

დიასახლისი. ტყუილია, სერ ჯონ, ვერა მცნობ, კარგად ვერ გიცნვიარ, სერ ჯონ, მე კი ძალიან კარგად გიცნობ, შენ ჩემი ფული გმართებს, სერ ჯონ, და ახლა გამოღმა მედავები, რომ ვალი შეგრჩეს. ერთი დუჟინი პერანგი მიყიდნია შენთვის.

ფოლსტაფი. პერანგი კი არა და, ჯვალოს ტომარა იყო, ჯვალოს ტომარა; განა ჩამიცვამს! ხაბაზების ცოლებს ვაჩუქე და მშვენიერი საცრები გააკეთეს.

დიასახლისი. რას ამბობ! პატიოსნებას გეფიცები, ნამდვილი ჰოლანდური ტილოსი იყო, თითო წყრთაში რვა შილინგი

მიმიცია. ახლა ჭამა-სმისა რომ გმართებს, სერ ჯონ! ოცდაოთხი გირვანქაც ფულად!

ფოლსტაფი. (ბარდოლფზე მიუთითებს) ამასაც წილი უდევს, ამან გადაიხადოს.

დიასახლისი. ეგ რის გადამხდელია - ლატაკია, არაფერი ახადია.

ფოლსტაფი. ლატაკიო? ერთი სახეზე შეხედე! ეგ თუ ღარიბია, მამ მდიდარი ვინღაა? მაგის ღაჟღაჟა ცხვირიდან და ლოყებიდან სულ ოქრო-ვერცხლი გამოიჭრება. გროშსაც არ გადავიხდი. არიფი მნახე? კაცს რიგიან-პირიანად ვერ გამოგიძინია ამ ფუნდუკში, მაშინვე ჯიბეებს გაგისუფთავებენ! პაპის სახსოვარი ბეჭედი ამწაპნეს, ორმოცი მარკა მაინც ღირდა.

დიასახლისი. იესო მაცხოვარო! პრინცისგან რამდენჯერ გამიგონია, სპილენძის ბეჭედიყო.

ფოლსტაფი. ის თქვენი პრინცი კაი ჩერჩეტი და გაიძვერა ყოფილა! ერთი ჩემთვის ეთქვა, ძაღლივით მივბეგვავდი!

(შემოდინ პრინცი და პოინსი, ჯარისკაცებივით გამოჭიმულნი; ფოლსტაფი შესაგებებლად გაემართება, თან ჯოხს მიიღებს პირზე სალამურივით)

რაო, ბიჭუნი, ჩვენსკენაც დაჰქროლა ქარმა? უნდა წამოვიდეთ?

ბარდოლფი. მამა, წყვილ-წყვილად, თითქოს ნიუგეიტის ციხისკენ მიდიოდეთ.

დიასახლისი. მომისმინეთ, მილორდ, გემუდარებით.

პრინცი ჰენრი. აბა რას გვეტყვი, მისის კუიკლი! ქმარი როგორა გყავს? ძალიან მიყვარს, პატიოსანი კაცია.

დიასახლისი. მომისმინეთ, კეთილო პრინცო.

ფოლსტაფი. მაგას თავი დაანებე, თუ ღმერთი გწამს, და მე მომისმინე.

პრინცი ჰენრი. რას გვიბრძანებ, ჯეკ?

ფოლსტაფი. წუხელ აქ ჩამემინა, ხალიჩის უკან, და ჯიბეები სულ გამომისუფთავეს. საროსკიპოდ იქცა ეს ფუნდუკი, კაცს ჯიბიდან ფულს გაცლიან.

პრინცი ჰენრი. მაინც რა დაკარგე, ჯეკ?

ფოლსტაფი. არც კი დაიჯერებ, ჰალ; სამი თუ ოთხი ორმოც გირვანქიანი ბილეთი და პაპის სახსოვარი ბეჭედი.

პრინცი ჰენრი. სათქმელადაც არა ღირს, რვა პენსიც არ ეღირებოდა.

დიასახლისი. მეც ეგ ვუთხარი, მილორდ! თქვენი მოწყალების ნათქვამიც მოვაგონე. ეგ ყიამყრალი კი თქვენს გინებას მოჰყვა. ერთს მაგრად მივბეგვავო, ესეცა თქვა.

პრინცი ჰენრი. რას ამბობ? მაგას როგორ იტყოდა!

დიასახლისი. თუ ვტყუოდე, პატიოსნებაც შემირცხვეს, ნამუსიც და ქალობაც.

ფოლსტაფი. რაღა შენი პატიოსნება და რაღა მოხარშული ქლიავისა; რაღა შენი ნამუსი და რაღა სოროდან გამოთრეული მელასი; ხოლო ქალობაზე თუ მიდგა საქმე, ქალწული მარიანა შენთან შედარებით ბოქაულის ცოლია. წადი, წადი, ვიცი, რა საქონელიცა ხარ!

დიასახლისი. რა საქონელი ვარ? არა, სთქვი, რა საქონელი ვარ?

ფოლსტაფი. რა საქონელი? ღმერთმა დაგვიფაროს შენისთანა საქონლისაგან.

დიასახლისი. არაფერიც, მე პატიოსანი კაცის ცოლი ვარ. შენი რაინდობისთვის კი მიმიფურთხებია, არამზადა ყოფილხარ და მეტი არაფერი!

ფოლსტაფი. მე კიდევ შენი ქალობისთვის მიმიფურთხებია, პირუტყვი ხარ და მეტი არაფერი! დიასახლისი. მაინც რა პირუტყვი ვარ, არამზადავ?

ფოლსტაფი. რა პირუტყვი ხარ? რა და წავი.

პრინცი ჰენრი. წავიო, სერ ჯონ! რატომ მაინცადამაინც წავი?

ფოლსტაფი. მა რა იქნება, არც თევზია და არც ხორცი; აღარც კი იცი კაცმა, საიდან უნდა მიუდგე.

დიასახლისი. მიჰქარავ არამზადავ, ყველამ კარგად იცით, საიდან უნდა მომიდგეთ!

პრინცი ჰენრი. შენ მართალი ხარ, დიასახლისო; ესა სტყუის, უღმერთოდ გწამებს ცილს.

დიასახლისი. შენცა გწამებს ცილს, მილორდ. ამას წინათ იძახდა, ათასი გირვანქა მართებსო.

პრინცი ჰენრი. ბრიყვო, როდის მმართვეს შენი ათასი გირვანქა?!

ფოლსტაფი. ათასი გირვანქაო! მილიონი გმართვეს, ჰალ. შენი სიყვარული ხომ მილიონი ეღირება, შენ კიდევ ჩემი სიყვარული გმართვეს.

დიასახლისი. არ დაუჯეროთ, მილორდ! ჩერჩეტს გეძახით, ერთს მაგრად მივბეგვავო.

ფოლსტაფი. აბა როდისა ვთქვი, ბარდოლფ?

ბარდოლფი. როგორ არა, სერ ჯონ, ნამდვილად ასე ბრძანე.

ფოლსტაფი. მა რა უნდა მექნა: სპილენძის ბეჭედიო, უთქვამს.

პრინცი ჰენრი. მითქვამს და ვამზობ კიდევ - ნამდვილად სპილენძისაა. აბა ერთი სცადე შენი მუქარის შესრულება!

ფოლსტაფი. იცი რა გითხრა, ჰალ, უბრალო ადამიანი რომ იყო, იცოცხლე, ვცდიდი; მაგრამ პრინცი ხარ და რა ვქნა, მეშინია, როგორც ლომის ბოკვერისა.

პრინცი ჰენრი. რალა ბოკვერი? რატომ ლომი არა?

ფოლსტაფი. ლომივით - მეფე გვაშინებს ხოლმე. როგორ გგონია, მამაშენისა და შენი ერთნაირად მეშინია?! ქამარი გამიწყდეს, ერთნაირად თუ მეშინოდეს!

პრინცი ჰენრი. კარგი სანახავი კი იქნები, მართლა რომ გაგიწყდეს ქამარი - ღიპი მუხლებამდე დაგეშვება. მაინც რა კაცი ხარ, შე არამზადავ, რომ სხეულში ადგილი არ დაგრჩენია არც პატიოსნებისათვის, არც სიმართლისა და ნამუსისათვის - სულ ფაშვითა და ნაწლავებითა ხარ გამოტენილი. პატიოსან ქალს ქურდობას სწამებ! შე ნაბუშარო, ბრიყვო, გაბერილო არამზადავ, ნეტა რა გქონდა იმ ჯიბეში, ფუნდუკის ანგარიშების, საროსკიპოს მისამართებისა და უბადრუკ გრომად ღირებულ შაქარ-ყინულს გარდა, აი სულის შეხუთვის დროს რომ ხმარობ ხოლმე; მართლა არამზადა ვიყო, ამ სიბინძურის გარდა თუ რამე გქონოდეს ჯიბეში. მაგრამ მაინც არ იტეხ იხტიბარს, მაინც შენს სიტყვაზე დგებარ. როგორ არა გრცხვენია?!

ფოლსტაფი. მე აღარ მომისმენ, ჰალ?! შე კაი კაცო, თუკი ადამი იმ უბიწო დროში დაეცა, საწყალმა ჯეკ ფოლსტაფმა რალა ქნას ამ გაფუჭებულ დროში?! ვერა ხედავ, სხვებზე მეტი ფერხორციანი ვარ! ამიტომ სისუსტეც მეტი მაქვს. გამოდის, რომ შენ გამოგიფხეკია ჩემი ჯიბე.

პრინცი ჰენრი. ასე გამოდის.

ფოლსტაფი. მამ შენთვის მიპატიებია, დიასახლისო. წადი, საუზმე მოამზადე. ქმარი გიყვარდეს, მსახურებს მიხედე,

სტუმრებს პატივი ეცი. ხომ ხედავ, სიმართლე თუ შეგატყე, ხელად დავმშვიდდები. აჰ, არა, წადი, გეთაყვა.

(დიასახლისი გადის)

აბა, ჰალ, სასახლეში ახალი რა ისმის? იმ გამარცვაზე... ხომ არ მოგვხვდება?

პრინცი ჰენრი. ო, ჩემო გემრიელო მწვადო, მე კვლავაც შენი მცველ-ანგელოზი ვარ. ფული პატრონებს დაუბრუნდა.

ფოლსტაფი. ნეტა იცოდე, როგორ მეჯავრება ფულის დაბრუნება! ორმაგი შრომა გამოდის.

პრინცი ჰენრი. მამას შევურიგდი და რასაც მინდა, გავაკეთებ.

ფოლსტაფი. თუ ასეა, რაღას უდგეხარ, ხაზინა გაქურდე.

ბარდოლფი. მართლაც კარგს იზამთ, მილორდ!

პრინცი ჰენრი. შენთვის ადგილი გამოვნახე, ჯეკ, ქვეით ჯარში.

ფოლსტაფი. ცხენოსანში მერჩივნა. ნეტა ერთი მარჯვე ქურდი მაშოვნინა; ასე ოცდაორი წლის ჭაბუკი. სულ გამოვიფხიკე. ღმერთმა აცოცხლოს ეს აჯანყებულები - პატიოსან ხალხს გარდა, არავის ახლებენ ხელს. ბარაქალა მაგათ კაცობას!

პრინცი ჰენრი. ბარდოლფ!

ბარდოლფი. რას მიბრძანებთ, მილორდ?

პრინცი ჰენრი. ეს წერილი ლორდ ჯონ ლანკასტერს გადაეცი, ჩემს ძმა ჯონს. ეს კიდევ - ლორდ

უესტმორლენდს.

(ბარდოლფი გადის)

პოინს, ცხენები, ცხენები ჩქარა. სამხრობამდე ოცდაათი მილი გვაქვს გასავლელი მე და შენ.

(პოინსი გადის)

ჯეკ, ხვალ ნაშუადღევს, ორი საათი რომ გახდება, ტემპლ-ჰოლში დამელოდე და იქ გაიგებ, მომავალში რა გევალება. ფულსაც მიიღებ ჯარისკაცების დასაბეველად.

წაჰკიდებია მიწას ცეცხლი. ქედმაღლობს პერსი.

ან მე მოვკვდები, ან მას უნდა ავუგო წესი!

(გადის)

ფოლსტაფი. მშვენივრად უბნობს! ჰე, საუზმე, დიასახლისო!

ნეტავი დოლად გადაიქცეს შენი ფუნდუკი!

(გადის)

მოქმედება მეოთხე

სურათი I. აჯანყებულთა ბანაკი შრუსბერიში.

შემოდინან ჰოტსპერი, ვუსტერი და დუგლასი.

ჰოტსპერი. კარგადა ბრძანებთ, ბარაქალა, შოტლანდიელო!
 ჭეშმარიტებას ჩვენს მშვენიერ საუკუნეში
 პირმოთნეობად არა სთვლიდნენ, მაშინ ვიტყოდი,
 რომ ისეთ ქებას იმსახურებს გმირი დუგლასი,
 როგორც არც ერთი ჯარისკაცი მთელს ქვეყანაზე.
 ღმერთს გეფიცები, პირფერობას ვერ ვეგუები,
 მძულს ლაქუცი და მოფერება, მაგრამ ჩემს გულში
 თქვენებრ პატივით ჯერ არავინ არ შემოჭრილა.
 ამას საქმითაც დაგიმტკიცებთ და თქვენვე ნახავთ.
 დუგლასი. პატიოსნების მეფე ხარ შენ!
 არ მეგულება კაცი ისე ძალგულოვანი,
 რომ მასთან შებმა ვერ გავბედო!
 ჰოტსპერი. ასედაც უნდა!
 (შიკრიკს წერილი შემოაქვს)
 რა წერილია? (დუგლასს) რაღა მეთქმის, მადლობის მეტი.
 შიკრიკი. ეს წერილები მამათქვენმა გამოგიგზავნათ.
 ჰოტსპერი. მამაჩემო! მერე თვითონ რატომ არ მოდის?
 შიკრიკი. ვერ გეახლებათ მამათქვენი, ავად შეიქნა.
 ჰოტსპერი. მაგისტვის როგორ მოიცალა? მერე ასეთ დროს!
 ღმერთმა დალაზროს! იმის ლაშქარს ვინ სარდლობს, ნეტა?
 შიკრიკი. ჩემთვის არ უთქვამს. ამას ალბათ წერილით გამცნობთ.

ვუსტერი. ერთი მითხარი, თუ ღმერთი გწამს, ლოგინად ჩაწვა?
 შიკრიკი. ჩემს წამოსვლამდე ოთხი დღის წინ ჩაწვა ლოგინად,
 ხოლო როდესაც მოვდიოდი აქეთკენ, მილორდ,
 მისი მკურნალი მე დავტოვე შემფოთებული.
 ვუსტერი. ნეტა ეცლია დროისათვის გამომრთელება
 და ავად მერე გამხდარიყო. როგორც არასდროს,
 ისე გვჭირდება ახლა მისი ჯანის სიმრთელი.
 ჰოტსპერი. ავადმყოფობა! ამ მძიმე დროს ლოგინში წოლა!
 ამ სენმა ლამის ჩვენი საქმის სისხლიც მოწამლოს
 და ავადობამ ჩვენს ბანაკშიც შემოაღწიოს.
 ასე მწერს - რაღაც შინაგანმა სნეულეზამო...
 ლაშქრის დროულად შეგროვებაც ვერ მოუხწრია,
 რადგან ვერ შესძლო გაფრთხილება მეგობრებისა,
 ხოლო ასეთი მძიმე საქმე სხვას ვერ მიანდო.
 მაგრამ გვამხნევენ და ამ ჩვენი მცირე მხედრობით
 შეტევას გვირჩევს მამაცურად, რადგან, ასე გვწერს,
 ჯერ გამოვცადოთ, ნამდვილად თუ გვწყალობსო ბედი.
 არ ეგებისო ახლა თქვენი სულით დაცემა,
 რადგანაც მეფემ საიდუმლო განზრახვა ჩვენი
 ალბათ იცისო ყველაფერი. თქვენ რაღას იტყვით?
 ვუსტერი. თავზარი დაგვცა მამათქვენის ავადმყოფობამ.
 ჰოტსპერი. თითქოს მარჯვენა მოეკვეთათ! მძიმე ელდაა!..
 თუმც, კაცმა რომ თქვას, არც ისეთი დამლუპველია,
 რადგან წინასწარ ვაზვიადებთ იმის დანაკლისს,
 თორემ ნამდვილად უმისოდაც იოლას გავალთ.
 გონივრულია მთელი ლაშქრით მივუხტეთ მტერსა
 და ბრძოლის ბედი გავიხადოთ საალაღბედოდ?

ერთ კვიმატ საათს როგორ ვანდოთ მთელი ძალები?!
 არა, არ არის გონივრული, ამით ხომ სულმთლად
 ამოვხაპავდით იმედების წყაროს, სათავეს,
 ბედის ფსკერსა და ბედის საზღვარს მივადგებოდით.
 დუგლასი. სწორედ ამ დღეში ჩავცვიოდით, მართალსა ბრძანებთ;
 ახლა კი ძალგვიძს, თუ დაგვჭირდა, უკან დახევა;
 ჩვენ შეგვიძლია თავგანწირვით ვეკვეთოთ მტერსა,
 იმის იმედით, რომ მაშველი ძალები გვრჩება.
 ჰოტსპერი. თუკი ეშმაკმა გაგვთვალა და დასაწყისშივე
 მარცხი გვაგემა, მაშინ თავის შესაფარებლად
 და ახალ ძალთა შესაკრებად ადგილი გვრჩება.
 ვუსტერი. და მაინც, ნეტა მამაშენი აქ იყოს ეხლა!
 ჩვენი გეგმა ხომ იმაზეა დამყარებული
 სულ ერთად ვიყოთ, გამოკლებას საქმე ვერ ითმენს.
 ვინ იცის, ხალხი რას იფიქრებს, იქნებ თქვას ზოგმა -
 ბრძნულად მოიქცა, რომ ხელმწიფეს უერთგულაო,
 იქნებ ესეც თქვან - ჩვენ თვითონვე გადაგვიდგაო.
 ეს კი დააფრთხობს შეთქმულების მონაწილეებს
 და ეჭვს დასთესავს, საყოყმანოდ გაგვიხდის საქმეს.
 რაღა თქმა უნდა, ყველას კარგად მოგეხსენებათ,
 რომ შეტევისას ხალხს ფიქრის დროც არ უნდა მივცეთ.
 უნდა დაიხშას ყველა ხერელი და ჭუჭრუტანა,
 რომ გონების თვალს არ შეეძლოს ჩვენი თვალთვალი.
 ახლა კი, აგერ, მამაშენის მოუსვლელიობა
 თითქოს ფარდას გვხდის და საქმეში ჩაუხედავებს
 მძიმე განსაცდელს მოაჩვენებს, შიში შეიპყრობთ,
 თუნდ თავის დღეში შიში არც კი დასიზმრებოდეთ.

ჰოტსპერი. შორს ნუ შესტოპავთ: მამაჩემის მოუსვლელიობა
 ხელსაყრელადაც მიმაჩნია - ჩვენს დიდ საქმეში
 ძალას შეგვმატებს, ომის წინით ალაგზნებს ყველას,
 მისი არ ყოფნა კიდევ უფრო გაამამაცებთ.
 ასე იტყვიან: უიმისოდ ვარყევთ ქვეყანას, -
 ისიც რომ იყოს, ხომ დავამხეთ მთელი სამეფო!..
 არა, ნუ შიშობთ, ჩვენი საქმე აღჩუხე გახლავთ.
 დუგლასი. უკეთესს ვერც კი ვინატრებდით; შოტლანდიაში
 შიში რა არის არც იციან, არც კი სმენიათ.
 (შემოდის სერ რიჩარდ ვერნონი)
 ჰოტსპერი. ო, ძმაო ვერნონ, შენი მოსვლა დიდად მახარებს.
 ვერნონი. ნეტა იმანაც გაგახაროთ, რაც უნდა გითხრათ!
 შვიდი ათასი ჯარისკაცით უესტმორლენდი
 აქეთკენ მოდის, და თან პრინცი ჯონიც მოჰყვება.
 ჰოტსპერი. ეგ არაფერი. სხვას რას მეტყვი?
 ვერნონი. ისიც გავიგე,
 რომ თვით ხელმწიფეც საბრძოლველად გამოემშურა
 სულ დარჩეული ჯარითა და აღჭურვილობით.
 ჰოტსპერი. კეთილი იყოს მისი მოსვლაც. შვილი სადღა ჰყავს,
 ის ფეხმარდი და დამთხვეული უელსის პრინცი,
 რომელმაც თავის ამფსონებთან შეხმატკბილებით,
 ლამის ფეხებზე დაიკიდოს მთელი ქვეყანა?
 ვერნონი. ყველა მზად გახლავთ, აღჭურვილი თავით ფეხამდე,
 შებუმბლულები - ქორებივით დანავარდობენ;
 ატლამუნებენ გახელებით თავიანთ ფრთებსა,
 ვით არწივებმა ბანაობის შემდეგ იციან.
 ოქროს აბჯრები უბრჭყვიალებთ მათ ხატებივით;

სიმხნით, ხალისით - მაისის თვეს დამსგავსებთან,
 შუა ზაფხულის მცხუნვარებას - დიდებულებით;
 სიმკვირცხლით ჰგვანან პაწაწინა კუნტრუშა თიკნებს,
 ხოლო ველური გამმაგებით - უხედნავ მოზერებს.
 მე ვნახე ჰარი - მუზარადით დამშვენებული,
 ჯაჭვის პერანგით შემოსილი, დედამიწიდან
 თვითონ მერკურის სიმსუბუქით აფრინდა ცაში
 და ვით ღრუბლიდან დაემეება ცის ანგელოზი,
 რომ დააფრინდეს გასახედნად მძვინვარე პეგასს
 და მოხდენილი ცხენოსნობით ხალხი მოხიბლოს -
 ისიც მოახტა თავის მერანს ელვის სისწრაფით.
 ჰოტსპერი. კმარა, შეჩერდი. ეს შექება ციებ-ცხელებას
 მარტის მზეზედაც უფრო აღძრავს. დაე მობრძანდნენ!
 მოვლენ მსხვერპლივით მორთულები, მოკაზმულები,
 ჩვენ კი ამოვთხვრით ცხელ სისხლში და მსხვერპლად
 მივართმევთ
 კვამლშემოხვეულ, ცეცხლისთვალა ომების ღმერთსა.
 საკურთხეველზე იჯდეს მარსი, აზჯარასხმული,
 და ნიკაპზე კი დაე სცემდეს სისხლის მორევი!
 ცეცხლი მედება, როცა ვისმენ, რომ ეს მდიდრული
 ნადავლი აქვე ახლოს არის, და ჯერ არა ვფლობთ.
 მომგვარეთ ცხენი, ელვასავით რომ გამაქროლოს
 და შემახვედროს უელსის პრინცს გამძვინვარებით.
 დე ჰარი - ჰარის შეეჭიდოს, ცხენი კი - ცხენსა,
 ვიდრე ერთ-ერთი არ მოკვდება, დაე იბრძოლონ.
 გლენდაუერი მოსულიყო ნეტავი, მაინც.
 ვერნონი. ვუსტერში მითხრეს, აქეთკენ რომ ვემურებოდი,

ორ კვირას მაინც ჯარს სალაშქროდ ვერ გამართავსო.
 დუგლასი. ეს კი ყველაზე ცუდი არის, რაც აქ გავიგე.
 ვუსტერი. ლამის იმედი გაგვიყინოს, ღმერთს გეფიცებით.
 ჰოტსპერი. მთელი ლაშქარი ხელმწიფისა რამდენი არის?
 ვერნონი. სულ ოცდაათი ათასი ჰყავს.
 ჰოტსპერი. ორმოცი იყოს!
 თუმცა არ გვახლავს თან მამა და გლენდაუერი,
 მრისხანების ჟამს ჩვენი ჯარით გავუმკლავდებით.
 ახლა გავსწიოთ, ჩვენს მხედრობას ჩამოვუაროთ.
 დუგლასი. ნურც კი მიხსენებთ შავსა სიკვდილს, რადგან არ
 მჯერა
 ამ ექვს თვეს მაინც მიღალატოს მე ბედისწერამ.

სურათი II. შარა კოვენტრის მახლობლად.

შემოდინ ფოლსტაფი და ბარდოლფი.

ფოლსტაფი. ბარდოლფ, დაწინაურდი და კოვენტრს ჩადი, ერთი
 ბოთლი ღვინო მიშოვე; ჩვენი ჯარი ქალაქიდან მოუვლის, ჩვენ კი
 დადამებამდე სეტონ კოლდფილდს უნდა ჩავიდეთ.
 ბარდოლფი. ფულს არ გამატანთ, კაპიტანო?
 ფოლსტაფი. შენი ფულით იყიდე, შენი ფულით.
 ბარდოლფი. მთელი ანგელოზი დამიჯდება.
 ფოლსტაფი. ჰოდა, თუ მართლა დაგიჯდება, მოჰკიდე ხელი და
 წამოიყვანე, გასამრჯელოში გიანგარიშებ. ოცი ანგელოზიც რომ
 დაგიჯდეს, ოცივე წამოასხი. ჩემს ლეიტენანტ პეტოს უთხარი,
 ქალაქის ბოლოს დამხვდეს.

ბარდოლფი. მესმის, კაპიტანო. მშვიდობით ბრძანდებოდეთ.

(გადის.)

ფოლსტაფი. დამარილებული ქაშაყი ვიყო, თუ ჩემი ჯარისკაცების გამო მე თვითონვე არა მრცხვენოდეს. ძალიან ბოროტად გამოვიყენე მეფის ბრძანება - ჯარი შემიკრიბეო. ასორმოცდაათი ჯარისკაცის ნაცვლად სამას გირვანქა შილინგზე მეტი შევაგროვე; მდიდარ-მდიდარ ხალხს ვარჩევდი, ფერმერების შვილებს; სულ დანიშნულ ხალხს, ეკლესიისაგან ორ-ორჯერ შეჩვენებულებს; ანდა ისეთ გააზიზებულ ლაჩრებს, დოლის ხმისაც რომ ეშინიათ; თოფის ხმაზე ხომ სულ თავგზას კარგავენ, დაკლული ქათამივით ფართხალებენ, გარეული იხვივით ფეთდებიან. სულ აზიზად აღზრდილი შვილიკოები შევაგროვე, ნამცევა გულები აქვთ, როგორც ქინძის პაწაწინა თავები. ახლა ჩემი ლაშქარი კაპრალებისა, ლეიტენანტებისა და ვახმისტრებისაგან შესდგება, და ამ მონებს, ლაზარესი არ იყოს, სულ ჩამოგლეჯილ-ჩამოფხრეწილი ტანსაცმელი აცვიათ, მშიერი ძაღლები ფუფხებს ულოკავენ. თავის დღეში ჯარში არ უმსახურნიათ, ქურდობის გამო დათხოვნილი მსახურები არიან, უმცროსი ძმების უმცროსი მემკვიდრეები, გაკოტრებული მეფუნდუკეები, უმფოთველი ცხოვრებით ჟანგმოკიდებული ხალხი; ძველისძველ დროშაზე ათჯერაც უფრო დაგლეჯილ-დაფლეთილი. აი რა ხალხითა ვცვლი უკვე ვალმოხდილ ჯარისკაცებს! კაცი იფიქრებს, ასორმოცდაათი მე შეცდომილი შეუგროვებია ღორების სამწყესურში, რომლებიც აქამდე ნაქურჩალითა და ჭურჭლის ნარეცხით იკვებებოდნენ. იმ დღეს ვიღაც დამთხვეული მეუბნება, რაც ინგლისში სახრჩობელებია, სულ დაგიუქმებია და ჩამოსახრჩობი ხალხი შეგიგროვებიაო. მე-

ხორციელს არ უნახავს ჯერ ამისთანა საფრთხობელა. იმიტომაც ვერიდები მაგათთან ერთად კოვენტრში გამოჩენას. ისე დაბაჯბაჯებენ, გეგონება ფეხზე ხუნდები ადევთო; თუმცა რა გასაკვირია, ბევრი მართლაც დილეგებიდან გამოვრეკე. მთელს ჩემს ლაშქარზე სულ ერთნახევარი პერანგი მოდის; ის ნახევარიც განა ნამდვილი პერანგია - ორი ხელსახოცისგანაა შეკოწიწებული და მქადაგებელივით აქვს ჯარისკაცს მხრებზე მოგდებული; მთელი პერანგი კი, მართალი თუ გინდათ, აღარ მახსოვს სად მოიპარეს - სანტ-ალბანის ფუნდუკის დიასახლისს აწაპნეს, თუ დენტრის ცხვირწაწითლებულ მეფუნდუკეს. თუმცა სულერთი არ არის?! საცვლები ყველა ღობეზე იშოვება.

(შემოდინ პრინცი ჰენრი და უესტმორლენდი)

პრინცი ჰენრი. რასა იქმ, გაბერილო ჯეკ? ახალს რას იტყვი, ყუითუკო!

ფოლსტაფი. შენა ხარ, ჰალ? თავს როგორა გრძნობ, დამთხვეულო? რა ქარმა გადმოგაგდო უორკშირში? მომიტევეთ, უღირსეულესო ლორდ უესტმორლენდ, მე მეგონა თქვენი ბრწყინვალეობა უკვე შრუსბერიში იყო!

უესტმორლენდი. მართალი ხარ, სერ ჯონ, უკვე დიდი ხნიდან უნდა ვიყოთ იქა, მეცა და თქვენც. თუმცა ჩემი ჯარი იქ არის. მეფე დიდი ხანია იქ გველოდება. მთელი ღამე უნდა ვიაროთ.

ფოლსტაფი. ჩემი ფიქრი ნუ გექნებათ, ნაღების მპარავ კატასავით ფხიზელი ვარ.

პრინცი ჰენრი. იცოცხლე, ნაღების მოსაპარად კი ფხიზლობ! ამ საქმიანობამ უკვე კარაქად გაქცია. ერთი ეს მითხარი, ჯეკ, ეგ რა ხალხი აგდევნებია?

ფოლსტაფი. ჩემი ჯარისკაცები არიან, ჰალ.

პრინცი ჰენრი. პირველად ვხედავ ამისთანა მაწანწალებს.

ფოლსტაფი. ფიქრი ნუ გაქვს, შუბზე წამოსაგებად გამოდგებიან. საზარბაზნე ხორცია, საზარბაზნე ხორცი! ორმოსაც სხვებზე ნაკლებად როდი გაავსებენ. მოკვდავი ხალხია, ძმობილო, უბრალო მოკვდავი ხალხი.

უესტმორლენდი. ჰო, მაგრამ მეტისმეტად დაბეჩავებულები და ჩამომხმარი ჩანან, სერ ჯონ, მათხოვრებს გვანან.

ფოლსტაფი. მართალი გითხრათ, მეც ვერ მივმხვდარვარ, ასე რამ დასაწყლათ. სიგამხდრეს რომ ბრძანებთ, რა ვიცი, მე კი არ მიმიცია მაგალითი.

პრინცი ჰენრი. ეგლა გვაკლია, სამკეცად დადებული ქონი სიგამხდრედ ჩაგვითვალონ. ვიჩქაროთ, პერსი უკვე გამოვიდა ბრძოლის ველზე.

(გადის)

ფოლსტაფი. როგორ, მეფემაც დასცა კარავი?

უესტმორლენდი. ჰო, სერ ჯონ. ვშიშობ, რომ ძალიან დავიგვიანეთ.

(გადის)

ფოლსტაფი. კეთილი და პატიოსანი, ბრძოლის დასასრულს და დასაწყისს კარგის ღვინისა ცუდი მებრძოლი მიუსწრებს და კარგი სტუმარი.

(გადის)

სურათი III. აჯანყებულთა ბანაკი შრუსბერის მახლობლად.

შემოდინან ჰოტსპერი, ვუსტერი, დუგლასი და ვერნონი.

ჰოტსპერი. ამაღამევე შევუტოთ.

ვუსტერი. არ შეიძლება.

დუგლასი. მტერს ხელს შევუწყობთ დაყოვნებით.

ვერნონი. ტყუილად შიშობთ!

ჰოტსპერი. ასე რად ამბობ? მაშველ ძალებს არ ელის განა?

ვერნონი. აკი ჩვენც ველით!

ჰოტსპერი. ის მიიღებს დანამდვილებით,

ჩვენი საქმე კი ჯერჯერობით საჭოჭმანოა.

ვუსტერი. მისმინე, ძმაო, ნუ დავიწყებთ ამაღამ ბრძოლას.

ვერნონი. მილორდ, მეც გირჩევთ.

დუგლასი. თქვენი რჩევა უსაფუძვლოა,

მხოლოდ შიში და გულგრილობა გალაპარაკებთ.

ვერნონი. ცილს რატომ მწამებთ, გეფიცებით სიცოცხლეს,

დუგლას, -

და მზად ვარ, ფიცი სიცოცხლითვე დაგიდასტუროთ, -

როცა ბრძოლის დროს მრჩეველად მყავს პატიოსნება,

ძაბუნი შიში იმგვარადვე მოქმედებს ჩემზე,

ვით თქვენზე, მილორდ, და ვით ყველა შოტლანდიელზე.

ჰა, ბრძოლის ველიც, ხვალინდელმა დღემ დაგვანახოს,

ჩვენში ვინ უფრო მშიშარაა.

დუგლასი. ხვალ თუ ამაღამ?

ვერნონი. ამაღამ იყოს.

ჰოტსპერი. ამაღამევე, ჰო, ამაღამევე.

ვერნონი. არ შეიძლება, შეისმინეთ! მიკვირს, პირდაპირ, მრავალ ბრძოლებში გამოცდილი მხედართმთავრები ვედარც კი ხედავთ, რომ შეტევა დაგვიბრკოლდება. ჯერ ბიძაშვილის ცხენოსნები არც კი მოსულან; ვუსტერის ჯარი დღეს მოვიდა და დალილია; მათი გზნება და სიამაყე მიძინებულა, ზედმეტმა დაღლამ დაუჩლუნგათ ძალგულოვნება, ცხენებსაც ღონე სანახევროდ არ შერჩენიათ. ჰოტსპერი. ამ დღეშივეა მტრის მხედრობაც, გრძელი მგზავრობით გამოცლილი აქვთ არაქათი ჩვენებზე მეტად, ჩვენთაგან ბევრმა დასვენება მაინც მოასწრო. ვუსტერი. ჩვენზე დიდია გაცილებით მეფის ლაშქარი, ცოტა დავყოვნდეთ, ვიდრე ჩვენიც შეივსებოდეს. (საყვირის ხმა პარლამენტარის მოახლოებას იუწყება. შემოდის სერ უოლტერ ბლენტი) ბლენტი. მსურს, რომ ხელმწიფის გულმოწყალე ბრძანება გამცნოთ, თუკი მოისმენთ პატივითა და ყურადღებით. ჰოტსპერი. კეთილი იყოს თქვენი მოსვლა, სერ უოლტერ ბლენტ, ნეტა თქვენც იყოთ ახლა ჩვენი თანამზრახველი! აქ ბევრს უყვარხართ, მაგრამ მაინც გძრახავთ ყველანი, რომ ამ ბრძოლაში ჩვენს მხარდამხარ არ იბრძვით თქვენცა, და როგორც მტერი, გამოდიხართ ჩვენს წინააღმდეგ. ბლენტი. ღმერთმა დამიხსნას, რომ სხვაგვარად გამოვდიოდე, ვიდრე თქვენ თვითონ სახელმწიფო კანონებისა და გვირგვინოსნის წინააღმდეგ ამხედრებულხართ!..

ღიახ, ხელმწიფემ გამომგზავნა, რათა ვავიგო - თქვენი ასეთი გულისწყრომის ნამდვილი არსი; მშვიდობიან ხალხს მყუდროება რად დაურღვიეთ, მორჩილ ქვეყანას რად ასწავლეთ ეს გულქვაობა?! თუკი ხელმწიფემ ოდნავ მაინც გადაივიწყა ტახტის წინაშე თქვენი დიდი დამსახურება, - ის აღიარებს თქვენს მრავალგვარ დამსახურებას, - ახლა გიბრძანებთ, ეს ჩივილი დაუსახელოთ და რასაც იტყვი, ყველაფერი შეგისრულდებათ დაუყოვნებლივ, თქვენს ჩივილზე გადამეტებით, თანაც ხელმწიფე პატიებას გპირდებათ ყველას - თქვენც და იმათაც, ვინც ამ ჯანყში გადაიბირეთ. ჰოტსპერი. გულკეთილია ჩვენი მეფე და კარგად უწყის, როდის შეჰპირდეს, შემდეგ როდის გადაუხადოს... მაგრამ გვირგვინი, ხელმწიფეს რომ ამშვენებს ახლა, ჩვენ მივუძღვენი - მე, ბიძამა და მამაჩემმა; მაშინ ხომ თითქმის აღარავინ მხარს არ უჭერდა, სულ ოცდაექვსი ქვეშევრდომი შემორჩენოდა ხალხის თვალშიაც უბადრუკი იყო სრულიად, საწყალობელი, დაჩაგრული და განდეგნილი, მიიპარვოდა შინისაკენ წელში მოხრილი, როცა ნაპირზე მამა შეხვდა და მიესალმა. მაშინ უბიწო ცრემლებით და მხურვალე ფიცით იგი შესთხოვდა სასოებით მამაზეციერს - სხვას არ დავემებ, სამემკვიდრო მერგოსო ოღონდ და ლანკასტერის ჰერცოგობას მივაღწიო. მამასაც მაშინ შეებრაღა, შველას შეჰპირდა

და შეუსრულა კიდეც თვისი დანაპირები,
 ხოლო როდესაც მილორდებმა და ბარონებმა
 გაიგეს - მეფეს მხარს უჭერდა ნორთამბერლანდი,
 გამოეშურა ყველა მხრიდან დიდი, პატარა
 და მის წინაშე მოწიწებით მუხლი მოხარა;
 ხვდებოდნენ ყველგან - სოფლებშიაც, ქალაქებშიაც,
 გზებზე, ხიდებზე მოელოდნენ მის გამოჩენას,
 ძღვენს მიუძღვნიდნენ, ერთგულებას ეფიცებოდნენ
 და პაქებადაც სთავაზობდნენ ნორჩ მემკვიდრეებს,
 დიდებულები ბრბოდ და დუნდგოდ დასდევიდნენ ყველგან.
 როცა შეიგრძნო განდიდება, ცხვირი აზიკა,
 გატეხა ფიცი, რომელიც მან მამაჩემს მისცა
 უსახლკარომ და უბადრუკმა იქ, რევენსპერგში.
 ახლა კი მოსდგა სახელმწიფო კანონმდებლობას,
 სცვლის, როგორც ნებავს, მრისხანე და სასტიკ კანონებს,
 რაც მძიმე ტვირთად აწვა დღემდე მოსახლეობას;
 ხალხს სტანჯავდნენო, ასე ყვირის, და თვალთმაქცურად
 ტირის - ქვეყანას უკუღმართად განაგებდნენო.
 ასე, ამგვარად, წამოაგო ანკესზე ბევრი,
 ყალბი სამართლით ქვეშევრდომთა გული მოიგო.
 მერე შესტოპა უფრო ღრმადაც და ვერაგულად
 წააგდებინა ყველას თავი, ხელმწიფის ერთგულთ,
 რომელთაც მეფემ, ისლანდიის ომში ყოფნისას,
 ამ ქვეყნის მართვა-გამგეობა თვით დააკისრა.
 ბლენტი. კმარა, მე ამის მოსასმენად როდი მოვსულვარ!
 ჰოტსპერი. მაშ უმთავრესი მოისმინეთ: არ დააყოვნა,
 ჯერ ჩამოაგდო ვერაგულად ტახტიდან მეფე,

ხოლო მას უკან სიცოცხლესაც გამოასალმა,
 და ხალხს ბეგართ ამოართვა მთავარი სული;
 არც ეგ იკმარა, ბიძაშვილი თვისივე მარჩი, -
 რომელიც მეფე იქნებოდა უცილობელი,
 თუ სამართალი იყოს ქვეყნად, - მწარედ გასწირა,
 ტყვედ დაუტოვა უელსელებს და ერთი გრომიც
 არ გაიმეტა ბიძაშვილის გამოსასყიდად.
 ჩემს გამარჯვებას დასცინის და აბუჩად იგდებს,
 ჯაშუშებიც კი მომიჩინა, რომ დავეჭირო:
 ბიძა საბჭოდან გამოდევნა და მამაჩემსაც
 ქუშად უბრძანა - კარზე აღარ დამენახვო;
 ფიცს ფიცზე სტეხდა, ავს კი კვლავაც ავს უმატებდა,
 ბოლოს და ბოლოს გვაიძულა, რომ აჯანყებით
 გვეძებნა ჩვენი ხსნა და დაცვა. ტახტი იმისი
 მერყევია და დიდხანს კიდეც ვეღარ გაუძლებს.
 ბლენტი. როგორ ინებებთ, ეს პასუხი გადავსცე მეფეს?
 ჰოტსპერი. არა, სერ უოლტერ, საქმეს კარგად ავწონ-დავწონით,
 თქვენ კი დაბრუნდით ხელმწიფესთან. პირობა მოგცევს,
 რომ ჩვენს მოციქულს დაგვიბრუნებს მშვიდობიანად, -
 დილით კი ბიძა მოახსენებს ჩვენს მოსაზრებას.
 ახლა მშვიდობით.
 ბლენტი. ნუმც მოგაკლდეთ მეფის წყალობა.
 ჰოტსპერი. ვინ იცის, იქნებ არც მოვიკლოთ.
 ბლენტი. ღმერთმა ინებოს.
 (გადიან)

სურათი IV. იორკი. მთავარეპისკოპოსის სასახლე.

შემოდინ იორკის მთავარეპისკოპოსი და სერ მაიკლი.

მთავარეპისკოპოსი. ჩქარა, სერ მაიკლ, ფრთა შეისხით და ეს ბარათი

დაუყოვნებლივ გადაეცით ჩვენს ლორდსა მარშალს; ეს ჩემს ბიძაშვილს სკრუპს მიეცით; დანარჩენებიც თავთავის პატრონს ჩააბარეთ; რომ გაცოდინათ, რა მნიშვნელოვან საქმესა ვწერთ ამ ბარათებში, აჩქარდებოდით თქვენ თვითონვე, წაუქეზებლად. სერ მაიკლი. ძვირფასო მილორდ, შინაარსს ვხვდები. მთავარეპისკოპოსი. გამოცნობა არ არის ძნელი. ჩემო სერ მაიკლ, ათასობით მეომრის ბედი ხვალ გადაწყდება შრუსბერიში, რადგან მაუწყეს, მეფე იქითკენ დიდი ლაშქრით გამგზავრებულა ჰარი პერსისთან საბრძოლველად; რა ვქნა, სერ მაიკლ, ნორთამბერლანდის ავადობა ძლიერ მაფიქრებს; მთავარ იმედებს ამყარებდნენ იმის ლაშქარზე! ახლა კი აგერ გამოაკლდათ გლენდაუერიც, მეტად მძლავრი და ძარღვიანი მაშველი ძალა, რომელიც ავმა წინათგრძნობამ თუ დააფეთა, - მაფიქრებს-მეთქი, პერსი ისე არ დაძაბუნდეს, რომ მეფეს ველარ გაუმკლავდეს მცირე ლაშქარით. სერ მაიკლი. ძვირფასო მილორდ, ნუ გაწუხებთ მაგისი ფიქრი. მხარს უმაგრებენ დუგლასი და ლორდ მორტიმერი. მთავარეპისკოპოსი. არა, გემლებათ, მორტიმერი მასთან არ არის.

სერ მაიკლი. სამაგიეროდ მორდეიკი, ლორდი ვუსტერი, ლორდ ჰარი პერსი და ვერნონი... მთელი ლაშქარი, სულ დარჩეული მეომრები მასთან არიან. მთავარეპისკოპოსი. ეს მართალია. მაგრამ მეფემ თან გაიყოლა სახელგანთქმული რაინდები მთელი ქვეყნისა: უელსის პრინცი და მისი ძმა ჯონ ლანკასტერი, მამაცი ბლენტი და ცნობილი უესტმორლენდი, სხვებიც მრავალი - ღირსეულნი, წარჩინებულნი, ათას ბრძოლებში გამოცდილი გმირი სარდლები. სერ მაიკლი. ნურც დაექვდებით, რომ საკადრის პასუხს გასცემენ. მთავარეპისკოპოსი. მეც მაქვს იმედი, მაგრამ მაინც სიფრთხილე გვმართებს; და რომ თავიდან ავიცილოთ უბედურება, საჭირო არის გაეშუროთ. თუ ლორდმა პერსიმ ვერ გაიმარჯვა ამ ბრძოლაში, მაშინ ხელმწიფე ჩვენკენ გამოსწევს მთელის ლაშქრით, რადგან გაიგო, რომ საიდუმლო შეთქმულების ვარ მონაწილე; ამიტომაც სჯობს შევეგებოთ გამაგრებული. თქვენ გაეშურეთ. მე კი წავალ, ბარათებს დავწერ და სხვა მეგობრებს დავუგზავნი. მშვიდობით, მაიკლ. (გადიან)

მოქმედება მეხუთე

სურათი I. მეფის ბანაკი შრუსბერის მახლობლად.

შემოდინ მეფე, უელსის პრინცი, ლორდი ჯონ ლანკასტერი, სერ უოლტერ ბლენტი და ფოლსტაფი.

მეფე ჰენრი. აბა გახედეთ ტყიან გორაკს - მზე სისხლში სცურავს და დღე ფითრდება ავადმყოფურს მის ნათებაზე. პრინცი ჰენრი. სამხრეთის ქარი უბერავს და როგორც საყვირი მკაცრი სისინით ჩვენ გვაუწყებს მოახლოებულ ქარიშხლიან და მოუსვენარ დღის გათენებას. მეფე ჰენრი. დაე, ბრძოლაში დამარცხებულთ მიუსამძიმროს, გამარჯვებულებს არაფრისაც არ ეშინიათ. (ისმის საყვირის ხმა. შემოდინ ვუსტერი და ვერნონი) ლორდ ვუსტერ, შენა?! გენდობოდი და მიღალატე; აბა რასა ჰგავს აქ, ამგვარი შეხვედრა ჩვენი! მშვიდობიანი სამკაული დამაყრევინეთ და ბერიკაცი გამახვიეთ რკინის აბჯარში! ვერ მოგიწონებ, ვერა, მილორდ, ვერ მოგიწონებ! მაგრამ რას იტყვი - არ გასურს გავხსნათ წყეული კვანძი ამ ყოვლის მომსპობ ომისა და არეულობის, რომ ძველებურად მორჩილების წრეში მოექცეთ და ადრინდელის ელვარებით კვლავ იელვაროთ? რომ აღარ ჰგავდეთ ჯანდმოხვეულ მეტეორს ცისას, რომელიც მხოლოდ შიშსა თესავს გამძვინვარებით და ავს აუწყებს ჩვენს მომავალ შთამომავლობას?!

ვუსტერი. მისმინეთ, მეფე, მე თუ მკითხავთ, აბა რა მიჯობს მშვიდობიანად გავატარო შეთნილი დღენი! და არცა ვცდილვარ, დამერწმუნეთ, ჩემო ხელმწიფე, ასეთი შუღლის გაჩაღებას მოძმეთა შორის. მეფე ჰენრი. არცა ვცდილვარო! მაშ როგორღა გაჩაღდა ისე? ფოლსტაფი. ნახა - ქუჩაში მოგორავდა, და ხელი სტაცა. მეფე ჰენრი. ჩუმად, კაჭკაჭო, ნუ ჭარტალებ! ვუსტერი. ჩემო ხელმწიფე, მეც პირადად და ჩემს ოჯახსაც მოგვაკლდა თქვენი მოწყალება და მზრუნველობა; მსურს მოგაგონოთ, რომ თქვენი და თქვენი ოჯახის უპირველესი მეგობარი ვიყავი მუდამ. თქვენი გულისთვის სამსახურის კვერთხი გავტეხე და გადავტყორცნე რიჩარდის დროს. დღისით თუ ღამით მოვისწრაფოდი შესახვედრად, ხელზე სამთხვევად, თუმცა ვიყავი თქვენზე უფრო სვებედნიერი. აკი მე თვითონ, ჩემი ძმა და ჩემი ძმისწული არ შევეპუეთ არავითარ საშიშროებას და დაგაბრუნეთ სამშობლოში მშვიდობიანად. თქვენ კი აღგვითქვით, - დონკასტერში შეგვფიცეთ მაშინ, - რომ არც კი სცდიდით სამეფო ტახტს დაუფლებოდით, მხოლოდ ამასლა მოითხოვდით - დაგბრუნებოდათ მემკვიდრეობა ჯონ გონტისგან გადმოცემული - თქვენივე კუთვნილი საჰერცოგო ლანკასტერისა, რაიც იმ ხანად ჩამოგართვეს და წაგაგლიჯეს. მიტომაც იყო, უყოყმანოდ აღვითქვით შველა. გამოხდა ხანი, ბედის წვიმამ უხვად გაწვიმათ და ნიაღვარი დიდებისა მოგასკდათ უცებ, -

ეს ზოგი ჩვენით, ზოგიც მეფის აქ არ მყოფობით,
 ზოგიც იმ დროში ქვეშევრდომთა გულნაკლულობით,
 იმ გაჭირვებით, რაიც ვითომ თქვენ გამოსცადეთ,
 ბოროტი ქარით, რამაც მეფე ირლანდიაში
 დააყოვნა და დამარცხება აგემა მწარე,
 ისე, რომ მკვდარიც კი ეგონათ ინგლისში იგი...
 თქვენც, ერთი სიტყვით, ეგ ბედის სკა გამოიყენეთ,
 მარჯვე შემთხვევა არ გაუშვით და დახარბებით
 მთელი სამეფოს გამგებლობა ხელში ჩაიგდეთ;
 ხოლო ის ფიცი - დონკასტერის - გადაივიწყეთ...
 ჩვენი საზრდოთი გამოზრდილი, გამოკვებილი,
 ისე ტლანქად და უსამართლოდ მოგვდექით ჩვენვე,
 როგორც გუგულის უმადური ბარტყი ბელურას -
 ჩვენიც ბუდეში მიგვჭყლიტეთ და შეგვავიწროვეთ,
 ისე გასუქდით, გაზულუქდით ჩვენი საზრდოთი,
 რომ ახლო მოსვლას და ალერსსაც ვერიდებოდით -
 ვაი თუ უცებ მოუაროს და ჩაგვყლაპოსო.
 სხვა რაღა დაგვრჩა, გავისწორეთ სასწრაფოდ ფრთები,
 თვალს მოგეფარეთ, რათა თავი გადაგვეჩინა,
 და ახლა აგერ, როგორც ხედავთ, ჯანყი მოგიწყვეთ.
 თქვენს შესახვედრად ავირჩიეთ ისეთი ხერხი,
 რაიც თვითონვე გამოსჭედეთ თქვენს წინააღმდეგ
 ამგვარი ტლანქი მოპყრობითა და უშნო ბღვერით,
 ყველა იმ წმიდა ფიცისა და აღთქმის გატებით,
 რაც საზეიმოდ შემოგვფიცეთ ჭაბუკობისას.
 მეფე ჰენრი. ეს ყველაფერი ცნობილია, აკი თქვენ თვითონ
 ბაზრებშიც ამას ქადაგებდით, ეკლესიებშიც,

რომ თქვენი ჯანყის სამოსელი მით შეგელებათ
 და მოგეხიბლათ გულნაკლულნი, ყოყმანა ხალხი,
 რომელთაც პირი დაუღიათ გაბოროტებით,
 ნიდაყვებს კრავენ ერთმანეთსა და მოუთმენლად
 ელოდებიან ყოველ ახალს არევ-დარევას.
 ჯანყს ხომ არასდროს ფერადები არ დაჰკლებია,
 რათა ლამაზად შეელება თვისი მიზანი;
 არ დაჰკლებია ქარაფშუტა მათხოვარებიც,
 რომელთაც მუდამ სისხლისღვრა და ჯანყი სწყურიათ.
 პრინცი ჰენრი. თუკი მივიდა, საბოლოოდ, ბრძოლამდე საქმე,
 თქვენს ლაშქარშიაც, ჩვენს ლაშქარშიც მრავალ მეომარს
 სიცოცხლის ფასად დაუჯდება ეს აჯანყება.
 უთხარ თქვენს ძმისწულს, რომ ქვეყნის ხმას უელსის პრინცი,
 თვის ხმას უერთებს ჰენრი პერსის სადიდებელად.
 იმედებს ვფიცავ, - დავივიწყოთ ცოტა ხნით ბრძოლა, -
 არ მეგულება სხვა თავადი ასე მამაცი,
 ასე ყმაწვილი და ამგვარად თავგანწირული,
 ასეთი მხნე და გამბედავი, - თავის სიქველით
 ამ საუკუნის სამკაულად გამოდგებოდეს.
 მე კი რა მეთქმის - სამარცხვინოდ უნდა გამოვტყდე,
 წმინდა რაინდულ საქმეებში ზარმაცი ვიყავ,
 და როგორც ვიცი, თქვენს ძმისწულსაც ასე ვგონივარ,
 მაგრამ ვაცხადებ მამაჩემის წინაშე, აგერ,
 რომ მიხარია აღზევება ჰარი პერსისა, -
 მისი სახელის განდიდება გულს შვებით მივსებს,
 და რომ დავზოგო მებრძოლთ სისხლი ორივე მხარეს,
 მსურს ბედი ვცადო მე პერსისთან ორთაბრძოლაში.

მეფე ჰენრი. ჩვენ კი მხარს ვუჭერთ, შვილო ჰარი, შენს თავგანწირვას.

თუმცა მიზეზი უარისა ცოტა როდი გვაქვს.

არა, ლორდ ვუსტერ, გულით გვიყვარს ჩვენ ჩვენი ხალხი, გვიყვარს ისინიც, ვინაც პერსიმ მოტყუილებით სიმართლის გზაკვალს ააცდინა და გადიბირა.

ჩვენ შევთავაზეთ მათ წყალობა და მიიღებენ, შენც, სხვასაც, ყველას, ყველა მებრძოლს, ყველა მეომარს, ისე შეგიტკობთ, მეგობარს რომ შეეფერება.

ასე უთხარი შენს ძმისწულსაც და რასაც გეტყვის, დანაბარები მომიტანე; თუ კვლავ იურჩებს, ჩვენ უხვადა გვაქვს გაკიცხვა და მკაცრი სასჯელი, რასაც მიიღებთ ურჩობისთვის დაუყოვნებლივ.

ახლა კი გასწი. ლაპარაკით ნუ შეგვაწუხებ, ბრძნულად მიიღეთ ის სიკეთე, რასაც გთავაზობთ.

(გადიან ვუსტერი და ვერნონი)

პრინცი ჰენრი. არ მიიღებენ ჩვენს პირობას, თავს გეფიცებით;

ჰარი ჰოტსპერი და დუგლასი საერთო ძალით

არ შედრკებიან თუნდა მთელი ქვეყნის წინაშეც.

მეფე ჰენრი. სწორედ ამიტომ მოემზადოს ყველა სარდალი,

ჩვენც იმათ პასუხს ვუპასუხოთ მძაფრი შეტევით;

მაღალი ღმერთი არ გაგვწირავს სიმართლის მცველებს!

(გადიან მეფე, ბლენტი და პრინცი ჯონი)

ფოლსტაფი. ჰალ, დაცემული თუ მნახო ბრძოლის ველზე, გადამეფარე; ეს იქნება ნამდვილი მეგობრული სამსახური.

პრინცი ჰენრი. გოლიათი უნდა იყოს კაცი, მაგისტანა მეგობრული სამსახური რომ გაგიწიოს. ილოცე და მშვიდობით იყავ.

ფოლსტაფი. ეჰ, ნეტა კი იყოს მშვიდობიანი მოსვენების დრო, ჰალ!

პრინცი ჰენრი. რას იზამ, ღმერთს თავისი ვალი უნდა გადაუხადო, სული უნდა მისცე.

(პრინცი გადის)

ფოლსტაფი. ჯერ ხომ არ გასულა ვადა! ვადაზე ადრე ვალის დაბრუნება ჭირივითა მძულს. თუკი არავინ მაჩქარებს, რა ძალა მადგას ვიჩქარო! მაგრამ მთელი უბედურება ის არის, რომ სინდისი მეწევა. მერე, სულაც რომ წამიჭიროს მარყუჟი? მაშინ რაღა ვქნა? მე შენ გეტყვი და, სინდისი მომამველებს ხელს! რა სათქმელია! ფეხზე დამაყენებს? არც ფეხზე დამაყენებს. ტკივილებს თუ დამიყურებს მაინც? არა და არა. მაშ ვერაფერი შვილი დოსტაქარი ბრძანებულა ეგ თქვენი სინდისი. რაღა თქმა უნდა. მაშ რა არის სინდისი? სიტყვა. მერე და რა იგულისხმება მაგ სიტყვაში? ჰაერი. კაი ანგარიში გცოდნია, შენ არ მომიკვდე! ვის აქვს სინდისი? ვინც ოთხშაბათს მოკვდა. თუ გრძნობს მაინც, მაქვსო? არა. ესმის მისი? არა. მაშ შეუძლებელი ყოფილა მისი შეგრძნობა? მაშა, მკვდრებისთვის შეუგრძნობელია. ცოცხლებთან ვერანაირად ვერ გასძლებს? ვერა. რატომ? ჭორები არ გააჩერებს. თუ ასეა, არც მინდა. სინდისი იმ ფარზე გამოკვეთილ ღერბსა ჰგავს, რომლითაც მკვდარს მიაცილებენ. ამით თავდება ჩემი მოძღვრებაც.

(გადის)

სურათი II. აჯანყებულთა ბანაკი.

შემოდინ ვუსტერი და ვერნონი.

ვუსტერი. არა, სერ რიჩარდ, მეფის სათნო დანაბარები
რა საჭიროა რომ გაიგოს ჩემმა ძმისწულმა!

ვერნონი. უმჯობესია რომ გაიგოს.

ვუსტერი. დავიღუპებით!

არ შეიძლება, არ მოხდება, ვერ დავიჯერებ,

რომ მეფემ სიტყვა შეასრულოს და ჩვენ შეგვიტკბოს.

ვერ დაგვენდობა, იხელთებს და სულ სხვა საბაბით,

როცა იქნება, მკაცრად დაგვსჯის ამ წყენისათვის.

მთელი სიცოცხლე აღმაცერად უნდა გვიყუროს;

მოღალატეებს ენდობიან ისე, ვით მელას:

მაგრად ჩაკეტე, მიეფერე, გაწრთვენი თუნდა -

მამაპაპათა ცბიერება მაინც შერჩება.

გინდ დავიბღვიროთ, გინდ ვიჭყანოთ, სულერთი არის -

კარგად არასდროს არ მიიღებს ჩვენს გამოხედვას.

ჩვენი ცხოვრება ემგვანება იმ საქონლისას,

გასასუქებლად ბაგაზე რომ უბიათ ხოლმე:

რაც უფრო კარგად მოუვლიან, მით უარესი -

აღსასრულის დღე უფრო სწრაფად უახლოვდებათ.

ძმისწულის ცოდვებს დაივიწყებს უფრო ადვილად,

ახალგაზრდა კაცს სისხლი უდუღს და შეუნდობენ,

აკი სახელიც ამგვარივე შეარქვეს იმას -

გიჟი ჰოტსპერი, დამთხვეული, თავქარიანი;

მისი ცოდვები სულმთლიანად ჩვენ დაგვაწვება -

მე და მამამისს; იგი ჩვენი აღზრდილი გახლავთ,

ხოლო რაკილა გავაფუჭეთ - ჩვენვე უნდა ვზღაოთ,

როგორც ყოველი ზოროტების წყარომ, სათავემ.

ამიტომ, მოდი, დამიჯერე, ჩემო ძმობილო,

ხელმწიფის სიტყვას ჰარის ნულარ შევატყობინებთ.

ვერნონი. რაცა გნებავდეთ, ის უთხარით, მე დაგიმოწმებთ.

აჰა, ძმისწულიც, ხსენებაზე!

(შემოდინ ჰოტსპერი და დუგლასი)

ჰოტსპერი. ბიძაჩემი დაბრუნებულა.

უესტმორლენდი გამოუშვით!...

რა ამბავს გვეტყვი, ბიძაჩემო?

ვუსტერი. საცაა, მეფე ომს დაიწყებს.

დუგლასი. მაშ გამოწვევა დავაბაროთ უესტმორლენდსა.

ჰოტსპერი. წადით, დუგლას, და თქვენ თვითონვე უთხარით ასე.

დუგლასი. კარგი, გადავცემ ხალისითა და სიხარულით.

(გადის)

ვუსტერი. შეწყალებისა არაფერი ეტყობა მეფეს.

ჰოტსპერი. სთხოვეთ კი განა შეწყალება?

ღმერთმა დაგვიხსნას!

ვუსტერი. გაკვრით ვუხსენე ჩვენი წყენა და მოვაგონე

ფიცის გატება; მაგრამ მოჰყვა ისევ ცრუ ფიცსა,

რომ ძველი აღთქმა თითქოს სულაც არ გაეტეხოს.

ჯანყისთავსა და მოღალატეს გვეძახის ყველას

და გვემუქრება საშინელი განადგურებით.

(შემოდის დუგლასი)

დუგლასი. იარაღს ხელი, ბატონებო, იარაღს ხელი!

მეფეს ცხვირპირში მივახალე მე გამოწვევა,

თვით უესტმორლენდს დავაბარე, მძევლად რომ გვყავდა.
 სხვა გზა არა აქვს - აქ გაჩნდება ხელმწიფე მალე.
 ვუსტერი. უელსის პრინცმა მამამისის ლოცვა-კურთხევით
 ორთაბრძოლაში გაგიწვია, ჩემო ძმისწულო.
 ჰოტსპერი. ნეტა ამ დავას ჩვენი ბრძოლით მოელოს ბოლო;
 ნეტა ჩემსა და ჰარი მონძუს გარდა არავის
 დღეს ბრძოლის ველზე არ ამოხდეს სული მთავარი.
 მაგრამ მითხარი, ბიძაჩემო, როგორ შეატყვე,
 როცა მიწვევდა, ხმაში ზიზღი არ ეტყობოდა?
 ვერნონი. არა. სულს ვვიცავ, ჩემს დღეშიაც არ მოვსწრებივარ,
 ბრძოლაში ვინმე გაეწვიოთ ასეთი რიდით,
 ასე ძმები თუ გაიწვევენ ერთმანეთს ხმალში,
 რათა საწვრთნელად გამოსცადონ მახვილის ძალა:
 ისე გახსენა, როგორც ვაჟკაცს შეეფერება,
 გაქო, გადიდა და მეფური ხოტბით შეგამკო,
 ჟამთაღმწერლისებრ ჩამოთვალა შენი ამაგი
 და ყველანაირ შექებაზე მალლა დაგსახა,
 რადგანაც ქებას, შენს საკადრისს, ვედარ მიაგნო.
 მერე გაწითლდა და მეფური უბრალოებით
 საკუთარივე თავის ტუქსვა-გაკიცხვას მოჰყვა;
 ისე ძრახავდა თვისივე თავს უქნარობისთვის,
 თითქოს შეგირდიც და ოსტატიც თვითონვე იყო.
 მერე გაჩუმდა. მაგრამ მინდა ქვეყანას ვამცნო,
 რომ თუ დღევანდელს მოშურნე ბედს გადურჩა იგი,
 მაშინ ჩვენს ინგლისს არ ჰქონია ჯერაც არასდროს
 ასე ბრწყინვალე იმედები მომავალისა,
 რასაც ფარავდა ჭაბუკური დაუდგრომლობა.

ჰოტსპერი. შეგყვარებია, ვხედავ, მისი ქარაფშუტობა;
 პირველად მესმის, ქვეყანაზე ტახტის მემკვიდრე
 მასავით გიჟი ყოფილიყოს და შუშტრუკანა.
 თუმც რას დავეძებ, როგორიც სურს, ისეთი იყოს,
 გულში ჩავიკრავ სადამომდე ჯარისკაცურად
 და ამ მოხვევით ძვლებს სულ ჭახჭახს დავაწყებინებ.
 ხელი ხმალს იკართ, მეგობრებო, ამხანაგებო
 და მეომრებო; თავგანწირულ შეტაკებისთვის,
 მოვალეობა უფრო მძაფრად სისხლს აგიდუღებთ,
 ვიდრე მე - ვისაც ლაპარაკის არ დამყვა ნიჭი!
 (შემოდის შიკრიკი)
 შიკრიკი. მილორდ, მე თქვენთან ბარათები გამომატანეს.
 ჰოტსპერი. ახლა არა მაქვს წაკითხვის დრო.
 ო, მეგობრებო, ხომ მოკლეა წუთისოფელი,
 მაგრამ ნახევარ საათზედაც მოკლე რომ იყოს,
 გვეჩვენებოდა მეტისმეტად გაგრძელებული,
 თუკი ბილწად და სამარცხვინოდ გავატარებდით.
 თუ შეგვრჩა სული, მეფეები ფეხით გავთელოთ,
 თუ მოვკვდით, - მოვკვდეთ მამაცურად - პრინცებთან ერთად!
 ერთი წუთითაც სინიდისი ნუ დავგაფიქრებს:
 წმიდაა ხმალი - სიმართლისთვის თუკი ვიშიშვლებთ!
 (შემოდის მეორე შიკრიკი)
 მეორე შიკრიკი. მოემზადენით, მოახლოვდა მეფის ლაშქარი.
 ჰოტსპერი. ათას მადლს ვუძღვნი, სიტყვა დროზე შემაწყვეტინა,
 არ ვარ ჩვეული ზედმეტ ლაქლაქს, მაგრამ გახსოვდეთ,
 უნდა იბრძოლოთ თავგანწირვით! აჰა, ხმალს ვიძრობ,
 რათა დღევანდელ ყოვლისმომსპობ შეტაკებაში

ყველაზე უფრო კეთილშობილ სისხლით შევლებო, აბა, esperance! - გასწი, პერსი! მედგრად ეკვეთეთ! დაჰკარით ბუკს და ნადარასა! მუსიკის ხმებში, გადავებვიოთ, მეგობრებო, ერთმანეთს ძმურად, რადგან ცისა და მიწის მადლმა, ბევრი ჩვენგანი, ვედარასოდეს ეღირსება ასეთ მოხვევნას. (ისმის ბუკის ხმა. ერთმანეთს ეხვევიან და გადიან)

სურათი III. მინდორი ორ ბანაკს შუა.

გაივლის მეფის ლაშქარი. ბრძოლის ხმაური. მერე შემოდის დუგლასი და სერ უოლტერ ბლენტი.

ბლენტი. ნეტა ვიცოდე, ვინ გდიხარ, რომ ბრძოლაში ყველგან წინ მეჩხირები? ან რა პატივს მოელი, ნეტა, ჩემი თავის წილ? დუგლასი. გამიცანი, დუგლასი მქვია, შენზე ამბობენ, მეფეაო, და მიტომ დაგდევ.

ბლენტი. მართალიც უთქვამთ.

დუგლასი. შენი მსგავსება სტაფორდის ლორდს ძვირად დაუჯდა;

რადგანაც, მეფევ, შენს მაგივრად, დღეს ბრძოლის ველზე აი ამ ხმაღმა სტაფორდის ლორდს აუგო წესი.

შენც ეს დღე გელის, თუ ახლავე ტყვედ არ დამნებდი.

ბლენტი. განა არ იცი, თავგასულო შოტლანდიელო, რომ ტყვედ არა ვარ გაჩენილი; ახლა მიყურე, როგორ იძიოს მეფე ჰარიმ სტაფორდის შური.

(იბრძვიან. დუგლასი ჰკლავს ბლენტს. შემოდის ჰოტსპერი)

ჰოტსპერი. ჰოლმდონშიაც რომ ასე ფიცხლად გებრძოლა, დუგლას, მაშინ ვედარე ერთ შოტლანდიელს ვერ შევიპყრობდი. დუგლასი. ომი მოვიგეთ, მეფე აგერ უსულოდ გდია. ჰოტსპერი. აბა მაჩვენე!

დუგლასი. აგერ გდია.

ჰოტსპერი. ეგ არის მეფე?

ო, არა, დუგლას. კარგად ვიცნობ მაგას სახეზე,

ეს იყო ბლენტი, მამაცი და გმირი რაინდი.

მაგასაც მეფის საომარი პერანგი ეცვა.

დუგლასი. მაშ თანამგზავრად შენს სულს ჰყავდეს ტაკიმასხარა!

სხვისი სახელი ხედავ როგორ ძვირი დაგიჯდა!

რას მატყუებდი, უბედურო, ხელმწიფე ვარო!

ჰოტსპერი. სხვასაც აცვია აქ ხელმწიფის ჯაჭვის პერანგი.

დუგლასი. მაშ ხმაღსა ვფიცავ, ყველა პერანგს გავგმირავ ასე,

სულ ნაკუწ-ნაკუწ გადავაქცევ მთელს მის ტანსაცმელს,

ვიდრე თვით მეფეს არ შევხვდები.

ჰოტსპერი. აბა, წინ მედგრად!

ჩვენი ლაშქარი დღეს მართლაც და გმირულად იბრძვის.

(გადიან. ბრძოლის ხმაური. შემოდის ფოლსტაფი)

ფოლსტაფი. ლონდონში როგორც იქნა დავუძვერი ვალებს,

მაგრამ ეტყობა, აქ ამომამრობენ სულს. აქ თამასუქების წერას კი

არ გაცლიან - პირდაპირ თავს წაგაცლიან... დაიცა! ეს ვინღა? სერ

უოლტერ ბლენტი! ესეც შენი პატიოსნება! ამაზე დიდი ამაოება

გაგონილა! ისე დამცხა, რომ გადამდნარ ტყვიასავით მოვიქეცი!

ტყვიასავით მძიმე ხომ ვარ და ეს არის! ღმერთო, შენ დამიხსენი

ტყვიისაგან! კიდევ სიმძიმე მეჭირვება?! ფაშვიც ვერ მითრევია.

ჩემი მაწანწალები ცხარე-ცხარე წიწაკების საშოვარზე გავგზავნე: ასორმოცდაათიდან სამილა დარჩა ცოცხალი, და იმათაც თავიანთი დღე და მოსწრება უნდა იმათხოვრონ ქალაქის ბოლოს. ეს ვინ მოდის?

(შემოდის პრინცი ჰენრი)

პრინცი ჰენრი. აქ რას უდგებარ უსაქმურად? ხმალი მათხოვე;

ბევრი დაეცა ბრძოლის ველზე კეთილშობილი, რომელთაც ახლა ფეხით თელავს ყოყოჩა მტერი.

უნდა ვიძიო მათზე შური. მომეცი ხმალი.

ფოლსტაფი. დამაცა, ჰალ, სული მომათქმევინე. სულთან გრიგორისაც კი არ დასიზმრებია თავის დღეში იმდენი გმირობა, რაც მე დღეს ჩემი ხმლით გამოვიჩინე. იცოცხლე, გავუსწორდი პერსის, მოვასვენე.

პრინცი ჰენრი. მართლაც რომ მოსვენებულია, და ახლა შენ დაგეძებს მოსაკლავად. მათხოვე ხმალი.

ფოლსტაფი. რას ამბობ, ჰალ, ღმერთი არა გყავს? პერსი ცოცხალი იყოს და მე ხმალი გათხოვო?!

დამბაჩა წაიღე.

პრინცი ჰენრი. კარგი, მომეცი. ბოხჩაში გაქვს?

ფოლსტაფი. მაშა, ჰალ. ცხელია, ისეთი ცხელი, რომ მთელს ქალაქს გადაბუგავს.

(პრინცი ბოხჩას გახსნის და იქიდან ბოთლით ღვინოს ამოიღებს)

პრინცი ჰენრი. კაი სახუმარო დრო შეგიჩრევია!

(ბოთლს ესვრის და გადის)

ფოლსტაფი. თუ კიდევ ცოცხალია პერსი და სადმე შემეჩხება, მე მკითხოს როგორ უნდა ხმლით აჩეხვა და აკუწვა! მაგრამ მე თუ გამოვიჩინე იმდენ სისულელეს, რომ თვითონ შევეჩხებები, ახი

იქნება ჩემზე, დაკეპილი ხორცივით მომაქციოს. შევარცხვინე ამისთანა დაღმეჭილი სინდისი, აგერ სერ უოლტერის სახე რომ დაუჭყანავს. ვერ მოგართვით! მე მინდა სიცოცხლე. თუ კარგად მორიგდებიან ერთმანეთში სინდისიცა და სიცოცხლაც, რაღა მეთქმის, ყაბულსა ვარ. არა და ფიქრი ნუ გაქვს, პატივსადები აღსასრული თავისით მოგვძებნის და ამით გათავდება ყველაფერი.

(გადის)

სურათი IV. ბრძოლის ველი სხვა ადგილას.

ბრძოლის ხმაური. შემოდინ მეფე, პრინცი, ლორდ ჯონ ლანკასტერი და უესტმორლენდი.

მეფე ჰენრი. გთხოვ, შვილო ჰარი,

აქაურობას განერიდე: სისხლში მოთხვრილხარ...

ლორდ ჯონ ლანკასტერ, შენც გაჰყევი და გააცილე.

პრინცი ჯონი. მე არა, მილორდ, მანამ სისხლში არ მოვითხვრები.

პრინცი ჰენრი. თქვენ კი დაბრუნდით, გევედრებით; რომ ვერ გნახვენ,

შემფოთდებიან მეგობრები.

მეფე ჰენრი. ახლავე წავალ,

ეს კი კარავში შეიყვანე, ლორდ უესტმორლენდ.

ლორდ უესტმორლენდი. წავიდეთ, მილორდ, თქვენს კარვამდე მე მიგაცილებთ.

პრინცი ჰენრი. მიგაცილებო? შენგან შველას არ ვსაჭიროებ;

ღმერთმა დამიხსნას! სადა თქმულა, უელსის პრინცი

ამ განაკაწრმა გააქციოს ბრძოლის ველიდან,
 სად სისხლით მოთხვრილ წარჩინებულთ ფეხით თელავენ
 და სისხლიანი აჯანყება დღესასწაულობს!
 პრინცი ჯონი. ძალიან გრძელი შესვენება გამოგვივიდა:
 წამო, წავიდეთ, უესტმორლენდ, საქმე არ ითმენს.
 თუ ღმერთი გწამდეს, გამომყევი, ჩემო ძმობილო.
 (გადიან პრინცი ჯონი და უესტმორლენდი)
 პრინცი ჰენრი. ღმერთს გეფიცები, მომატყუე, ძმავო ლანკასტერ,
 რას ვიფიქრებდი, ასე მძლავრი თუ იყავ სულით, -
 აქამდე მხოლოდ, ვით ჩემი ძმა, ისე მიყვარდი,
 ახლა მიყვარხარ თვით საკუთარ სულზედაც მეტად.
 მეფე ჰენრი. მე თვითონ ვნახე, გმირი პერსის თავდასხმა მაგან
 მოიგერია ისე მარჯვედ, რომ სახტად დავრჩი.
 არ მოველოდი ასე ყმაწვილ მეომრისაგან.
 პრინცი ჰენრი. ო, ჩვენ ეს ბიჭი ომის ცეცხლით აგვანთებს ყველას.
 (გადის. შემოდის დუგლასი)
 დუგლასი. კიდევ ხელმწიფე! მრავლდებიან ჰიდრას თავივით!
 მე დუგლასი ვარ, შიშის ზარს ვცემ უკლებლივ ყველას,
 ასეთი ფერის ტანსაცმელი ვისაც ჩაუცვამს.
 ნეტავ ვინა ხარ, მეფობას რომ იჩემებ ახლა?
 მეფე ჰენრი. მეფე ვარ თვითონ, და დიდად მწყინს, მერწმუნე,
 დუგლას
 რომ აქამომდე ჩემს აჩრდილებს ხვდებოდი თურმე
 და არა ღვთისგან მირონცხებულს. ორი ვაჟი მყავს
 და ბრძოლის ველზე დაგემებენ შენა და პერსის,
 მაგრამ რაკილა ბედმა შენი თავი მაჩუქა,
 მე თვითონვე ვცდი: მოემზადე თავდასაცავად.

დუგლასი. ვაი თუ ისევ აჩრდილი ხარ ნამდვილი მეფის.
 თუმც, გამოგტყდები, მეფესავით გიჭირავს თავი.
 იყავ - ვინც გინდა, ეს კი ვიცი - ჩემი მსხვერპლი ხარ,
 გაგაფრთხობინებ სულს ახლავე!
 (იბრძვიან. მეფე განსაცდელშია. ამ დროს შემოვარდება პრინცი
 ჰენრი)
 პრინცი ჰენრი. თავი ასწიე, გარეწარო შოტლანდიელო,
 თორემ იცოდე, სამუდამოდ წაგაცილი მაგ თავს!
 შირლის, სტაფორდის, ბლენტის ძალა ჩამიდგა მკლავში:
 თავზარსა გცემს და გემუქრება უელსის პრინცი,
 რომელსაც ფუჭი დაპირება არა სჩვევია.
 (იბრძვიან, დუგლასი გაიქცევა)
 თავს როგორა გრძნობ, ხელმწიფეო? სულით გამხნევედი!
 ნიკლას გოლუზი შეველასა მთხოვს, კლიფტონსაც უჭირს,
 გავეშურები ჯერ კლიფტონის დასახმარებლად.
 მეფე ჰენრი. სული მოითქვი, შეიცადე.
 გამოისყიდე, ჰარი, უკვე, ცუდი სახელი,
 და ჩემს სახსნელად მამაცური თავისგანწირვით
 დაამტკიცე, რომ ძვირად გიღირს მამის სიცოცხლე.
 პრინცი ჰენრი. ო, ღმერთო, როგორ მამცირებდნენ, როცა
 საქვეყნოდ
 გაიძახოდნენ - თითქოს შენი მოკვლა მდომოდეს!
 ასე რომ იყოს, დუგლასსაც არ მოგაცილებდი,
 რომლის ბინძური ხელი ისე სწრაფად მოგსპობდა,
 როგორც ყველაზე საშინელი შხამი ამქვეყნად.
 მეფე ჰენრი. შენ კლიფტონისკენ, მე გოლუზის მივეშველები.
 (გადის. შემოდის ჰოტსპერი)

ჰოტსპერი. ჰარი მონმუთი უნდა იყო, თუ არ მეშლება!
 პრინცი ჰენრი. თითქოს ჩემს სახელს ვმალავდეო, შენ ისე ამბობ.
 ჰოტსპერი. მე კი გახლავარ ჰარი პერსი.
 პრინცი ჰენრი. მაშინ გამოდის,
 რომ უმამაცეს აჯანყებულს შევჰყურებ ახლა;
 პრინცი გახლავარ უელსისა და ეს იცოდე -
 ამიერიდან ჰარი პერსი ნურც იოცნებებს
 ჩემი სახელი და დიდება გაიზიაროს.
 ორი ვარსკვლავი ერთ სფერაში ვერ იმოდრავებს,
 ერთი ინგლისიც ვერ მოითმენს, რომ ერთდროულად
 მბრძანებლად ჰყავდეს პერსიცა და უელსის პრინციც.
 ჰოტსპერი. ეს არც მოხდება, რადგან, ჰარი, დაჰკრა საათმა,
 როცა ჩვენ ორში - ერთ-ერთს უნდა ბოლო მოეღოს!
 ნეტა ბრძოლაში იყო ჩემებრ სახელოვანი!
 პრინცი ჰენრი. შენზე ათასწილ შევიქნები სახელოვანი,
 ვიდრე ერთმანეთს გავშორდებით; მუზარადიდან
 შენი დიდების ნაზარდ კვირტებს სულმთლად აგაცლი
 და საკუთარი თავისათვის დავიწნავ გვირგვინს.
 ჰოტსპერი. გამოდი, თორემ ვეღარ ვიტან ამ ფუჰ ყბედობას.
 (იბრძვიან. შემოდის ფოლსტაფი)
 ფოლსტაფი. კარგია, ჰალ! მიდი, მიდი, ჰალ! აბა რა? ომობანა ხომ
 არ გეგონა!
 (შემოდის დუგლასი. ბრძოლას დაუწყებს ფოლსტაფს, რომელიც
 მაშინვე დაეცემა და თავს მოიმკვდარუნებს. დუგლასი გადის.
 პრინცი ჰკლავს პერსის)
 ჰოტსპერი. ო, მოვკვდი, ჰარი, შენ წარმტაცე მე სიჭაბუკე!
 ფუყე სიკვდილი როდი მიმძიმს, სულს ის მიშფოთებს,

ჩემი ზვიადი სახელი რომ შენზე გადმოვა;
 ამისმა ფიქრმა უფრო მწარედ დამიჭრა სული,
 ვიდრე ჩემს სხეულს შენი ბასრი ხმალი დასჭრიდა.
 მაგრამ სიცოცხლეს მონადა ჰყავს ჩვენი ფიქრები,
 დროის მასხარად თვით სიცოცხლე გადაქცეულა,
 და დროც, თავის მხრივ, მთელს ქვეყანას გუშაგად რომ ჰყავს,
 როცა იქნება, უნდა შედგეს. ახლა შემემლო
 წინასწარ მემცნო ქვეყნისათვის ბევრი რაიმე,
 მაგრამ სიკვდილი მიწისა და ყინულის ხელით
 ენას აწვება... არა, პერსი, შენ მტვერილა ხარ,
 საზრდო, საკვები...
 (კვდება)
 პრინცი ჰენრი. მატლებისა... მამაცი პერსი!
 მშვიდობით გმირო და სულდიდო ადამიანო!..
 ცუდად ნაქსოვო ზვიადობავ, ვით დავიწროვდი!..
 როცა ამ სხეულს სული ედგა, მაშინ საზღვრები
 მთელის ქვეყნისა მეტად ვიწრო ეჩვენებოდა,
 აწ ორი ადლი ბილწი მიწაც საკმარისია.
 და ამ მიწაზე, უსიცოცხლოდ რომ გამოტილხარ,
 შენებრ მამაცი არვინ დადის მე-ხორციელი.
 ალერსისათვის დახშული რომ არ გქონდეს ყური,
 ჩემს გულისპასუხს მაშინ როდი გავამჟღავნებდი.
 მოდი, ხელსახოცს წავაფარებ დაჩეხილ სახეს.
 და ამ ნაზსა და ალერსიან მზრუნველობისთვის
 შენს მაგიერად მევე ვეტყვი ჩემს თავს მაღლობას.
 მშვიდობით, ცაში თან წაიღე შენი დიდება,
 ხოლო შერცხვენამ სამარეში იძინოს შენთან,

საფლავის ქვაზე დამარცხებას ნუ ამოკვეთენ.
 (შენიშნავს მიწაზე გართხმულ ფოლსტაფს)
 შენა ხარ, ძველო მეგობარო? ამდენმა ხორცმა
 ნუთუ ნამცეცი სულიც ვეღარ შეინარჩუნა?!
 მშვიდობით, ფოლსტაფ, საცოდავო! ასე ძალიან
 არ ვინაღვლებდი ალბათ შენზე უკეთეს ხალხსაც,
 ხოლო ნამდვილად რომ მიყვარდეს ამაოება,
 შენი დაკარგვა კიდევ უფრო დამაღონებდა!
 ბევრი იგემა დღეს სიკვდილმა ძვირფასი მსხვერპლი,
 მაგრამ შენსავით მსუქან ნადირს სად შეხვდებოდა!
 კეთილშობილი პერსის გვერდით იცურე სისხლში,
 ვიდრე საფლავში, გამოშიგნულს, არ დაგმარხავენ.
 (გადის. ფოლსტაფი წამოდგება)
 ფოლსტაფი. გამოშიგნულსო! თუ მართლა მოახერხებ ჩემს
 გამოშიგნვას, ნებას მოგცემ დამამარილო და ხვალ შემახრამუნო
 კიდევ. ეშმაკმა დალახვროს! კიდევ კარგი, ვითვალთმაქცე და
 დროზე მოვიმკვდარუნე თავი, თორემ ეს ფიცხი შოტლანდიელი
 კარგა შემაფიცხ-შემახურებდა. ვითვალთმაქცე კი? სულ
 ტყუილია. ეს რა თვალთმაქცობაა! მართლაც რომ
 მოვმკვდარიყავი, თვალთმაქცობა მაშინ იქნებოდა: მკვდარს და
 უსიცოცხლო კაცს სჭირდება თვალთმაქცობა, რომ მოგვაჩვენოს,
 ცოცხალი ვარო; ცოცხალი კაცი, რომ სულის შესანარჩუნებლად
 თავს იმკვდარუნებდეს, ეგ სადაური თვალთმაქცობაა? პირიქით,
 ეს არის ჭეშმარიტი გულწრფელობა. სიმამაცის ყველაზე კარგი
 თვისება სიფრთხილეა; მეც სწორედ მაგითი მიდგას სული.
 ეშმაკმა დალახვროს, ხომ მკვდარია ეგ თოფის წამალი პერსი,
 მაგრამ მაინც მეშინია; ერთიც ვნახოთ, თავს იმკვდარუნებდეს

ჩემსავით და უცებ წამოხტეს! იქნებ ჩემზე ეშმაკურადაც
 იმკვდარუნებს თავს! მაშინ რაღა ვქნა! მოდი და ნუ შეგეშინდება!
 არა, სიფრთხილეს თავი არა სტკივა, სჯობს მეც ვატაკო ერთი-
 ორჯერ ჩემი ხმალი. ჰო, მერე კი ფიცით ქვეყანას შევაჯერებ, მე
 თვითონ მოვკალ-მეთქი. რა მოხდა! ხომ შეიძლებოდა ეგეც
 ჩემსავით წამომდგარიყო? თვალების მეტი ხომ ვერაფერი
 მამხელს; ჰოდა ახლა არავინ მიყურებს. აბა, ინებეთ, ძმობილო,
 ახალი ჭრილობა ბარძაყში (ჩასცემს ხმალს) და მე გამომყევით.
 (ზურგზე მოიკიდებს ჰოტსპერს. შემოდინ უელსის პრინცი და
 ლორდ ჯონ ლანკასტერი)
 პრინცი ჰენრი. მომილოცნია, ჩემო ძმაო, შენს უხმარ მახვილს -
 მიაღებინე დღეს ნათლობა მართლაც გმირული.
 ჯონ ლანკასტერი. ამას რას ვხედავ, შეიცადე. შენ არ მითხარი,
 ჩასუქებული ბერიკაცი ჯონი მოჰკლესო?!
 პრინცი ჰენრი. ჰო, მე გითხარი, თვითონ ვნახე, აქ ეგდო მკვდარი
 და სისხლისაგან იცლებოდა... მართლა გაცოცხლდი,
 თუ უცნაური მოჩვენება ატყუებს თვალებს?
 ხმა ამოიღე, გევედრები, რადგან მარტოდენ
 თვალს ვერ ვენდობი, თუ ყურმაც არ დამიდასტურა,
 მართლა ისა ხარ, რაცა ჩანხარ?
 ფოლსტაფი. ისა ვარ, აბა ორეული ხომ არ ვიქნები?! რაც
 გინდოდეს, ის დამიძახე, თუ ჯეკ ფოლსტაფი არ ვიყო. აჰა,
 თქვენი პერსიც. (მიწაზე დააგდებს) თუ დამაჯილდოებს
 ამისთვის მამაშენი, ხომ კარგი, არა და მეორე პერსი თვითონვე
 მოჰკლას. ან გრაფობა უნდა მიბოძოს, ან ჰერცოგობა. მორჩა და
 გათავდა.

პრინცი ჰენრი. რას მიედ-მოედები, პერსი მე თვითონ მოვკალ და შენც აქ მკვდარი გნახე.

ფოლსტაფი. ნეტა გულით თუ ამბობ? ღმერთო, ღმერთო! როგორ გაცულლუტდა ხალხი! მიწაზე მართლაც ვეგდეთ უსულოდ - მეც და ეგეც. მაგრამ ერთბაშად წამოვხტით ორივენი და მთელი გრძელი საათი ვიბრძოლეთ. ასეა, თუ დამიჯერებ, თუ არა და ცოდვა იმას მოუკითხოს, ვისაც გმირობისათვის ხალხის დაჯილდოება ევალემა. ცოცხალი აღარ მნახო, თუ ბარდაყში მე თვითონ არ დამეკოდოს. ნეტა არ მინდა, უცებ გაცოცხლდეს და ჩემი სიტყვები უარჰყოს, ავიღებ და ამ ხმალს ჩავაკვნიტინებ.

ჯონ ლანკასტერი. მსგავსი ზღაპარი ჩემს დღეში არ მომისმენია. პრინცი ჰენრი. მსგავს ყალთაბანდსაც, ჩემო ძმაო, ვერსად შეხვდები.

გასწი, ეგ ტვირთი მორიდებით ატარე ზურგით.

სხვა რაღა გითხრა, თუ გიშველის ჩემი ტყუილიც, მოვაოქროვებ, როგორც ძალმიძს, და მოგაშველებ.

(ისმის უკანდახვევის საყვირი)

აჰა, საყვირი გვამცნობს მტრების უკანდახვევას, ავიდეთ, ძმაო, იმ გორაკზე და გადავხედოთ - მეგობართაგან ვინ მოკვდა და ვინ გადაგვირჩა.

(ორივე პრინცი გადის)

ფოლსტაფი. ეჰ, მეც მაგათ გავჰყვე, იქნებ ჯილდო შემხვდეს, ღმერთმა ჯილდო ნუ მოაკლოს ჩემს დამჯილდოებელს! განდიდებას თუ ველირსე, სიდიდეში ცოტას მოვიკლებ. საფადართოს დავლევ, ღვინის სმას თავს დავანებებ, წესიერ ცხოვრებას დავიწყებ, როგორც ნამდვილ დიდებულს შეეფერება. (გადის და გვამი მიაქვს)

სურათი V. მეორე მხარე ბრძოლის ველისა.

ისმის საყვირის ხმა. შემოდინ მეფე, უელსის პრინცი, ლორდ ჯონ ლანკასტერი, უესტმორლენდი და სხვები. თან შემოჰყავთ ტყვედჩაგდებული ვუსტერი და ვერნონი.

მეფე ჰენრი. ასეთი არის მწარე ხვედრი აჯანყებულთა...

ო, გულღრძო ვუსტერ! მე თვითონ არ შემოგთავაზე - შეგიწყალებ-თქო, შეგიტკობ-თქო, გაპატიებ-თქო?!

შენ ჩვენი სიტყვა უკუღმართად გადააბრუნე

და საკუთარი ბიძაშვილის ნდობაც გასწირე.

ჩვენი ლაშქრიდან დღეს მოგვიკლეს სამი რაინდი:

გადარჩებოდა თვითონ გრაფიც, ბევრი მეზრძოლიც,

და ჩვენთან ერთად იქნებოდა ცოცხალი ყველა,

რომ პატიოსნად, ვით ქრისტიანს შეეფერება,

მართალი სიტყვა მიგეტანა ორივ ბანაკში.

ვუსტერი. მე კი მეგონა, თავს ვიცავდი ასეთი ქცევით,

მაგრამ რაკილა ვერ ავიცდენ ბედს, თავზე დამტყდარს,

სხვა რაღა დამრჩა, მოთმინებით შევეგებები.

მეფე ჰენრი. ვუსტერს და ვერნონს მყის თავები დააგდებინეთ

სხვა დამნაშავეთ საკადრისი შემდეგ მივუზღათ.

(ვუსტერი და ვერნონი გაჰყავთ)

რა ამბავია ბრძოლის ველზე?

პრინცი ჰენრი. კეთილშობილმა

შოტლანდიელმა ლორდ დუგლასმა როცა იხილა,

რომ ომის ბედი დატრიალდა მისთვის უკუღმა,

უმამაცესი პერსიც მოჰკლეს და მისი ჯარი

შიშის კანკალმა აიტანა, - იშვირა ფეხი
და სხვა გაქცეულ მებრძოლებთან მანაც მოჰკურცხლა,
მაგრამ როდესაც ეშვებოდნენ ბორცვიდან დაბლა,
მძიმედ დაშავდა და მდევრებმაც მისივე შეიპყრეს.
ამჟამად იგი ჩემს კარავში გახლავთ, ხელმწიფვე,
და გვედრებით, მე დამითმით დუგლასის თავი.
მეფე ჰენრი. სულით და გულით.
პრინცი ჰენრი. ჯონ ლანკასტერ, ძვირფასო ძმაო,
ამ საპატიო საქმეს შენ დაგაკისრებ:
წადი და დუგლასს მიანიჭე თავისუფლება,
ისე რომ გროშსაც ნუ ავიღებთ გამოსასყიდად.
ჩვენს მუზარადზე მამაცური მახვილის ცემით
მან დღეს გვასწავლა, რომ გმირობას, თუნდ მტრის ჩადენილს,
მუდამ ეკუთვნის პატივი და თაყვანისცემა.
ჯონ ლანკასტერი. მადლობელი ვარ ამ ღირსეულ
დავალებისთვის,
და ხალისითაც შევასრულებ დაუყოვნებლივ.
მეფე ჰენრი. მაშ რაღა დაგერჩა, - ორად გავყოთ ჩვენი ლაშქარი,
შენ, შვილო ჯონ, და ბიძაშვილი უესტმორლენდი
მთელი სისწრაფით იორკისკენ გაეშურებით,
და იქ შეხვდებით პრელატ სკრუპსა და ნორთამბერლანდს,
რომლებიც თურმე საბრძოლველად გამზადებულან;
მე და ჰარი კი უელსისკენ გავსწევთ ახლავე,
რათა ავლაგმით გრაფ მარჩი და გლენდაუერი.
მორჩა, შფოთისგან დაისვენოს ჩვენმა ქვეყანამ,
ეს ხომ მოვიგეთ, სხვა ბრძოლებშიც ჩვენ გავიმარჯვებთ;
და რაკი ბედმა გაგვიღიმა დღეს ბრძოლის ველზე,

ნუ დავაყოვნებთ საბოლოო გამარჯვებასაც.
(გადიან)



სხვა ელექტრონული წიგნებისათვის გთხოვთ ეწვიოთ ჩვენს
გვერდს: www.iBooks.ge